ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

1 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა"
+
საქართველოს ისტორია
10 ლარი




სამშაბათი, 1 ოქტომბერი, 2013 №232 (6233) ფასი: 30 თეთრი

# კახა კუკავა: „საქართველოში პოლიტიკური მღელვარება გარდაუვალია"



გვ.3

რატომ ამბობს ივანიშვილი დამნაშავეების დასჯაზე უარს

## ბიძინა ივანიშვილი: „27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდება"

გვ.6

სააკაშვილი შენებას ვერ მასწავლის



## შსს-მ „საქართველოს ბანკის" ყაჩაღობის საქმე გახსნა

გვ.5

## ხათუნა გოგალაძე: „გარემოს დამცველები არ შეიძლება, იყვნენ ჰესების წინააღმდეგნი"

გვ.4





## პროკურატურა: „ახალაიას პროცესი არჩევნებთან კავშირში არ არის"

გვ.3



გვ.4

### შოთა მალაშხია: „ივანიშვილი გეოგრაფიაში ვერ ერკვევა"

### გიგლა ბარამიძე: „სააკაშვილ-მერაბიშვილისეული საარჩევნო მეთოდები ცოცხალია!"



გვ.5



გვ.2

### სერგი კაპანაძე: „ივანიშვილი კრიტიკას ცუდად აღიქვამს"

### ვინ მიისაკუთრა რუსთაველზე ფართი?!



გვ.7



გვ.5

### ნინო ბურჯანაძე: „საჭირო საქმეებს ბაქრაძის მოწოდების გარეშე გავაკეთებ"

### დღეს ზაზა ხატიაშვილი დვანში, საოკუპაციო ზოლთან საპროტესტო აქციას გამართავს



გვ.2

ISSN 1987-9385

5 სერგო ჯავახაძე: „რუსეთთან ყველანაირი ურთიერთობა უნდა შეწყდეს"

7 მცირე მეწარმეობის აღდგენამდე მოსახლეობა უმუშევრობისთვისაა განწირული

3 დავით ბაქრაძე დვანში ჩავიდა

5 ლეიბორისტული პარტია მსხვილ ბიზნესმენებს მიმართავს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სერგი კაპანაძე: „ივანიშვილი კრიტიკას ცუდად აღიქვამს“

## „სოჭის ოლიმპიადიასთან დვანსა და დიცში გავლებულ მავთულხლართებს არანაირი კავშირი არა აქვს“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ საქართველოს რეფორმების ასოციაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან, კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორ სერგი კაპანაძესთან

*– გაეროში მიხეილ სააკაშვილს ბოლო გამოსვლა ჰქონდა პრეზიდენტის რანგში. მისი გამოსვლა ოპონენტებმაც დადებითად შეაფასეს. როგორც საგარეო ურთიერთობების სპეციალისტი, თავად თქვენ როგორ შეაფასებდით ამ გამოსვლას?*

– დადებითად, თუმცა მივისმინე ისეთი შეფასებები, რომ გაეროს ტრიბუნას არ უხდება ასეთი ემოციური გამოსვლა და პერსონიფიცირებული შეტევები პუტინზე. თეორიულად ეს შესაძლოა ასეც არის, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ კარგი გამოსვლა იყო იმიტომ, რომ მისი პოლიტიკური მემკვიდრეობა დეფინირებულია რუსეთთან და პუტინთან ურთიერთობით, ამიტომ მისგან ასეთი გამოსვლა გასაკვირი არ იყო.

*– მომეჩვენა, რომ მან ბოდიშიც მოუხადა ქართველ ხალხს იმ მოლოდინების შეუსრულებლობის გამო, ყოველ შემთხვევაში რაღაც ნაწილისა მაინც, რა ჰქონდა მას მხედველობაში?*

– მიხეილ სააკაშვილის პარტიამ, ნაციონალურმა მოძრაობამ წააგო არჩევნები, ბუნებრივია, რომ მას ეს განცდა გააჩნია, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ნაცმოძრაობის წარმომადგენლები ბოდიშის მოხდის მსგავს განცხადებას აკეთებენ. საჯარო ბიბლიოთეკაში რომ ჩაიშალა შეხვედრა და შემდეგ უკვე პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა, მაშინ პირველად იყო ბოდიშის მოხდის ტიპის მიმართვა პრეზიდენტისგან.

*– თქვენ პრემიერ ივანიშვილთან ისაუბრეთ იმ ორმოცდაათ დიპლომატიურ ნაბიჯზე, რომლებიც მთავრობამ შესაძლოა გადადგას რუსეთთან გართულებული ვითარების დროს, რათა მიიქციოს საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება. სოსო ცინცაძემ თქვენ ოსტაპ ბენდერს შეგადარათ, მისი თქმით, ბენდერსაც ჰქონდა ორმოცდაათი გზა ფულის შოვნის, მაგრამ სულ უფულოდ დადიოდა. რა იტყვით ამ შეფასებაზე?*

– სოსო ცინცაძეს არ ვუპასუხებ იმიტომ, რომ არ მიმაჩნია ის სერიოზულ ადამიანად, სხვადასხვა კონტექსტში თავის დროზე ეს ორმოცდაათი გზა იყო ამოქმედებული, ეუთოს მექანიზმების ამოქმედებაზეა საუბარი, საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც 2008 წელს აამოქმედა ვენისა და ბუქარესტის მექანიზმი. ასევე დავიწყეთ საუბარი ბერლინისა და მოსკოვის მექანიზმების ამოქმედებაზე. უფრო მეტი ინფორმაციის მოწოდებას გულისხმობს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. შესაძლებელი იყო ორმოცდათექვსმეტი ქვეყნის წარმომადგენლის ჩამოყვანა და რეალურად იმის ჩვენება, რაც აქ ხდებოდა, რათა კონკრეტული გზავნილები მიეტანათ რუსეთის ხელისუფლებისთვის. ეუთოს მუდმივი საბჭო შეიძლება იყოს მოწვეული, ესეც არ ყოფილა გაკეთებული ამ ბოლო დროს. ამ ორმოცდაათიდან ყველა ჩვენ სხვადასხვა დროს გამოვიყენეთ, როცა მე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვიყავი. ახლა კი ამ მექანიზმების ნახევარიც კი არ არის გამოყენებული.

*– საპარლამენტო უმცირესობიდან იყო შენიშვნები ხელისუფლების მიმართ, რომ მცოცავი ანექსიის გამო ნაზი ხმით კი არ უნდა იყოს პასუხი გაცემული რუსეთის ქმედებებზე, არამედ მკაფიო და მკვეთრი შეფასებები უნდა გაკეთდეს.*



– მე ვიყავი მინისტრის მოადგილე, მაგრამ არ ვყოფილვარ ნაცმოძრაობის წევრი, მე ჩემი პოზიციიდან გამომდინარე გიპასუხებთ. ექსპერტებთან შეხვედრის დროს პრემიერმა მოიტანა ასეთი ახსნა: მავთულხლართების აგება ხდება იმიტომ, რომ ოლიმპიადა მოდის და ისინი ამკაცრებენ ზომებს, რაც გასაგებიაო. ეს განცხადება, ჩემი აზრით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. გეოგრაფიულად შევხედოთ, სად არის ე.წ. სამხრეთ ოსეთი და სად არის სოჭი. სოჭის ოლიმპიადიასთან დვანსა და დიცში გავლებულ მავთულხლართებს არანაირი კავშირი არა აქვს. ეს ლოგიკა მოსწონს მოსკოვს, რა ლოგიკითაც საუბრობს საქართველოს პრემიერი. ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, როცა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი მათ ლოგიკას იმეორებს. რა გამოდის, რომ ჩვენი დიპლომატები როცა ესაუბრებიან ამერიკელ და ევროპელ დიპლომატებს, ამ მიზეზებს უხსნიან? როგორ ვარწმუნებთ ჩვენს დასავლელ მეგობრებს, რომ რუსეთთან ეს საკითხი დააყენონ, თუკი ამ დროს ჩვენვე ვიზიარებთ კრემლის ლოგიკას? ამაში წინააღმდეგობა არ არის? მთავრობაში კოორდინაცია არ არის, ივანიშვილი ერთს ამბობს, მისი მინისტრების სხვას ამბობენ. ამიტომაც არ არის დიპლომატიური ნაბიჯები და ქმედებები შეთანხმებული არც ჩვენი მთავრობის მხრიდან და ამაზე ვერც დასავლელი კოლეგები მოიმოქმედებენ რაიმეს.

*– ივანიშვილისგან, როგორც კი ის მოვიდა ხელისუფლებაში და დაიკავა ეს პოსტი, მოვისმინეთ უცნაური განცხადება, რომ საქართველომ მაგალითი უნდა აიღოს სომხეთისგან, ამ დროს სომხეთი უკვე საბაჟო კავშირის წევრია და რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, რა მაგალითზეა საუბარი?*

– კარგი კითხვაა, მეც არა მაქვს, სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი. პრემიერი ჯერ რაღაცას ამბობს და მერე ცდილობს შეცვალოს, შეიძლება ეს იყო წამოცდენა ან სომხეთის მიმართ მოფერება, შეიძლება გამოუცდელობის ბრალი იყო, მაგრამ ამას საბოლოო ჯამში მნიშვნელობა არა აქვს. როცა ეს განცხადება კეთდება უმაღლესი პირისგან, ეს სხვების მიერ მყისვე აიტაცება. ბოლო ორი კვირის მანძილზე გაკეთდა ასე ივანიშვილისგან უცნაური განცხადება ევრაზიულ კავშირზე, ეჭვი არ მეპარება, რომ ივანიშვილს არ უგულისხმია, ევრაზიულ კავშირში უნდა შევიდეთო, უბრალოდ მორიგი დაუფიქრებელი რაღაც თქვა. ამას კი აჟიოატაჟი მოჰყვა, ეს გაიგეს ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა. ლიტვის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თურმე ევროკავშირს საბრძოლო აქვს რუსეთთან, რომ არ დაკარგოს მოლდოვა და უკრაინა, საქართველომ კი უნდა გადაწყვიტოს, ევრაზიული კავშირი უნდა თუ ევროკავშირიო. მანამდე იყო შეხვედრა ლიტვის პრეზიდენტსა და ივანიშვილს შორის და ეტყობა იქაც იყო ამაზე საუბარი. ლიტვის პრეზიდენტი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერია, ამ დროს კი ასეთ განცხადებას აკეთებს. ეს არის კატასტროფა. როცა ხელისუფლებაში ხარ, ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ შენი საკითხი მუდმივად იყოს დღის წესრიგში როგორც მთავარი თემა. ჩვენ ხომ პრობლემები გვაქვს და ამის მთავარი მიზეზი კრემლთან გართულებული ურთიერთობებია. აფხაზეთის რკინიგზის გამო ჩვენი სხვა მეზობელი გავაღიზიანეთ. ამ დროს იქ არაფერი ხდებოდა.

*– არის რაიმე შესასწავლი ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით?*

– არაფერი არ არის შესასწავლი, ამიტომ მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის გამოსვლა გაეროში კარგი იყო. ძალიან კარგი განსხვავებები მოიტანა ამ ორ გაერთიანებას შორის. ევრაზიული კავშირი არ არის საქართველოს მომავალი, მორჩა. ნებისმიერი ენის მოჩლექვა არასერიოზულია. როცა ივანიშვილის მინისტრებს იგივე კითხვას უსვამენ, ისინი იძულებული არიან, ივანიშვილის გამონათქვამები გაამართლონ.

*– ჩვენ ახლა გვინდა მივიღოთ ევროკავშირის ასოცირებული წევრობა, ამისკენ მივისწრაფვით. რას ნიშნავს ეს?*

– ასოცირებული წევრობა – ასეთი ტერმინი არ არსებობს, მინდა მკითხველებს განვუმარტო, ეს არის ლინგვისტური შეცდომა. ეს გახლავთ ასოცირების ხელშეკრულება. ეს არის ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულებები ძალაში რომ შევა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან, უკრაინასთან, საქართველოსთან, მოლდოვასთან ექნებათ თავისუფალი ვაჭრობის საშუალება ევროკავშირთან. ბაჟის, ტარიფის კვოტის გარეშე გავა აქაური პროდუქტი ევროპაში, მსო არ გულისხმობს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას, უკრაინა, კი ბატონო, არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, საქართველოც და ჩინეთიც არიან ამ ორგანიზაციის წევრები, მაგრამ ერთმანეთში არა აქვთ თავისუფალი ვაჭრობა. მსო აწესებს გარკვეული თამაშის წესებს. ხოლო ევროკავშირთან ეს ხელშეკრულება გულისხმობს იმას, რომ ვაჭრობა თავისუფლდება ტარიფებისგან და კვოტებისგან. პოლიტიკური კომპონენტი კი ხელშეკრულებისა გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკური ურთიერთობები სრულიად ახალ სიბრტყეში გადადის. ინსტიტუციური დიალოგის ახალი ფორმატები იქმნება, მესამე კომპონენტი ამ ხელშეკრულებისა გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი, ვიზების ლიბერალიზაცია. ორ-სამ წელიწადში საქართველოს მოქალაქეები მოახერხებენ უვიზოდ ევროკავშირის ქვეყნებში მგზავრობას. ეს არ არის თავსებადი ევრაზიულ კავშირთან.

*– უკრაინამ საბოლოო პასუხი დააფიქსირა, რომ აირჩია ევროკავშირი.*

– დიახ, სწორედ ამიტომ მიიღო პასუხი მოსკოვიდან, რაც გამოიხატა პირადი ურთიერთობის გაფუჭებაში იანუკოვიჩთან, ემბარგოში, პროდასავლელი პოლიტიკოსების და ბიზნესმენების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობაში. წნეხი გაიზარდა მოლდოვას მიმართაც. სომხეთში კი ვნახეთ, რაც მოხდა.

*– იყო ინფორმაცია, რომ ევროკავშირი დაჰპირდა მოლდოვასა და უკრაინას, რომ ემბარგოს შედეგად მიყენებულ ზარალს აუნაზღაურებს და დაეხმარება.*

– თუ ხელშეკრულება საყოველთაო და ღრმა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ძალაში შევა მალე, ამას ხელშეწყობაც არ დასჭირდება.

*– საქართველოს როდის ექნება საშუალება ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებას?*

– პარაფირება იგეგმება სამიტზე ორ თვეში. ეს იქნება ტექსტზე წინასწარი შეთანხმება. სავარაუდოდ ხელმოწერა მოხდება ამ ხელშეკრულებისა შემდეგი წლის შუა პერიოდში, ევროპარლამენტში არჩევნები არის გაზაფხულზე მაისში, საუბარია, რომ მანამდე მოხდეს საქართველოსთან ამ ხელშეკრულების გაფორმება. ამიტომაც ამბობს ივანიშვილი, რომ მოსალოდნელია გაზაფხულზეო. არა უგვიანეს შემოდგომაზე.

*– რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ექსპერტებთან ივანიშვილის შეხვედრამ?*

– იცით რა, უცნაური შეხვედრა იყო, ამ შეხვედრის მიზანი რა იყო, ვერ გავიგე. ყველა ექსპერტი სხვადასხვა საკითხებზე შეშფოთებას აფიქსირებდა. თუ ამ შეხვედრის იდეა ის იყო, რომ ეს საკითხები ყოფილიყო მოსმენილი და გააზრებული, შეცვლილიყო რაღაც, მაშინ ეს ფორმატი ამისთვის ეფექტური არ იყო. პირდაპირი ეთერში ეს ფორმატი არ უნდა ყოფილიყო. მე არ ვიცოდი, რომ ეს გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში. მე მივდიოდი ეკონომიკურ თემებზე სასაუბროდ პრემიერთან და ეს უნდა ყოფილიყო დახურული ფორმატის შეხვედრა. მე მომიწია ეკონომიკაზე საუბარი, იმიტომ, რომ სხვა არავის ამ თემაზე არ უსაუბრია.

*– ეჭვი არის, რომ ეს შეხვედრა იმისთვის გაიმართა, რომ ივანიშვილს თითი დაექნია ექსპერტებისთვის?*

– სამწუხაროდ, ასე გამოვიდა.

*– იყო ასეთი საუბარიც საზოგადოებაში, რომ ის ექსპერტები გააკრიტიკა, რომლებსაც თავის დროზე ხელფასს უხდიდა.*

– შეიძლება ასეც იყო, ბევრი მათგანი კოალიციის წევრიც იყო, მე არანაირი შეხება არ მქონია არც კოალიციასთან და არც თემატურ ჯგუფთან. ამ დროს მეც შემეკამათა ეკონომიკურ თემებზე. საბოლოო მიზანი ის იყო, ეჩვენებინა ექსპერტებისთვის, იყავით ჭკვიანადო, მე ასეთი წარმოდგენა შემექმნა.

*– ჟურნალისტებს ექსპერტების ნაწილმა დააბრალა, მათი ნააზრევის არასწორი ინტერპრეტაცია. მაშინვე თითი ჩვენკენ გამოიშვირეს. ამ დროს ბევრი ფრაზა კონტექსტიდან იყო ამოვარდნილი.*

– დიახ, ასეთი ტიპის შეხვედრები, ჩემი აზრით, სრულიად მიუღებელია. პრემიერს აქვს ძალიან ცუდი აღქმა კრიტიკის. დახურული შეხვედრა რომ ყოფილიყო, იქნებოდა მართლაც პრობლემების მოსმენა და მათზე რეაგირების სურვილიც. ეს არ იყო ამის მიზანი, ეს იყო პიარაქცია, რომ ექსპერტები შემიძლია გავკიცხო. ბევრმა იქ არ ჩათვალა საჭიროდ, რომ გამოკიდებოდა პრემიერს სიტყვებში.

*– თქვენ იქ ვახტანგ ძაბირაძესაც მოისმენდით, კარგი ინიციატივა ჰქონდა, რომ მთავრობამ და პარლამენტმა უნდა დაიწყონ მუშაობა სამ ძირითად რეფორმაზე, ეს არის, კონსტიტუცია, ადგილობრივი თვითმმართველობა და საარჩევნო კოდექსი. თუ დაიწყებს ამაზე მუშაობას მთავრობა, ეს კარგი იქნება.*

– დიახ, მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ არ მიდის არაფერზე მუშაობა, მაგრამ არის პრობლემები და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება.

*– პრემიერმა თქვა, რომ ის სამ წელიწადში დაალაგებდა ქვეყანას და წავიდოდა. მაგრამ ქვეყანა დალაგებული არ არის, ხოლო პრემიერი მიდის უკვე არჩევნების შემდეგ. როგორ შეაფასებთ მის განცხადებას?*

– შეუცვლელი არავინ არის, ეს უნდა იცოდეს მიშამაც, ბიძინამაც და ბიძინას მერე ვინც მოვა, მან. როცა ადამიანს ირჩევენ რაღაც ვადით, მან ეს ვადა ბოლომდე უნდა მიიყვანოს. თუ მას ექნება გავლენა თუნდაც პოზიტიური მთავრობაზე და მას ამაზე საუბარი ჰქონდა ალიკა რონდელთან, იქნება პოლიტიკაში ჩართული, იმის ილუზია არავის უნდა ჰქონდეს, რომ ის პოლიტიკიდან სულ წავა. პრობლემა ის არის, რომ ეს იქნება ნახევრად ინსტიტუციური მმართველობის ფორმა. მოსახლეობას აქვს ბერკეტი, თუ არ მოსწონს მმართველი, რომ ის გადაირჩიოს, მაგრამ თუ ადამიანი მართავს გვერდიდან, რას უზამ მას, თუ არ მოგწონს, ვერ გადაირჩევ. ეს ფაქტია. როცა აგირჩიეს, ინსტიტუტების მეშვეობით უნდა მართო, თუ გვერდზე გადიხარ, მაშინ საერთოდ არ უნდა ჩაერიო მართვაში. ჯანსაღი პასუხი იქნებოდა ბატონი ივანიშვილისგან, მე მივდივარ და არ ვაპირებ არანაირ ჩარევასო, რომ ეთქვა.

## დღეს ზაზა ხატიაშვილი დვანში, საოკუპაციო ზოლთან საპროტესტო აქციას გამართავს



ამის შესახებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია საქართველოს ტერიტორიების ანექსიას გმობს, რომელიც პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობის ნებას და მეორე, საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ვთვლით, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ და დიპლომატიურმა კორპუსმა უფრო მწვავე განცხადებები უნდა გააკეთონ. ხოლო, საქართველოს მოსახლეობამ ტერიტორიების ანექსიის და ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევის შესახებ მშვიდობიანი პროტესტი უნდა გამოხატოს. დაუშვებელია, 21-ე საუკუნეში, როცა ადამიანის უფლებები გამყარებულია ევროპის კონვენციით და გაერო-ს რეზოლუციებით, საქართველოში ამგვარი ვანდალური ფაქტი ხდებოდეს. კერძოდ, რუსული საოკუპაციო ჯარები სახელმწიფო საზღვრებს უხეშად არღვევენ და მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდს ახორციელებენ. რუსი მესაზღვრეები გეგმაზომიერად ადმინისტრაციული საზღვრების დემარკაციას ახდენენ, აწყობენ საკონტროლო-სასაზღვრო ზოლებს მავთულხლართებით და სხვა სპეციალური მოწყობილობების გამოყენებით. მტკივნეულია, როდესაც მავთულხლართებით ქართულ მიწას ყოფენ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ჟურნალისტების მიერ წამოწყებულ მშვიდობიან საპროტესტო ტალღას ეხმიანება და ანექსიის წინააღმდეგ თავის პოზიციას გამოხატავს“, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს, მშვიდობიან საპროტესტო აქციას შემოერთდნენ.

პირველი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კუკავა: „საქართველოში პოლიტიკური მღელვარება გარდაუვალია“

## რატომ ამბობს ივანიშვილი დამნაშავეების დასჯაზე უარს

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, დიდი გულგატეხილობაა საზოგადოებაში, „ქართული ოცნება“ ნელ-ნელა „ნაციონალურ მოძრაობას“ ემსგავსებაო და როგორ ფიქრობთ, ხომ არ გადაუსწრებენ კიდეც?***

— არ ვიცი, გადაუსწრებს თუ არა, მაგრამ დღეს ნამდვილად არის ის ვითარება, რომ ნელ-ნელა მიმდინარეობს შეპარება ქართული საზოგადოებისათვის, რომ თურმე ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორც ჰპირდებოდნენ საზოგადოებას. ოღონდ ამ ყველაფერს ეუბნებიან არა გაჭრილად, არამედ შელამაზებით. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ქართული მიწების გაყიდვა უცხოელებზე, რომელზეც სანამ საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა, ითქვა, რომ ეს კატეგორიულად მიუღებელია, პირველი ოქტომბრის შემდგომ ითქვა, რომ ეს კარგად მოსაფიქრებელია, მერე გამოცხადდა დროებითი მორატორიუმი და დღეს ეს მორატორიუმიც არის გაუქმებული. ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ სასწრაფოდ უნდა იქნეს განახლებული მიწების ყიდვა-გაყიდვა. დაახლოებით იგივე ვითარებაა ყველა საქმეში, ის რაც არჩევნებამდე კატეგორიულად მიუღებელი იყო, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახდა კარგად მოსაფიქრებელი თემა. საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში აღმოაჩინეს, რომ პრინციპში, სააკაშვილი ყველაფერში მართალი ყოფილა.

***— სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი და როგორ შეაფასებდით არსებულ რეალობას?***

— ეს ყველაფერი დამოკიდებულია ქართველ საზოგადოებაზე, რამდენად სწორ რეაქციას მისცემს შექმნილ ვითარებას, რამდენად დარჩა ქართულ საზოგადოებას ძალები იმისათვის, რომ ამ ყველაფერს წინააღმდეგობა გაუწიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაგრძელდება ის მანკიერი წრე, რასაც 20-22 წელია ვუყურებთ ჩვენს ქვეყანაში, ეს არის ქართული სახელმწიფოს ნგრევა. ჩვენ შეიძლება წარმოვიდგინოთ, მხოლოდ მიწების ყიდვა-გაყიდვის გაგრძელება რას მოუტანს საქართველოს. ვისაც ეს აინტერესებს, შეუძლია წაიკითხოს მე-19 საუკუნის პუბლიცისტიკა, თუ რაზე მოთქვამენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები.

***— რაც შეეხება პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებს, დრაკონულ კანონებს ღებულობენო, ასეთი შეფასებებიც კი მოვისმინეთ. ბევრი ვერც იმაში გაერკვა, თუ რატომ უნდა აეკრძალოს ქვეყნის დატოვება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე?***

— მე ამ კანონის ზუსტ ტექსტს არ ვიცნობ, ის ინფორმაცია კი, რაც საააგენტოებზე დაიდო, არ ვიცი სასაცილო უფროა თუ სატირალი. რა თქმა უნდა, ასეთი რამ არც ერთ ნორმალურ და დემოკრატიულ ქვეყანაში არ ხდება. ქვეყნიდან გასვლის აკრძალვა შესაძლებელია, რა თქმა უნდა, ამას ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, როდესაც ადამიანს ბრალი ედება კონკრეტულ დანაშაულში, მაგრამ ამის გარეშე, უბრალოდ, გარკვეული ეჭვის თუ კაპრიზის საფუძველზე, ამის გაკეთება შეუძლებელი უნდა იყოს.

***— ბატონო კახა, საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა საზოგადოებაზე ბიძინა ივანიშვილისა და ექსპერტების შეხვედრამ, რომელიც გასულ კვირას გაიმართა. რა ამოიკითხეთ მისი განცხადებებიდან და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ პირადად თქვენ, როგორც ოპოზიციური პარტიის ლიდერს?***

— მე, მართალი გითხრათ, დადებითი შთაბეჭდილება დამრჩა, იმიტომ, რომ უკეთესი არასდროს არ მქონია და დადებითი ამ გამოსვლაში ის იყო, რომ ქართველი საზოგადოება შეძლებს უფრო მეტად გაახილოს თვალები და დაინახოს, რეალობაში თუ რას წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილი. რაც შეეხება იმას, თუ რა იყო აქ მნიშვნელოვანი გზავნილები, მე გამოვყოფდი შემდეგს: პირველი — ითქვა ის, რომ არავის აბსოლუტურად არ დაუბრუნდება თავისი ქონება, ვისაც ამის მოლოდინი ჰქონდა და დასახელებული იქნა არარეალური ციფრები, თითქოს შესულია სადღაც 40 ათასი განცხადება და მათი დაკმაყოფილება ბიუჯეტს 6-7 მილიარდის ზარალს მიაყენებსო. ორივე ეს ციფრი არის მოგონებული, არ ვიცი, ეს სკლეროზის ბრალია თუ კიდევ რაღაცა სხვა ტიპის მოვლენისა, მაგრამ ეს ციფრები ჰაერიდან არის მოტანილი და ეს არის მტკნარი სიცრუე, რაც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა. არანაირი 40 ათასი განცხადება არ არის შესული და არც არანაირი მილიარდობით დოლარის ზარალი ბიუჯეტს მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში არ მიადგება. ზარალი შეიძლება მიადგეს ხუხაშვილის, ნაცვლიშვილის და კიდევ იმ ადამიანების ჯიბეებს, რომლებიც ბიძინა ივანიშვილთან არიან დაახლოვებულნი. მე კონკრეტული მაგალითი მოვიყვანე, სხვათა შორის, იმავე შეხვედრაზე მამუკა არეშიძემაც მოიყვანა კონკრეტული მაგალითი, რომ მანქანები, რომელიც წაართვეს თავის დროზე ადამიანებს და დღეს ეს მანქანები დგას ავტოსადგომზე, თუკი დაუბრუნდებათ კანონიერ მესაკუთრეებს, ბიუჯეტს რა ზარალი მიადგება? — არანაირი! იგივე შეიძლება ითქვას მიწის ნაკვეთებზე, ჩამორთმეულ ქონებაზე და ასე შემდეგ. მეორე მნიშვნელოვანი გზავნილი, რაც მან გააკეთა და ასევე კატეგორიულად მიუღებელია ჩემი აზრით ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისთვის, ეს არის ის, რომ დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს მიწების ყიდვა-გაყიდვა აზიომიგრანტებზე, პაკისტანელებზე, ინდოელებზე, ჩინელებზე ტყეების გაცემა. ეს იყო ერთადერთი ნორმალური კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა მიიღო, აი, ამ ყიდვა-გაყიდვის მორატორიუმი და ის განცხადება, რომელიც გააკეთა ბატონმა ივანიშვილმა, რომ ეს დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს, ეს პრინციპში ადასტურებს იმას, რომ ისიც და სააკაშვილიც, არსებითად ერთი და იგივე იდეოლოგიის და კურსის მიმდევრები არიან. რაც შეეხება პირადად ადეიშვილსა და მის პროკურორებზე, რომ ასეთი წესიერები და პატრიოტი ქართველები მას საერთოდ არ უნახავს, ეს საკითხი, ჩემი აზრით, კომენტარსაც არ საჭიროებს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ უბრალოდ არ არის პოლიტიკური ნება ამ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების, თორემ შესაძლებლობა არის?***

— დიახ, პოლიტიკური ნება არის იმისი, რასაც აკეთებენ. ქართველ საზოგადოებას არა გვაქვს გამოცდილება და ამიტომაც მოვტყუვდით არა მარტო ივანიშვილთან მიმართებაში, არამედ ქართველი ხალხი მოტყუვდა შევარდნაძესთან და სააკაშვილთან მიმართებაშიც, როდესაც თავისი არჩევანი გააკეთა ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე. ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ამბობდა, რომ შევარდნაძე დიდი კაცია, აი, მსოფლიო იცნობს და მოდით, მხარი დავუჭიროთ. როგორ შეიძლებოდა აეშენებინა კაგებეს გენერალს და კომუნისტს დამოუკიდებელი საქართველო, ამაზე, ეტყობა, არავინ არ ფიქრობდა. იგივე იყო სააკაშვილის შემთხვევაშიც, როდესაც ჩვენ შევარდნაძის წინააღმდეგ გამოვედით და მხარი დავუჭირეთ სააკაშვილს, ეს იყო უდიდესი შეცდომა. ის შევარდნაძის დანაშაულებების თანამოზიარე, თანამონწილეა და ამიტომ, ბუნებრივია, ის ამ სისტემას ვერ შეცვლიდა. ახლაც მოხდა იგივე, ქართველმა ხალხმა უბრალოდ დაივიწყა, ან არ სურდა გაეხსენებინა, რომ ყველა ის დანაშაული, რომელიც ჩაიდინა სააკაშვილმა 9 წლის მანძილზე, ყველა ამ დანაშაულში მას გვერდში ედგა ბიძინა ივანიშვილი, ხომ? დაწყებული 7 ნოემბრის დარბევით და გაგრძელებული 2008 წლის იანვრის არჩევნების გაყალბებით. ამ ყველაფერში მისი მთავარი დამხმარე, მრჩეველი და დამფინანსებელი იყო ბიძინა ივანიშვილი. ჩემთვის პირადად მოულოდნელი არ არის ის, რაც ახლა ხდება ქართულ პოლიტიკაში. ქვეყანას სჭირდება რეალურად ისეთი პოლიტიკური ძალა, ისეთი მთავრობა, რომელიც არ იქნება კორუმპირებული, რომელშიც არ იქნებიან შევარდნაძის, სააკაშვილის და ივანიშვილის კორუმპირებული მინისტრები და მათი ელიტა და რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი ვალდებულებებისაგან, ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობებისა თუ სპეცსამსახურების წინაშე.

***— ქართველ საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენა სხვაგვარად ესმისო, როგორ უნდა იყოს და როგორ ესმის ხალხს?***

— სამართლიანობის აღდგენა არ ვიცი როგორ ესმის „ქართული ოცნების“ კორუმპირებულ ელიტას, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს სამართალი, არსებობს მარტივი პრინციპი, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს და უდანაშაულო არ უნდა დაისაჯოს. ივანიშვილის მთელი გამოსვლა ექსპერტებთან იყო იმის ახსნა, თუ რატომ არ უნდა დაისაჯოს დამნაშავე და რატომ უნდა დარჩნენ დასჯილი უდანაშაულოები. ეს სამართლიანობა არ არის, ეს არის კოზანოსტრას წესები, რომელსაც ქართველი საზოგადოება, იმედი მაქვს, რომ არ მიიღებს.

***— ყველაზე მეტად სწორედ ამაში ედავება ხალხი, რომ არ მოხდა სამართლიანობის აღდგენა და წართმეული ქონების უკან დაბრუნება...***

— არა მხოლოდ. ეს არის საზოგადოების ერთი ნაწილის პრეტენზია, არის მეორე ნაწილი და დარწმუნებული ვარ, მათ ძალიან მწვავე რეაქცია ექნებათ, მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას როდესაც გაეცნობიან. მე ბოლო პერიოდში ვხვდები ქართველ ბიზნესმენებს, რომლებიც უკიდურესად ნეგატიურად არიან განწყობილნი ივანიშვილის მიმართ იმის გამო, რომ შეპირებული კრედიტები არის სუფთა წყლის ფიქცია და ვერანაირი კრედიტებით ქართველი მეწარმეები ვერ სარგებლობენ. იგივე შემიძლია გითხრათ საზოგადოების ღარიბი ფენების შესახებ, საშუალო ფენების შესახებ, რომლებიც ტარიფების კლებას ელოდებოდნენ. ასევე იცით, რომ საწვავიც დაუბრუნდა თავის ძველ ნიშნულს, ისედაც ბევრით არ დაუკლია, 5 თეთრით გააიაფეს ზრდილობის გულისთვის და ახლა უკვე დაუბრუნდა თავის ძველ ნიშნულს. ანუ რომელიმე სფერო, სადაც შეიძლება ითქვას, რომ რაიმე არსებითი პროგრესია, ალბათ ძალიან გაჭირდება ასეთი სფეროს დასახელება.



***— უკვე ისეთი აღრევა მოხდა, რომ ძნელი გასარკვევია, ვინ ოცნების წარმომადგენელია, ვინ ყოფილი ნაციონალი და ვინ ახლანდელი... ახლა საუბარია, რომ შესაძლოა გიგი უგულავაც „ქართულ ოცნებას“ შეუერთდესო...***

— არც ერთი იყო ნაციონალური მოძრაობა და არც მეორე ქართული ოცნება, ორივენი მოქალაქეთა კავშირის ღვიძლი შვილები არიან. ეს ერთი ელიტაა, ეს არის 90-იანი წლების ელიტა, რომლებმაც საქართველოს ეროვნული სიმდიდრეები ხელში ჩაიგდეს მხედრიონის და აი იმ უბედურებების დროს, ძარცვა-გლეჯვის შედეგად. მერე ზოგი ერთ პარტიაში შევიდა და ზოგიც მეორეში, მაგრამ არსებითად, ეს არის ერთი კორუმპირებული ელიტა. აქ თქვენ ვერ ნახავთ ადამიანებს, რომლებიც თავისი განათლებით, პატრიოტიზმით, ნიჭით, სამშობლოსადმი სიყვარულით არიან ამ საქმეში მოსული. ყველა მოსულია იმ მიზნით, რომ როგორ წაართვან სახელმწიფოს ქონება და შემდეგ როგორ მოახდინონ ამ ყველაფრის ლეგალიზაცია. აი, ეს არის მათი მოტივი.

***— ბატონო კახა, რაც შეეხება კიდევ ერთ აქტუალურ თემას, რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, ბოლო პერიოდია კიდევ უფრო გამწვავდა ეს საკითხი, რომელსაც ზოგიერთი მოახლოვებულ არჩევნებსაც უკავშირებს. თქვენ რა შეფასებები გაქვთ ამ გააქტიურებულ მცოცავ ანექსიაზე?***

— ყველანაირი მოსაზრების განხილვა შესაძლებელია, მე ვფიქრობ, რომ ძალიან არაადეკვატური და არასაკმარისია მთავრობის რეაქცია. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი ისტერიკა და სამხედრო კონფრონტაციის წამოწყება, მაგრამ ის უკიდურესად მშვიდი რეაქცია, რომელსაც ჩვენ ვისმენთ მთავრობის წევრებისაგან, ასევე არაადეკვატურია. ბოლოს და ბოლოს, საუბარია ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციაზე და არა უბრალოდ ამინდის გაუარესებაზე!

***— თქვენი აზრით, ხელისუფლებას რატომ არ აქვს მყარი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში?***

— ვერ გეტყვით. საერთოდ ვერც ერთ შეკითხვაზე ჩვენ ამ ხელისუფლებისაგან პასუხს ვერ ვიღებთ. მათ შეეყარათ ის სენი, რომელიც შეეყარა თავის დროზე სააკაშვილს, გახსოვთ, როდესაც მისი 22-23 წლის მინისტრები გვიმტკიცებდნენ, რომ ჩვენ ყველაფერი ყველაზე უკეთესად ვიცით და ჩვენ საზოგადოების აზრი არ გვაინტერესებს. იგივე ვითარებაა დღესაც, ქართული ოცნების ლიდერები, იძახიან, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით და თქვენი აზრი არ გვაინტერესებს. მე ვერ ვახერხებ, ყოველ შემთხვევაში, მათთან კომუნიკაციას. მაგალითად, ვერაფრით ვერ გავიგე, რატომ არ უბრუნებენ ჩამორთმეულ ქონებას კანონიერ მესაკუთრეებს, რა არგუმენტი არსებობს ამისთვის?! მე ამაზე პასუხი ვერ მივიღე. ასევე ვერ მივიღე არგუმენტი იმაზე, თუ რატომ არ ხდება საერთაშორისო ტრიბუნიდან რუსეთის ოკუპაციის გაპროტესტება? შეიძლება ეს ვიღაცისთვის ღიმილის მომგვრელი იყოს, მაგრამ რეალობა ისიც არის, რომ პრემიერ-მინისტრი პრინციპში სამსახურში არ დადის და ის საკუთარ სახლში ხვდება ექსპერტებსაც, დიპლომატებსაც, უმრავლესობის წევრებსაც. რეალურად ქვეყანას მთავრობა არა ჰყავს. გახსოვთ, რომ ზაფხულში მთელი სამი თვე ურეკში ცხოვრობდა პრემიერი. ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ კრიზისში მყოფი ქვეყნის მეთაური, სამი თვე ისვენებდეს ურეკში. მე, არ ვიცი, ეს რა დონის უპასუხისმგებლობაა.

***— ბატონო კახა, რაც შეეხება მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს, ჩვენ ვხედავთ, როგორ ნაწილდება რეიტინგები, მეორე ადგილს უცვლელად იკავებს დავით ბაქრაძე. რამდენად არის ქართველი ხალხის ოცნება, რომ ბაქრაძე მეორე ადგილზე გავიდეს?***

— შეიძლება ეს ქართველი ხალხის ოცნება არ არის, მაგრამ ქართველი ხალხის არჩევანია, როდესაც მხარი დაუჭირეს ქართულ ოცნებას. სწორედ ასეთ შედეგს გეგმავს ქართული ოცნება. არ არის საიდუმლო და ეს საქართველოს ყველა ქალაქშიც იგრძნობა, რომ ნინო ბურჯანაძეს აქვს ძალიან მზარდი მხარდაჭერა. მე არა ვარ მისი მხარდამჭერი, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, ობიექტურობა მოითხოვს ამას. ხოლო ქართულ ოცნებასა და ნაციონალებს შორის არსებობს ეს შეთანხმება, რომ პარიტეტულად გააყალბონ არჩევნები ნინო ბურჯანაძის ხარჯზე. არც მარგველაშვილს არ ყოფნის ხმები იმისთვის, რომ პირველ ტურში მოიგოს არჩევნები და არც ბაქრაძეს არ ყოფნის ხმები იმისთვის, რომ მეორე ადგილი დაიკავოს. თუკი ბურჯანაძეს მოპარავენ ამ ხმებს, ასეთ შემთხვევაში ორივე ბედნიერი იქნება.

***— რას ელოდებით არჩევნების შემდეგ?***

— მე ვფიქრობ, რომ გარდაუვალია ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური მღელვარება და კრიზისი.

# დავით ბაქრაძე დვანში ჩავიდა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი დავით ბაქრაძე სოფელ დვანში იმყოფებოდა. როგორც „მედიანიუსს“ ნაციონალური მოძრაობიდან აცნობეს, დავით ბაქრაძე ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდებს, ერთი დღის განმავლობაში შეწყვიტონ პოლიტიკური აქტივობები და ერთად გააპროტესტონ მცოცავი ოკუპაცია.

მისი ინიციატივით, მნიშვნელოვანია ერთობა, რათა შეწყდეს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია.

რუსეთის მიერ ახალი საოკუპაციო ხაზის გავლებამ დვანი ორ ნაწილად გაყო და რამდენიმე ოჯახი უსახლკაროდ დატოვა.

**მედიანიუსი**

# პროკურატურა: „ახალაიას პროცესი არჩევნებთან კავშირში არ არის“

ნათია ხურცილავა

საქალაქო სასამართლოში გუშინ ბაჩო ახალაიას პროცესი განახლდა. ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე პროკურორის მოთხოვნით სასამართლო 1 კვირით გადაიდო.

საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე პროკურორი რევაზ ნადოი პროკურორმა ია დარჯანიამ შეცვალა, რომელმაც განაცხადა, რომ დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად მას 10-დღიანი ვადა არ ეყო.

დარჯანიამ კიდევ 20 დღე ითხოვა დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად.

პროკურორის განცხადებას დარბაზისა და დაცვის მხარის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ახალაიას ადვოკატმა გოგა ონიანმა განაცხადა, რომ პროკურატურა პოლიტიკური თამაშებიდან გამომდინარე მოქმედებს და არა საქმის ვითარებიდან.

— არჩევნები ხომ არ გადმოგვეწია ახლოს, რომ ეს ადამიანი ასეთ მდგომარეობაში არ გვყოლოდა? — განაცხადა ონიანმა.



როგორც პროკურორმა განმარტა, ეს ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის ბრალდების საქმე არ არის, რეზონანსული საქმეა, დიდია საზოგადოების ინტერესი და ამიტომ დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად მას დრო კიდევ სჭირდება.

— აქ თქვეს, რომ შეგნებულად აჭიანურებს პროკურატურა. მე პოლიტიკოსი არ ვარ, მე ბრალდება მქვია. შეუძლებელია, რომ ვინმესთვის ცნობილი იყოს მოსამართლის გადაწყვეტილება წინასწარ. მე ამას არჩევნებს არანაირად არ ვუკავშირებ. — განაცხადა პროკურორმა.

სხდომის გადადება ასევე არ სურდა თავად ბრალდებულს.

საბოლოოდ, მოსამართლემ პროკურორს დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად ერთკვირიანი ვადა მისცა და სხდომა 7 ოქტომბერს ჩაინიშნა.

# ხათუნა გოგალაძე: „გარემოს დამცველები არ შეიძლება, იყვნენ ჰესების წინააღმდეგნი“

შორენა მარსაგიშვილი

გარემოს დაცვის სამინისტრო ბოლო ხანებში ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ენერგეტიკის სამინისტრო და გარემოს დამცველები მათგან ელოდებიან დასკვნას. მოგეხსენებათ, რომ კალაძის სამინისტრო ჰესების აშენებას აპირებს. ადგილობრივი მოსახლეობა და გარემოსდამცველები ამას აპროტესტებენ. ხათუნა გოგალაძის უწყებამ ერთხელ უკვე დადო უარყოფითი დასკვნა. გარემოს დაცვის სამინისტრომ მეჰესეებს ხდის ხეობაში ჰესის აშენებაზე უარი უთხრა. ამან ენერგეტიკის მინისტრი ძალიან გაამწარა. კალაძე ხდის ხეობაში გაიჭრა და იქ დაბანაკებულ მეჰესეებს შეჰფიცა, აქ ჰესი მაინც აშენდებაო. მოსახლეობამ დახმარებისთვის საქართველოს პატრიარქს მიმართა. პატრიარქს სვანებმაც სთხოვეს მხარდაჭერა. ისინი ითხოვენ, რომ ხუდონჰესი არ აშენდეს.

პატრიარქმა ეს თხოვნა ივანიშვილს გადასცა. იმან კი პატრიარქი ჰესების აშენების აუცილებლობაში დაარწმუნა. ახლა ჯერი გარემოს დაცვის სამინისტროზეა. სწორედ ამიტომ იყო ყურადღების ცენტრში მისი მოხსენება. ხათუნა გოგალაძე გუშინ პარლამენტის წინაშე წარსდგა.

მინისტრს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზე მოუსმინეს. პარლამენტში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ხათუნა გოგალაძე და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი ხონის, თერჯოლის და ქუთაისის 25-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე ქუთაისის 25-ე სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრმა თეკლა მებურიშვილმა ხათუნა გოგალაძეს კითხვა გიგანტურ ჰესებთან დაკავშირებით დაუსვა. კერძოდ, მას აინტერესებდა, რატომ აყენებენ ეჭვქვეშ გარემოსდამცველები ჰესების აშენების საკითხს, რაზეც მინისტრმა მას უპასუხა, რომ გარემოსდამცველებმა არ შეიძლება წინააღმდეობა გაუწიონ ჰესების აშენებას, რადგან ჰესი მწვანე ენერგეტიკაა:

— ჰესები საერთოდ — ეს არის მწვანე ენერგეტიკა. თბოელექტროსადგურებისგან, ატომური ელექტროსადგურებისგან განსხვავებით, ეს არის სუფთა ენერგია. შესაბამისად, გარემოსდამცველებისათვის ჰესები, მწვანე ენერგეტიკა, ისევე როგორც ენერგეტიკასთან მიბმული ენერგოეფექტურობა, ეს არის ყოველთვის მისასალმებელი და კარგი. როდესაც გარემოსდამცველები ჰესებზე საუბრობენ და რაღაც პრობლემებს ხედავენ, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმ მოსაზრებით გამოწვეული, რომ მწვანე ენერგეტიკა ძალიან კარგია, გვინდა, ეს აუცილებელია, ქვეყნის განვითარებას და ეკონომიკას ჭირდება, ყველაფერს ჭირდება, ამაზე საუბარი არ არის. საუბარია ყოველთვის იმაზე, ესა თუ ის კონკრეტული ჰესი ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილას რა ზიანს აყენებს გარემოს, ხომ არ არის ეს ზიანი შეუქცევადი პროცესების გამომწვევი გარემოსათვის, ეს ზიანი სხვა სოციალურ პრობლემებს ხომ არ გამოიწვევს, რამდენად არის ამ ყველაფერში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა, იმიტომ რომ ადგილობრივ მოსახლეობას კი არა ქვეყნის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამდენად ღრმად და სრულფასოვნად არის ჩატარებული ის კვლევები, რომლებმაც უნდა განსაზღვროს იგივე ჰესთან, თუ მის გარემოსთან ზემოქმედებასთან დაკავშირებული შედეგი. ყოველთვის საუბარია ამ მიმართულებით. სამწუხაროდ, ცუდად ხდება ხოლმე ამის გაგება, რომ გარემოსდამცველები ჰესების წინააღმდეგი არიან. გარემოსდამცველები არ შეიძლება იყვნენ ჰესების წინააღმდეგი, ზოგადად ასე, იმიტომ რომ ეს არის სუფთა ენერგია, მაგრამ მათ ყოველთვის აქვთ ძალიან ფრთხილი დამოკიდებულება გარემოს მიმართ. თუ რამე კითხვები აქვთ ეს არის ყოველთვის იმასთან კავშირში, თუ რა მოსდის ამ დროს გარემოს. ვიცით, ზუსტად არის ეს ყველაფერი შეფასებული? რა მოუვა ბიომრავალფეროვნებას, გეოლოგიის კუთხით როგორ გვაქვს საქმე, ხომ არ გამოიწვევს ზედმეტ ეროზიებს, რისი დაკარგვა ხდება და რას ვიღებთ. ეს არის კითხვები, რომლებიც გარემოსდამცველებს აწუხებთ ხოლმე ყველა პროექტთან დაკავშირებით და ჰესებიც მათ შორის არის, — განაცხადა გარემოს დაცვის მინისტრმა.



გარემოსდამცველები, არასამთავრობოები, საზოგადოების ნაწილი კი კვლავ ჰესების წინააღმდეგ გამოდის. იმართება საპროტესტო აქციები. განსაკუთრებით მწვავე ვითარება სვანეთში. ათეულობით ადამიანმა ხატზე დაიფიცა რომ ჰესის აშენებას არ დაუშვებენ.

ჰესების აშენების ერთ-ერთი ყველაზე აქრიური მოწინააღმდეგე ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივაა“. ამის გამო მათ კალაძემ რამდენჯერმე დაატეხა თავზე რისხვა.

## რა სარგებლობა მოაქვს ჰესებს

ენერგეტიკოსების და მეჰესეებს „მყარი“ არგუმენტები აქვთ. დაიჩემეს დენი ხომ გინდათო და ბუნების განადგურება არ ადარდებთ. ამის გარდა ამტკიცევებ, რომ გიგანტური ჰესები ბუნებას ზიანს არ მიაყენებს. მავანი არც ცრუ დასკცნების დაწერას ერიდება.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ შეფასებით, ყაზბეგში, ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობით, გარემოს დეგრადაციის ხარჯზე, სარგებელს მხოლოდ პროექტის განმახორციელებელი კომპანია მიიღებს. „მწვანე ალტერნატივას“ განცხადებით, „ყაზბეგი ჰესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალი ანგარიში წინა ანგარიშისგან, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტრომაც დაიწუნა, არაფრით განსხვავდება.

შპს „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობა, ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადზე — ბროლისწყალზე იგეგმება. გზშ ანგარიშის მიხედვით, 6 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური დერივაციული ტიპის უნდა იყოს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ჰესის მშენებლობა დროებით შეჩერდა. გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ „ყაზბეგი ჰესის“ გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა მოაწყო. სამინისტროს წარმომადგენლები ყაზბეგს თავადაც ეწვივნენ და ის ადგილი ნახეს, სადაც მდინარე ბროლისწყალზე „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობა იგეგმებოდა. ჰესის მშენებელი კომპანიის წარმომადგენელმა ლაშა იორდანიშვილმა განაცხადა, რომ ჰესის მშენებლობის და ოპერირების დროს შემარბილებელ ღონისძიებებს გამოიყენებდნენ, თუმცა გარემოს დაცვის სამინისტრომ, ჰესის მშენებლობაზე ნებართვა არ გასცა.

2013 წლის ივლისში შპს „ყაზბეგი ჰესმა“ მდინარე ბროლისწყალზე ჰესის მშენებლობისათვის აუცილებელი ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის გასაცემად, გარემო დაცვის სამინისტროს ისევ მიმართა. ჯერ უცნობია, როდის მიიღებს სამინისტრო გადაწყვეტილებას ხდის ხეობაში ასაშენებელ ჰესთან დაკავშირებით. მანამდე „ყაზბეგი ჰესის“ გზშ–ს ახალ ანგარიშთან დაკავშირებით, კრიტიკული შენიშვნები გამოაქვეყნა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“.

— ახლად წარმოდგენილი გზშ ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის ინიციატორი გვთავაზობს ზუსტად იმავე პარამეტრებისა და დიზაინის ჰესის მშენებლობას, რასაც წინა პროექტით გვთავაზობდა. იგივეა ჰესის დადგმული სიმძლავრე (6 მეგავატი), წყალმამღებისა და ჰესის განლაგების ადგილები/ნიშნულები, ჰესის ტიპი, დერივაციის მონაკვეთის სიგრძე,დერივაციული მილის ტრაექტორია, მშენებლობის პერიოდში გასაჩეხი ტყის მონაკვეთი და სხვა ჰაბიტატები, რომლებსაც დააზიანებს/გაანადგურებს პროექტი და ა.შ. გზშ-ს ახალ ვერსიაში, ყველაზე დიდი პრობლემა ისევ ეკოლოგიური ხარჯია. პროექტის მიხედვით, განზრახულია იგივე რაოდენობის წყლის დატოვება მდინარის ბუნებრივ კალაპოტში, რაც განსაზღვრული იყო წინა პროექტის დროს. საშუალო წლიური ხარჯის „ნორმად“ დადგენის მეთოდი არასწორია. როგორცაღნიშნული იყო წინა გზშ პროექტის შეფასებისას ექსპერტების მიერ, ირიბი მეთოდით გამოთვლილი საშუალო მრავალწლიური ხარჯი ისედაც დიდ ცდომილებას მოიცავს, რაც არ გამორიცხავს, რომ შემოთავაზებული 10% რეალურად მნიშვნელოვნად ნაკლები აღმოჩნდეს, — აცხადებს „მწვანე ალტერნატივას“ ბიომრავალფეროვნების კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი.

„მწვანე ალტერნატივას“ შეფასებით, გზშ-ს ახალი ანგარიშის ტექსტი ისეა შედგენილი, რომ ხდის ხეობის ბიომრავალფეროვნება მაქსიმალურად დაკნინდეს:

— ანგარიშის ტექსტი ისეა შედგენილი, რომ მაქსიმალურად იქნეს დაკნინებული ხდის ხეობის ბიომრავალფეროვნების ღირებულება,რათა საბოლოოდ გაკეთდეს დასკვნა, თითქოს ხდის ხეობაში ღირებული არაფერია და ამდენად არც არაფერი გაფუჭდება პროექტის განხორციელებით. გზშ–ს ანგარიშში არასრულყოფილადაა აღწერილი რეგიონის ტურისტული პოტენციალი დაინფრასტრუქტურა; „ყაზბეგი ჰესის“მშენებლობა და ოპერირება საფრთხეს უქმნის ხდის ხეობის ფლორისა და ფაუნის იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს. განადგურდება ხეობის ხელუხლებელი, უნიკალური ლანდშაფტიც, — ნათქვამია „მწვანე ალტერნატივას“ ანგარიშში. რომელსაც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი აქცეყნებს.

„მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნები აქვს გზშ-ს ანგარიშის მოსამზადებლად ჩატარებულ კვლევებთან დაკავშირებითაც. ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, ახალი ანგარიშისთვის მდინარის ჰიდროლოგია არავის შეუსწავლია. ასევე, ხეობაში გადაადგილებული ვიზიტიორების მონიტორინგი განხორციელდა იმ პერიოდში, როცა ალპინიადები არ ტარდება. ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ დროის ეს მონაკვეთი მიზანმიმართულად, ხდის ხეობის მნიშვნელობის დასაკნინებლად შეირჩა.

— არადამაჯერებელია მტკიცება, რომ „ყაზბეგი ჰესი“-სადმინისტრაცია ბოლო 6 თვის განმავლობაში სისტემატურად აწარმოებს მდინარე ბროლისწყლის ხეობაში გადაადგილებული ვიზიტიორების მონიტორინგს. მათ ანგარიშში წერია, რომ ხეობაში ასასვლელი გზის მიმართულებით დამონტაჟებულია ვიდეოკამერა, რომელიც აღრიცხავს ხეობაში გადაადგილებულ ყველა პირს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მონიტორინგის შედეგების მიხედვით, აღრიცხული არ არის ხეობაში გაადგილებული არცერთი ვიზიტიორი. თვალშისაცემია, რომ ასეთი წინადადება საჭირო გახდა ხდის ხეობის მნიშვნელობის დასაკნინებლად. საქმე კი ისაა, რომ აღნიშნული თვეების განმავლობაში არ ტარდება ალპინიადები, ხოლო ვიზიტორების თავისუფალ გადაადგილებას მესაზღვრეები ზღუდავენ, — აღნიშნავს ირაკლი მაჭარაშვილი.

„მწვანე ალტერნატივას“ შეფასებით, არასაკმარისია საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევებიც. ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, როგორც „ყაზბეგი ჰესის“ ანგარიშიდან ჩანს, უარყოფითი ეკოლოგიური დასკვნის შემდეგ ახალი კვლევები არ ჩატარებულადა არ არის შესწავლილი მდინარის ჰიდროლოგია და მყარი ჩამონატანი.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია ზოოლოგიური და ბოტანიკური მიმართულებით ჩატარებულ კვლევასაც იწუნებს.

— მაისში 3 დღისა და ივნისში 4 დღის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით შეუძლებელია სარწმუნო ინფორმაციის მოპოვება „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველებზე. შესაბამისად, მიღებული დასკვნები საკმაოდ ზედაპირული და არადამაჯერებელია. ბოტანიკურ ნაწილში გაუგებარია, რომელი სახეობები განადგურდება მშენებლობის შედეგად. საერთოდ არაფერია ნათქვამი, რა სახის ზეგავლენას იქონიებს ფლორაზე ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შემცირება. გაუგებარი რჩება, რამდენი ხე მოიჭრება პროექტის განხორციელების შედეგად, რომელი სახეობის, ასაკის დარა ზეგავლენას იქონიებს ეს ნიადაგის სტრუქტურასა და ფაუნაზე. გაუგებარია ტყის ჭრის შედეგად დაზიანებული გარემოს საკომპენსაციო სამუშაოების შესახებ მოცემული ინფორმაცია, — ამბობს ირაკლი მაჭარაშვილი.

მაჭარაშვილის შეფასებით, წინააღმდეგობრივი და არასანდოა „ყაზბეგი ჰესის“ გზშ–ს ანგარიშში დაცული სახეობების შესახებ მოცემულ ინფორმაციაც.

— არასწორია მტკიცება, თითქოს კანონმდებლობით დაცული სახეობები - ჯიხვი, არჩვი, დათვი, ფოცხვერიდა წავი - მდ. ბროლისწყლის ხეობაში არ ბინადრობენ. გზშ ანგარიშში პროექტის განხორციელების სასარგებლო არგუმენტად მოყვანილია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე დაცული სახეობების (წავი, კალმახი) პოპულაციები ძალიან მცირერიცხოვანია. სინამდვილეში, ეს კიდევ უფრო მეტი არგუმენტია პროექტის საწინააღმდეგოდ. თუ პოპულაცია მცირერიცხოვანია, ის კიდევ უფრო მგრძობიარეა ჰაბიტატის დეგრადაციის მიმართ. შესაბამისად, შემოთავაზებული დიზაინით პროექტის განხორციელება, რაც გულისხმობს მდინარის ბუნებრივ კალაპოტში 10% ბუნებრივი ჩამონადენის დატოვებას, ძალზე სერიოზულ ზიანს მიაყენებს დაცულ სახეობებს“, - აცხადებს ირაკლი მაჭარაშვილი.

ანგარიშის მიხედვით, გარემოსდაცვითი ორგანიზაციის ანალიტიკოსი სადავოდ ხდის ასევე, თევზების შესახებ მოცემულ ინფორმაციასაც, რომელიც მისი თქმით, არათანმიმდევრული და გაუგებარია, მოცემულია სხვადასხვა მონაცემი და არ არსებობს არცერთი წინადადება, „რომელიც გასაგებს გახდიდა, რომელი სახეობის თევზები ბინადრობენ საკვლევ ტერიტორიაზე“.

„მწვანე ალტერნატივაში“ ასევე არასწორად მიიჩნევენ ფაუნის სახეობების აღრიცხვისთვის მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდის გამოყენებას. ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, ადგილობრივებისთვის კითხვის დასმა იმის თაობაზე, მოპოვებული აქვთ თუ არა კანონმდებლობით დაცული სახეობა, სისხლის სამართლის დანაშაულზე აღიარებითი ჩვენების თხოვნას ნიშნავს.

მაჭარაშვილი არასერიოზულს უწოდებს „ყაზბეგი ჰესის“ გზშ-ს ანგარიშში მითითებულ საკომპენსაციო ღონისძიებებს. 11 სეტემბერს, გზშ-ს ანგარიშის განხილვაზე, ცნობილი გახდა, რომ ჰესის მშენებელი კოპანია შპს „ფერი“ ზიანის საკომპენსაციოდ ინფრასტრუქტურის მოწყობას, ვიზიტორებისთვის დასასვენებელი მოედნის გაკეთებას, სათავე ნაგებობამდე საავტომობილო გზის მიყვანას, გადმოსახედის, საფეხმავლო გზისა და ვიზიტორის სახლი გაკეთებას გეგმავს.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია ასკვნის, რომ „ყაზბეგი ჰესი“ყაზბეგის დაცული ტერიტორიის ეკოლოგიური ერთიანობის უზრუნველყოფისთვის სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს და პროექტის განხორციელების შედეგად, საბოლოოდ დაირღვევა ყაზბეგის ეროვნული პარკის ეკოსისტემები.

# შოთა მალაშხია: „ივანიშვილი გეოგრაფიაში ვერ ერკვევა“



შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატ შოთა მალაშხიას მუზა ისევ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილია. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე პრემიერის განცხადებებს ყურადღებით კითხულობს და დასკვნებიც გამოაქვს. ახლა დაასკვნა, რომ ივანიშვილი გეოგრაფიაში ვერ ერკვევა.

ქარელის რაიონის სოფელ დვანში რუსი სამხედროები მავთულხლართებს ავლებენ. ამას საქართველოს ხელისუფლება მშვიდად უმზერს. რამდენიმე დღის წინ პრემიერმა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი სოჭის ოლიმპიადას უკავშირდება.

პრემიერის ეს განცხადება მთელმა ნაცმოძმა დაგმო. მალაშხია ბუნებრივია გამონაკლისი ვერ იქნებოდა. მისი გაბცხადებით, პრემიერის ასეთი პოზიცია მის უცოდინარობაზე მეტყველებს.

— ეს იყო უცოდინარობის მწვერვალი, როდესაც პრემიერმა განაცხადა, რომ ცხინვალის შემოღობვა ხდება იმისთვის, რომ ოლიმპიადას არ შეეშალოს ხელი. მაინტერესებს, ბიძინა ივანიშვილს გეოგრაფიაში რა ნიშანი ჰყავდა, ან თუ მისი გეოგრაფიის მასწავლებელი ცოცხალია, მოგვცეს განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით! ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებამ არ იცის, რა არის რუსული პოლიტიკა და თუ ჩვენ არ ვიქნებით თანამიმდევრულნი და არ გამოვიყენებთ საერთაშორისო ბერკეტებს, საერთაშორისო სასამართლოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებულ ყველა სტრუქტურას, საბჭოთა კავშირის აღდგენის სურვილით შეპყრობილი ადამიანები უფრო მკაცრ კონტროლს გაატარებენ ჩვენს სახელმწიფოში, — განაცხადა „ფრონტ ნიუსის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე მალაშხიამ.

ეტყობა მალაშხიამ მისი თანაპარტიელების ცოდნის შესახებ არაფერი იცის. რამდენიმე წლის წინ ერთი ცნობილი ნაციონალი დეპუტატი რუკაზე გამწარებული ეძებდა იუნესკოს.

მალაშხიამ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის სირვილიც შეაფასა. მისი თქმით, ეს სხვა არაფერა თუ არა პოლიტიკური პასუხისგებლობის თავიდან არიდება და მისი ოჯახისა და კაპიტალის გადარჩენის მცდელობა.

— ივანიშვილი გარბის პოლიტიკიდან იმისთვის, რომ გაექცეს პოლიტიკურ პასუხისგებლობას, რომელიც არჩევნების წინ აიღო. მას, ცხადია, ექნება სურვილი, გააკონტროლოს ხელისუფლება პასუხისგებლობის გარეშე, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. ეს არის „მაოხრებელი გზირი“, რომელმაც არც სიცოცხლის განმავლობაში დააყენა საშველი იმ სოფელს, სადაც ცხოვრობდა და სიკვდილის მერე კიდევ უფრო ააოხრა თვისი ქვეყანა. ამიტომ ამის საშუალება ამ არჩევნების გზით არც მას და არც მის ხელისუფლებას უნდა მიეცეს, — განაცხადა შოთა მალაშხიამ

# გიგლა ბარამიძე: „საააკაშვილ-მერაბიშვილისეული საარჩევნო მეთოდები ცოცხალია!“

შორენა გონგლაძე

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ საპრეზიდენტო კანდიდატის – ნინო ბურჯანაძის თბილისის საარჩევნო შტაბი საგანგებო განცხადებას ავრცელებს და წინასაარჩევნოდ დაფიქსირებული ზეწოლისა და პროვოკაციების შესახებ საუბრობს.

განცხადება თბილისის შტაბის ხელმძღვანელმა გიგლა ბარამიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე გააჟღერა. ბარამიძე აცხადებს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება არათანაბარ პირობებში უწევთ. როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობენ, რითიც საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები ირღვევა.

– თბილისის საარჩევნო შტაბი ოფიციალურად და პრინციპულად აღნიშნავს, რომ მიუხედავად დღევანდელი ხელისუფლების მრავალმხრივი დაპირებისა, რომ საარჩევნო პერიოდი სამართლიან და მიუკერძოებელ საარჩევნო გარემოში ჩაივლიდა, დღითიდღე სულ უფრო და უფრო იგრძნობა პრობლემები. კონკრეტულად: წინასაარჩევნო კამპანია ტარდება არათანაბარ პირობებში. კვლავ ცოცხალია სააკაშვილ-მერაბიშვილისეული მეთოდები, ურთიერთკოჰაბიტირებული „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ სარგებლობენ დიდი უპირატესობით და ირღვევა ყველა საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები. მაშინ, როდესაც ჩვენ პარტიას არ აქვს დაფინანსება, ხდება უპრეცედენტო ფაქტი: პრეზიდენტობის კანდიდატი, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ვერ სარგებლობს უფასო სარეკლამო დროით, რაც საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, დემოკრატიული არჩევნების დროს მიუღებელია.

მარგველაშვილისა და ბაქრაძის შეხვედრების გაშუქების ფონზე, ქალბატონი ნინო ბურჯანაძის შეხვედრები რატომღაც ყოველთვის შუქდება ბოლოს. დაიწყო პროვოკაციები მერაბიშვილი-უტიაშვილის უწყების აქტიური თანამშრომლების მხრიდან, რომლებიც გადავიდნენ „ოცნების“ შტაბებში, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში ასევე საუბარია იმ გარემოებაზე, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან აქტიურად ხდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

– უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე არის „ქართული ოცნების“ მინისტრი, რომელიც აქტიურად არის ჩართული მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიაში, აქტიურად გამოიყენება სახელისუფლებო ადმინისტრაციული რესურსი.

მიმდინარეობს ზეწოლა პედაგოგებზე, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე, საჯარო სექტორის მუშაკებზე, რათა ისინი ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრებზე არ მივიდნენ; უცნობი ადამიანები ატარებენ გაურკვეველ გამოკითხვებს ჩვენი პარტიის სახელით; გრძელდება ჩვენ აქტივისტებზე, მხარდამჭერებსა და ოფისების მეპატრონეებზე ზეწოლები. ჩვენ აქტივისტებს ყოველდღიურად იბარებენ აუდიტის სამსახურში და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში, სადაც დღემდე მუშაობენ ნაციონალური მოძრაობის წევრები, სადაც პერმანენტულად ხდება დაკითხვები, ზეწოლები, დაკითხვის პროცესის ვიდეო და ფოტო გადაღებები.

28 სექტემბერს აუდიტის სამსახურში დაბარებული იქნა და დაიკითხა ჩვენი პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის ოფიციალური საარჩევნო კამპანიის ფონდის ფინანსური დირექტორი (ფონდის თავმჯდომარეა ყველასათვის ცნობილი მსახიობი, გია ბურჯანაძე). ჩვენს პარტიულ აქტივისტებს ულებენ ფოტოებს შტაბების მიმდებარე ტერიტორიებზე და ცდილობენ მათ პროვოცირებას. ჩვენს ოფისებთან მორიგეობენ პოლიციის საპატრულო მანქანები, რომლებიც ნაცვლად თავიანთი უშუალო მოვალეობისა, რატომღაც დგანან და რაციით გადასცემენ, რამდენი ადამიანი შედის და გამოდის ოფისიდან, რამდენი დროშა კიდია და ა.შ. მაგალითად, 27 სექტემბერს ავჭალის დამატებით ოფისთან, 28-ში მუხიანში იდგა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. მსგავსი ფაქტებია სხვა რაიონებშიც, – ნათქვამია განცხადებაში.

„დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ წარმომადგენლები თვლიან, რომ ახალი ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის მიერ დანერგილ წესებს წარმატებით მიყვება.

– სამწუხაროა, რომ დღევანდელი ხელისუფლება აგრძელებს ნაციონალური მოძრაობის მიერ დანერგილი არჩევნების ჩატარების წესს. კერძოდ, მათ არ დააბრუნეს საარჩევნო კოდექსიდან, 67პ მუხლიდან ამოღებული ჩანაწერი, რომლითაც წარმომადგენელს ენიჭებოდა უფლება, ეჭვის შემთხვევაში მოეთხოვა და თავად გადაეთვალა ბიულეტენები უბანზე ხმის დათვლის პროცესში, ეს იყო ყველაზე სერიოზული კონტროლის მექანიზმი არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისათვის, რომელსაც კომისიის წევრი არ ჰყავს.



ასევე, არჩევნები ტარდება სააკაშვილის დროინდელი გაბერილი, გაყალბებული სიებით, თუმცა ჩვენ გვახსოვს „ქართული ოცნების“ და პრემიერ-მინისტრის დაპირებები, რომ მოახდენდა ამ სიების გადამოწმებას ბიომეტრიული პარამეტრებით. სამწუხაროდ, დაპირება დაპირებად დარჩა. ამავე დროს, სულ უფრო გახშირდა თბილისსა და რეგიონებში პროვოკაციები. მაგალითად, 24 სექტემბერს, გლდანში, ქალბატონი ნინოს მრავალათასიან ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს, ჩვენს ხალხთან მიგზავნილი იყო პროვოკატორთა ჯგუფი, რომლებიც ცდილობდნენ აეტეხათ ხმაური, მაგრამ ჩვენმა მხარდამჭერებმა შეძლეს მათი გაყვანა ტერიტორიიდან.

მსგავსი რამ მოხდა 24 სექტემბერს საბურთალოზეც, სადაც უცნობი ნიღბიანი ახალგაზრდები ცდილობდნენ პროვოკაციების გზით ხელი შეეშალათ შეხვედრისათვის.

27 სექტემბერს, როდესაც ქ-ნი ნინო თავის მხარდამჭერებთან ერთად მივიდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების ხსოვნის მემორიალთან, ძვირადღირებული დაბურულმინებიანი ჯიპებიდან გადმოცვივდნენ მთაწმინდის რაიონის ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები, რომლებიც იქ მიავლინა მთაწმინდის ნაცმოძრაობის შტაბის თავმჯდომარის მოადგილემ – იმერლიშვილმა. ისინი ყვიროდნენ – ახალაია გმირია, ახალაიას ძეგლი უნდა დავუდგათო, შეეცადნენ ჩაეშალათ ღონისძიება. ერთმა პიროვნებამ შეძახილებით „ახალაია გმირია“ პეპსი-კოლას ბოთლის სროლაც კი გაბედა, თუმცა პოლიცია პასიურობდა. იძულებული გავხდით, ყოველივე ეს ჩვენივე ძალებით აღგვეკვეთა. სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს ხდება სამართალდამცავი ორგანოების სრული პასიურობის ფონზე. ჩვენ მივმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, უწყებათაშორის კომისიას, ხელისუფლების ადგილობრივ სტრუქტურებს, ხელი შეუწყონ ნინო ბურჯანაძის ამომრჩევლებთან შეხვედრების ჩატარებას მშვიდ გარემოში, რეალურად დაიცვან წესრიგი, დროულად აღკვეთონ ნებისმიერი პროვოკაციის ფაქტი.

ამავე დროს, აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს საკითხი გაყალბებულ სოციოლოგიასთან დაკავშირებით. ჩვენ უნდა ვფლობდეთ სანდო ინფორმაციას ჩვენი მოქალაქეების განწყობების შესახებ. ამიტომ, აუცილებელია, საქართველოში ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია – ერთიანი სოციოლოგიური საბჭო, რომელიც ერთიან ბაზაზე დაყრდნობით გააკეთებს კომპეტენტურ კვლევებს და ადამიანებს მისცემს სწორ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა განწყობებია მოსახლეობაში.

ჩვენ მოვუწოდებთ საპარლამენტო უმრავლესობას და პარლამენტის თავმჯდომარეს, სისხლის სამართლის კოდექსში დაუყოვნებლივ იქნას შეტანილი ნორმა, რომელიც გაამკაცრებს ზომას არჩევნების გაყალბების ორგანიზატორების მიმართ.

ამიტომ ლოგიკურია ქალბატონი ნინო ბურჯანაძის შენიშვნა, რომ დაუშვებელია ბიძინა ივანიშვილი წავიდეს პოლიტიკიდან გამყალბებლის სახელით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ჩვენ ხელისუფლებისგან მოვითხოვთ ნორმალური საარჩევნო გარემოს შექმნას, რათა წინასაარჩევნო პერიოდმა დემოკრატიულ ვითარებაში ჩაიაროს. ჩვენ არ მივდივართ სხვის მიტინგებზე და არავის ვუშლით ხელს, იგივეს ველოდებით ჩვენი ოპონენტებისგან. ჩვენ სრულიად საქართველოში გვყავს ყველაზე აქტიური მხარდამჭერები. ჩვენ გამოვრიცხავთ და არ დავუშვებთ გაყალბებას! ყოველ ხმას კანონიერი გზით დავიცავთ, – ნათქვამია განცხადებაში.

# ნინო ბურჯანაძე: „საჭირო საქმეებს ბაქრაძის მოწოდების გარეშე გავაკეთებ“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, გუშინ ამომრჩევლებს სამტრედიის რაიონში შეხვდა. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ადგილობრივების პრობლემების მოს-



მენის შემდეგ, შეკრებილ საზოგადოებას საარჩევნო პროგრამის პრიორიტეტები გააცნო.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრას მოსახლეობის უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა ესწრებოდა.

„მე ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს სამტრედიაში ამდენი ადამიანი დაგვხვდა, ასე თბილად და გულწრფელი მოლოდინით. ჩემთვის ამ ადამიანების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. მათი მხარდაჭერით დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებ. ჩემი მთავარი გზავნილი არის ის, რომ მე აღვადგენ ქვეყანაში სამართლიანობას. სამართლიანობა იქნება ყველგან და ყველასთვის. მე შევძლებ, რომ აღვადგინო ჩატეხილი ხიდები აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან. მე შევძლებ იმას, რომ ქვეყანა სწორ გზაზე დავაყენო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და დარწმუნებული ვარ, რომ ამაში ჩვენი საზოგადოების დიდი მხარდაჭერა გვექნება“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ამ რაიონმა თავისი ფუნქცია დაიბრუნოს და ზოგადად ქვეყანამ შეძლოს მართლაც ნორმალურ კალაპოტში ცხოვრების გაგრძელება, მეზობლებთან ურთიერთობების დალაგება, საკუთარი გზის პოვნა და ის, რასაც ქვეყნის რეალური წინსვლა ჰქვია.

გუშინვე, ნინო ბურჯანაძე ცაგერის მოსახლეობასაც შეხვდა. ამომრჩეველთან შეხვედრის შემდეგ კი, ნინო ბურჯანაძე მეუფე სტეფანემ საკუთარ რეზიდენციაში მიიღო და დალოცა.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი დღესვე ლენტეხის მოსახლეობასაც შეხვდა, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობის უპრეცედენტოდ მაღალი რაოდენობა დაფიქსირდა.

„მე არ მიკვირს რომ ამდენი ხალხი დამხვდა აქ, რადგან ლეჩხუმი ჩემი კუთხეა, მე ლეჩხუმელი ვარ, ჩემი სოფელი – ორბელი კი, აქედან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით არის. ეს ადამიანები ჩემთვის ძალიან ახლობლები და ძვირფასები არიან. თუმცა, რა თქმა უნდა, მთელი საქართველო ჩემი სამშობლოა. მე დღეს მათ ჩემი საპრეზიდენტო პროგრამის ძირითადი მიმართულებები გავაცანი. ამ კუთხის პრობლემები ძალიან კარგად ვიცი და ალბათ ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებული აქტიურობა მოსახლეობის მხრიდან კითხვების დასმის თვალსაზრისით არ ყოფილა. მე ყველა იმ პრობლემაზე და მათი მოგვარების გზებზე ვისაუბრე, რომელიც ამ კუთხეში აწუხებთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანები 27 ოქტომბერს სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ და საპრეზიდენტო არჩევნებში გავიმარჯვებ. მე აუცილებლად გავაკეთებ იმას, რასაც ხალხს ვპირდები, აუცილებლად დავასრულებ იმ ტაძრის მშენებლობას, რომელიც დავიწყეთ 2008 წელს და რომელიც გააჩერეს. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ლეჩხუმელების იმედები, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხის შვილების იმედები, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გავამართლო“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მანვე, ჟურნალისტებთან კომენტარი, დავით ბაქრაძის იმ მოწოდებაზეც გააკეთა, რომ ყველა საპრეზიდენტო კანდიდატმა წინასაარჩევნო კამპანია ერთი დღით შეწყვიტოს და სოფელ დვანში ჩავიდეს.

„დავით ბაქრაძემ ხალხს ისიც მოუწოდა, დანა-ჩანგალი აიღეთ ხელში და ისე დაიცავით საქართველოო. წესიერად მოქცეულიყვნენ ეგ და მისი პრეზიდენტი და დვანში არ ვიქნებოდით ახლა ჩასასვლელები. მე მათი კარნახის გარეშე გავაკეთებ ყველაფერს ისე, რომ მავთულხლართები საქართველოში აღარასდროს აღარ იყოს. როცა არჩეული ვიქნები პრეზიდენტად აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის და რუსეთთან მოლაპარაკების გზით აუცილებლად მოვაგვარებ ამ პრობლემას.“

**ნიუსპრესი**

# შსს-მ „საქართველოს ბანკის“ ყაჩაღობის საქმე გახსნა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოსა და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყაჩაღობის ბრალდებით, 1994 წელს დაბადებული გიორგი გ. დააკავეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული, მიმდინარე წლის 3 სექტემბერს, თბილისში,ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკი“-ს ფილიალში შეიჭრა, პნევმატური იარაღის მუქარით ოპერატორს 400 დოლარი და 560 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გიორგი გ. თბილისში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე სსსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# სერგო ჯავახაძე: „რუსეთთან ყველანაირი ურთიერთობა უნდა შეწყდეს“

ამის შესახებ პრეზიდენტობის კანდიდატმა სერგო ჯავახაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელზეც მან საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა, შემდეგ კი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. ჯავახაძის თქმით, საქართველოს ტერიტორიები ღვინოსა და ბორჯომში არ უნდა გავცვალოთ.

„დიალოგის განმავლობაში, რომელსაც საქართველო რუსეთთან აწარმოებს, უფრო ვკარგავთ, ვიდრე ვიბრუნებთ მას. საქართველოს ტერიტორიები ღვინოსა და ბორჯომში არ უნდა გავცვალოთ. ვფიქრობ, რომ აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობების დათბობა, მაგრამ არა საქართველოს გაყიდვის ფასად. უნდა დამთავრდეს იმაზე საუბარი, რომ რუსეთი არ არის ოკუპანტი და 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო, რუსეთთან ყველანაირი ურთიერთობა უნდა შევწყვიტოთ“, – განაცხადა ჯავახიძემ.

მისივე თქმით, საუკეთესო გამოსავალი იმის შემდეგ რაც შეწყდება რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები, არის ის, რომ საერთაშორისო ზეწოლა რუსეთის მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდეს.

**პირველი**

# ლეიბორისტული პარტია მსხვილ ბიზნესმენებს მიმართავს



„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერისა და საპრეზიდენტო კანდიდატის, შალვა ნათელაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გიორგი გუგავა მსხვილი ბიზნესების მფლობელებს მიმართვას უგზავნის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მან გუშინ პარტიის ოფისში ბრიფინგი გამართა და მიმართვის ტექსტი ჟურნალისტებს გააცნო.

„ტრაგიკული წლები, რაც გადაიტანა ჩვენმა ხალხმა და მათ შორის ბიზნესმაც ბევრწილად გამოწვეულია იმითაც, რომ მსხვილი ბიზნესი მუდმივად აფინანსებდა მმართველ ძალებს და არც ერთ შემთხვევაში რეალურ ოპოზიციას ჩვენი სახით. სწორედ ამის გამო არ გვეყო რესურსი ეფექტურად აღვდგომოდით წინ მომხდარ მოვლენებს და მათ შორის დაგვეცვა თქვენი ინტერესებიც.

იმედია, წარსულიდან უკვე გამოიტანეთ დასკვნები. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ ივანიშვილის მთავრობამ თქვენ ასევე, ტრადიციულად აგიკრძალათ ჩვენი დაფინანსება, გვჯერა, რომ გადალახავთ ამ ბარიერს, იფიქრებთ არა დღევანდელ, არამედ ხვალინდელ დღეზე, დემოკრატიაზე და შემოიტანეთ შემოწირულობა ჩვენს ანგარიშზე“ – ნათქვამია მიმართვაში.

წერილის ასლსა და კომპანიების ჩამონათვალს ,,ლეიბორისტული პარტია,, ამერიკის შეერთებული შტატების 100 – ივე სენატორს გაუგზავნის, რომლებსაც შემდგომ ჩარიცხული თანხების ოდენობასაც შეატყობინებენ.

**ნიუსპრესი**

# ბიძინა ივანიშვილი: „27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდება“

## სააკაშვილი შენებას ვერ მასწავლის

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ევროკავშირს მიმართავს. მიმართვის მთავარი მიზეზი რუსული მცოცავი ანექსიაა.

— მინდა, მივმართო ევროკავშირს, მოუწოდოს რუსეთს, ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ მიმდინარე უკანონო ქმედებები შეწყვიტოს. — აცხადებს ივანიშვილი.

გუშინ თბილისში ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის ელჩებთან შეხვედრა პრემიერ-მინისტრმა გამართა. შეხვედრები ჰქონდათ მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებსა და ბოლოს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდა დიპლომატებს.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ადმინისტრაციულ ხაზთან მიმდინარე მოვლენები საფრთხეს უქმნის საქართველოსა და ზოგადად, რეგიონულ უსაფრთხოებას.

— მიუხედავად გარკვეული დადებითი დინამიკისა, რომელიც ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში თანამშრომლობის საქმეში შეიმჩნევა, სამწუხაროდ, მოსკოვი საოკუპაციო ხაზზე უკანონო მოქმედებებს კვლავ აგრძელებს, რაც საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნისა და რეგიონულ უსაფრთხოებას. 17 სექტემბრიდან რუსმა სამხედროებმა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და ღობეების აღმართვა კვლავ განაახლეს, კერძოდ, გორის რაიონის სოფლებში დიცსა და დვანში, სადაც თქვენ ბრძანდებოდით. მსგავსი უკანონო მოქმედებები მძიმედ აისახება ადგილობრივ მოსახლეობაზე და მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს. მათ შორის თავისუფალი გადაადგილებას, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას და სხვა უფლებებს. სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებულია საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე საქმიანობის, პირველადი სამედიცინო დახმარების მიღებისა და სასაფლაოზე შესვლის უფლებასაც კი. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის განცხადებით, საქართველოსა და რეგიონის უსაფრთხოებას აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე მილიტარიზაცია, რუსული ჯარებისა და მძიმე შეიარაღების არსებობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

— მინდა, საქართველოს მთავრობის სახელით მივმართო ევროკავშირს, არსებული სერიოზული საგარეო გამოწვევების გათვალისწინებით, გააძლიეროს აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა, უზრუნველყოს უკვე შეთანხმებული მიზნების რეალიზაცია ვილნიუსის სამიტისთვის. მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებას, გააგრძელოს ქმედითი არაღიარების პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, მკვეთრად დააფიქსიროს თავისი პრინციპული პოზიცია, რომ დაუშვებელია ჟენევის მოლაპარაკებების დაკნინება არსებული ფორმატის შეცვლის მიუღებელი მცდელობებით, სათანადო რეაგირება მოახდინოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების, ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ მიმდინარე საგანგაშო ვითარებაზე და მოუწოდოს რუსეთს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს უკანონო მოქმედება, გამოიჩინოს კონსტრუქციულობა ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღებასთან დაკავშირებით, ხელი შეუწყოს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ეფექტიან ფუნქციონირებას, რეალურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები დევნილთა საკუთარ საცხოვრებლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების რეალიზაციისთვის. — ასეთი ტექსტით მიმართა ევროკავშირის დიპლომატებს ივანიშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ევროკავშირი-რუსეთის დიალოგის დღის წესრიგში საქართველო ფიგურირებდეს.

მისი თქმით, საქართველოსთვის მეტად დასაფასებელია ევროკავშირის როლი და ჩართულობა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის საქმეში.

— ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საქმიანობა, რომელიც ოკუპაციის ხაზთან უსაფრთხოების ვითარების კონტროლის ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმია. ასევე, მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით ეფექტიანი არაღიარების პოლიტიკის გატარება, აუცილებელია გაგრძელდეს ძალისხმევა ამ პოლიტიკის განსამტკიცებლად. ასევე, მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიაში კრიზისის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობა და ჟენევის მოლაპარაკებებში აქტიური მონაწილეობა. ამასთან, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები ევროკავშირ-რუსეთის პოლიტიკური დიალოგის დღის წესრიგში მუდმივად ფიგურირებდეს. მეტად საჭიროდ მიგვაჩნია, ევროკავშირმა რუსეთთან აწარმოოს პრინციპული დიალოგი ისე, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების ევროკავშირთან დაახლოება მოსკოვში არასწორად არ იქნეს აღქმული, როგორც რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, პირიქით, ამ ქვეყნების დაახლოება რუსეთის მთავარ სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორთან — ევროკავშირთან ემსახურება ევროკავშირისა და რუსეთის ერთობლივ ინტერესებს. — განაცხადა ივანიშვილმა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ქვეყანაში ახალი ხელისუფლების პირობებში გატარებულ რეფორმებზე და 27 ოქტომბერს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

გუშინ, ჟურნალისტებთან პრემიერმა პრეზიდენტის შეთავაზებაზე კომენტარი გააკეთა.

— ყველას სიამოვნებით მოვუსმენ, მაგრამ სააკაშვილი კარგ მასწავლებლად ვერ გამოდგება. — ამბობს ივანიშვილი.

სააკაშვილმა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ერთობლივი კონსულტაციების გამართვა შესთავაზა მთავრობას.

— განცხადებაში ისიც იყო, რომ ახლა უფრო მეტი ტერიტორია იკარგება, ვიდრე 2008-ში, ეს შედარება როგორ მოგწონთ, ჯანსაღია?! 2008-ის და დღევანდელი ტერიტორიების გადმოწევა შედარებადია?! და საერთოდ, ბოლო განცხადებები, რაც მათი მხრიდან კეთდება. რუსეთთან დაკავშირებით ისეთი პოზიცია აქვთ მათ, რომ ჩვენ გვასწავლიან ჭკუას როგორ უნდა მოვიქცეთ. ისინი გვასწავლიან, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დავალაგოთ, ეს დიდი უმეცრებაა, რაც მათ 2008-ში გააკეთეს. რუსეთის აგრესიას არავინ ამართლებს. გასაგებია, რომ ტერიტორიები ოკუპირებულია, გვაძახებენ იმასაც, რომ სიტყვა ოკუპირებული დიდი ხანია აღარ უთქვამთო. მათი უმეცრების გარეშე ეს არ მოხდებოდა. მათ უამრავი სისულელე გააკეთეს. დღეს რა უნდა ვისწავლოთ ჩვენ მათგან, რუსეთთან ურთიერთობის ჩიხში შეყვანაში ამ კაცს ლომის წილი არ აქვს?! დღეს რა უნდა ვისწავლოთ მისგან, იმავე რიტორიკას აგრძელებს და ჰგონია, რომ მაგ რიტორიკით რამე მოიგო და რამე გააკეთა. შესაბამისად, იმისგან უნდა ისწავლო, ვისაც კარგი მაგალითი და კარგი მიღწევები აქვს. ის, რაც მიაღწიეს მათ და პირადად მაგან, მაგისგან სასწავლებელი ჩვენ არაფერი გვჭირს. ჩვენ პრინციპულები და თანმიმდევრულები ვიქნებით და მათ გაფუჭებულ საქმეს აუცილებლად გამოვასწორებთ, მაგრამ ამას დრო სჭირდება. რაც ე.წ. საზღვრებთან ხდება იმის შედეგია, რაც მათ გააკეთეს. ეს შედეგია ზუსტად მათი უმეცრებისა და სისულელეებისა. თუ თქვენ კარგ მასწავლებელს ნახავთ,



ვისაც კარგი მიღწევები აქვს, მე ყველას სიამოვნებით მოვუსმენ, მაგრამ ის კარგ მასწავლებლად ვერ გამოდგება. ამაში ლომის წილი სააკაშვილს მიუძღვის და ახლა დავჯდე და მან უნდა მასწავლოს ჭკუა?! მან დაანგრია და ახლა მე უნდა მასწავლოს აშენება?! რანაირად გამოვა ეს?! — განაცხადა ივანიშვილმა.

თუმცა, პრემიერ-მინისტრი იმედს არ კარგავს, რომ საბოლოო ჯამში დაბალანსებულ საზოგადოებას, პოლიტიკურად და ეკონომიკურად გასაგებ და სტაბილურ ქვეყანას მივიღებთ.

მისივე თქმით, 27 ოქტომბრის შემდეგ საქართველოს კარგი პრეზიდენტი და მთავრობა ეყოლება, რაც ინვესტიციების შემოდინებას ხელს შეუწყობს.

— ამ არჩევნებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა იმისთვის, რომ საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობა მიიღწეოდეს, რომ არ იყოს გამძაფრებული ორმხრივი კრიტიკა, ორხელისუფლებიანობა. კოჰაბიტაცია დასრულდება 27 ოქტომბერს, გარწმუნებთ, რომ საქართველოს ეყოლება ძალიან ღირსეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილის სახით. კარგი მთავრობა გვეყოლება, კარგი პრეზიდენტი და შესაბამისად, ჩემი წასვლა, უფრო სწორად, უფრო რთულ ადგილზე გადასვლა, რასაც ჰქვია საზოგადოების აქტიურ წევრად ყოფნა, გარწმუნებთ, რომ კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას. მე ძალიან ბევრს ვიმუშავებ ინვესტორებთან. საბოლოო ჯამში, ჩვენ მივიღებთ დაბალანსებულ, დაწყნარებულ საზოგადოებას, პოლიტიკურად და ეკონომიკურად გასაგებ და სტაბილურ ქვეყანას. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას. გარწმუნებთ, რომ საქართველოში ეკონომიკური აღორძინება ჭეშმარიტად დაიწყება. ჩვენს ძირითად სტრატეგიას — ევროპული და ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვასაც დავაჩქარებთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეკონომიკის გარეშე ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო ვერ აშენდება. ჩვენ ვიზრუნებთ, რომ ყველა ოჯახს ჰქონდეს ღირსეული შემოსავალი. — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

გუშინ, როგორც აღვნიშნეთ, პრემიერი და პრეზიდენტი ერთმანეთს პასუხობდნენ.

მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა. როგორც ცნობილია, ანაკლიაში 110 მლნ ტონის გამტარიანობის პორტის მშენებლობა იგეგმება.

პრეზიდენტი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა, მთავრობას მიეწოდებოდეს ინფორმაცია და მთავრობის თავმჯდომარე დადიოდეს ქვეყანაში, რათა საკუთარი თვალით დაინახოს რაღაცები.

— მე მზად ვარ, პრემიერ-მინისტრთან ერთად ჩავჯდე ვერტმფრენში თბილისის აეროპორტის ასაფრენ ზოლზე, იმ ფრანგული ვერტმფრენით ავფრინდე, რომლის მოშორებაც სურს საქართველოდან. მზად ვარ, მასთან ერთად გადავუფრინო თბილისის შემოვლით რკინიგზას, რომელიც მისი განკარგულებით შეჩერდა, რომ დაინახოს, რა მოცულობის სამუშაოებია ჩატარებული, რომ მისი წყალში გადაყრა არ შეიძლება. ასევე, მზად ვარ, გადავუფრინო ქუთაისს და ვაჩვენო პარლამენტი, რომ თბილისში არ გადმოიტანონ. ვაჩვენო თეთნულდის კურორტი მესტიაში, სადაც გვირაბი უნდა გაკეთებულიყო და შემოვუფრინოთ ბათუმის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს, რომელიც მისი განკარგულებით შეჩერდა. შემდეგ მზად ვარ, ჩავიყვანო ანაკლიაში და ადგილზე ვაჩვენო, რომ ანაკლია და ლაზიკა ერთი გეოგრაფიული არეალია. სიამოვნებით გავაკეთებ ამას, თუ ბატონი პრემიერი დათანხმდება, რომ სახლიდან გამოვიდეს და ერთხელ მაინც მოინახულის ყველა ის გაჩერებული მშენებლობა, თვალი შეავლოს და იქნებ, გული აუჩუყდეს და პროექტის შეჩერების შესახებ თავის გადაწყვეტილებას გადახედოს. — განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა ასევე უპასუხა პრემიერს საქართველოს ტერიტორიების ანექსიასთან დაკავშირებით.

— საქართველოს ანექსია დაახლოებით, 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო. 2008 წელს, როდესაც ჩვენ მიწებს გვართმევდნენ, წინააღმდეგობა გავწიეთ, მთელი მსოფლიო ფეხზე დავაყენეთ, სახელმწიფოებრიობა გადავარჩინეთ და რუსეთის აგრესიის წინსვლა შეჩერდა. შემდგომ წლებში ჩვენ მოვახერხეთ ტერორისტული აქტების სერიების, აღიარების სერიების შეჩერება და რატომღაც, წინა წლებში ვერავინ ბედავდა მავთულხლართების გავლებას. ამიტომ ახლა, ბოლო თვეებში ჩვენ დავკარგეთ იმაზე მეტი სახნავ-სათესი მიწა, ვიდრე 2008 წლამდე ქურთასა და თამარაშენში ერთად აღებული იყო, მაგრამ ქურთისა და თამარაშენის აღება რუსეთს ძალიან დიდ პოლიტიკურ ფასად მოუხდა და ახლა პოლიტიკურად საერთოდ არაფერი გაკეთებულა. პატარ-პატარა ლაპარაკებით დავიწყეთ, თუმცა ამის შესახებ საერთოდ არავინ არაფერი იცის. — განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ თუ რუსეთს ეს არაფერი არ დაუჯდება, იმავეს გააგრძელებს.

მიუხედავად ურთიერთბრალდებებისა, სააკაშვილი ამბობს, რომ საერთო ეროვნული დიდი კრიზისის წინაშე ვართ და ერთადერთი გამოსავალი საქართველოს ერთიანობაა.

— ჩვენ გვაქვს დაგროვილი მიღწევებისა და შეცდომების გამოცდილება. ჩვენ ვიცით, რა მიღწევები გვაქვს და სწორედ ეს გვინდა, გავუზიაროთ. გვქონდა შეცდომებიც. რაღაცები უკეთესად შეიძლებოდა, გაკეთებულიყო. ვინც არ უნდა იყოს საქართველოს სათავეში — შევარდნაძე, გამსახურდია, სააკაშვილი თუ ივანიშვილი, რუსეთი ერთსა და იმავეს აგრძელებს. ერთმანეთს ნიშნი არ უნდა მოვუგოთ, საერთო ეროვნული დიდი კრიზისის წინაშე ვართ და ამ კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალი, საქართველოს ერთიანობაა, მიუხედავად იმისა, მოგვწონს ერთმანეთი თუ არა. — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის წევრ ელჩებთან შეხვედრაზე იმყოფებოდა საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე.

— თვითონ დელეგაცია იყო დიცსა და დვანში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მათი ჩასვლა არის პოლიტიკური განცხადება, მათ ამ წუთას ჩემზე უკეთ იციან ადგილზე არსებული მდგომარეობის შესახებ. ისინი რასაკვირველია, იზიარებენ ჩვენს შეშფოთებას და აღშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი პროვოკაციულ ქმედებებს ეწევა და ფაქტობრივად, ქვეყნის შიგნით საზღვარი ააშენა. — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, მან მიაწოდა ევროკავშირის წარმომადგენლებს ინფორმაცია რუსეთთან საქართველოს პოლიტიკის შესახებ.

— მივაწოდეთ ინფორმაცია რუსეთთან საქართველოს პოლიტიკის შესახებ, ანუ მცდელობაზე გააუმჯობესოს ურთიერთობები რუსეთთან, ასევე, ამ კონკრეტული მიმართულებით მიღწეულ პოზიტიურ დინამიკაზე, მაგრამ ამავე დროს იმ წნეხზე, რომელიც მათი მხრიდან არის, განსაკუთრებით კი ადმინისტრაციული საზღვრის გარშემო. — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

გარდა ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, შეხვედრაზე იყო საუბარი იმის შესახებ, თუ რას აკეთებს საქართველო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის.

ფანჯიკიძის განცხადებით, საუბარი იყო ყველა მიმართულებით გატარებულ რეფორმებზე.

— იყო საუბარი იმაზე, რომ გატარებული რეფორმები და საქართველოში მიმდინარე პროცესები დადებითად არის შეფასებული თომას ჰამერბერგის მიერ, რომელიც სწორედ ევროკავშირის წარმომადგენელია. — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარის ალექსეი პუშკოვის განცხადებასაც გამოეხმაურა.

— საქართველოს აქვს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც საკმაოდ მკაცრი იყო და მისი გარკვეულწილად შერბილება მოხდა. ამ კანონს ჩვენ ვერავის დავარღვევინებთ. თუკი ასეთი მცდელობა იყო, რომ ვინმე კანონის დარღვევით ცდილობდა შემოსვლას, მაშინ საქართველომ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, რომელიც საკუთარ კანონებს პატივს სცემს, ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს. — განაცხადა ფანჯიკიძემ და დასძინა, რომ ამ საკითხის დრამატიზება საჭირო არ არის.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის განცხადებასაც აფასებს.

როგორც მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, იგი ეთანხმება მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტს იმაში, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილები არიან.

— მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის განცხადება კომიტეტის ოფიციალური პოზიციაა. საქართველო არის ერთი მთლიანი სუვერენული სახელმწიფო, მისი ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია და სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მისი შემადგენელი ნაწილია. — განაცხადა ფანჯიკიძემ და დასძინა, რომ საქართველო სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს.

მაია ფანჯიკიძე საქართველო სირიაში ქიმიური იარაღის განადგურების შესახებ გაერო-ს რეზოლუციას მიესალმება.

— მივესალმებით გაერო-ს რეზოლუციას, რომელიც სირიაში ქიმიური იარაღის განადგურებას ითვალისწინებს. საერთოდ, მივესალმებით, ქიმიური იარაღის განადგურებას მთელ მსოფლიოში. რასაკვირველია, ვგმობთ, ამ სახის იარაღის გამოყენების ფაქტს, რომელსაც სირიაში 2013 წლის აგვისტოში ჰქონდა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გაერო-ს ეს რეზოლუცია შესრულდება ისე, როგორც გაწერილია. — განაცხადა ფანჯიკიძემ.

ევროკავშირის წარმომადგენლებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილიც შეხვდა, რომელმაც დიცსა და დვანში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრა.

— რაც უფრო მკაფიო იქნება საქართველოს პოზიცია არ აჰყვეს პროვოკაციას, მით უფრო მყარი იქნება დასავლეთის მხარდაჭერა. ისინი მიხვდებიან, რომ ჩვენ აღარ ავყვებით ემოციებს და აგრესიას აგრესიით აღარ ვპასუხობთ. ამიტომ დამერწმუნეთ, ათმაგად და ოცმაგად დაგვიბრუნდება ჩვენი პრინციპულობა და სიმშვიდე. ემოციების საფუძველი გაგვაჩნია და ძნელია მისი დაფარვა, მიუხედავად ამისა, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს ის არ არის, რაც 2008 წელს ათასობით ადამიანმა ნახა არ უნდა დავუშვათ. ისევ მსოფლიოს მხარდაჭერა გვჭირდება, რომ ჩვენს მოსახლეობას ადგილზე გამყოფი ხაზების გასწვრივ ღირსეული ცხოვრების პირობები შევუქმნათ. — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

— სააკაშვილის გამოცდილებამ მოიტანა ოკუპაცია, რუსული აგრესია და შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარება. ამიტომ, რაც უფრო მალე დათმობს პრეზიდენტი თავის ადგილს და მარგველაშვილს დაუთმობს, რომელსაც შესაბამისად, ქართველი ხალხი 27 ოქტომბერს აირჩევს, მით უფრო მშვიდი და წყნარი იქნება ჩვენი საქმიანობა, ვიდრე არის იმ კინკლაობის ფონზე, რასაც კოჰაბიტაცია ჰქვია. — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

## პოლიციამ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1987 წელს დაბადებული ვახტანგ ჩ.დააკავეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე, №6-ში მცხოვრებ ირაკლი ცივნარიძეს, რომელიც საკუთარი სახლის აივანზე იდგა, სახლის მოპირდაპირედ მდგომმა ბრალდებულმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ერთი ჭრილობა მიაყენა და მიმალვა სცადა. სამართალდამცველებმა ვახტანგ ჩ. შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე მეტრში, ცხელ კვალზე დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დანაშაულის იარაღი — პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. დაჭრილი ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, სსსკ-ის 236-ე და 19-108-ე მუხლებით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

# მცირე მეწარმეობის აღდგენამდე მოსახლეობა უმუშევრობისთვისაა განწირული

მერი ნამორაძე

**რა ეშველება უმუშევრობას, რომელიც საქართველოს მოსახლეობას კარგა ხანია აწუხებს? რეფორმატორთა კავშირში ამბობენ, რომ „რეცეპტი" არსებობს, მაგრამ მისი გამოყენება დღემდე არ დაწყებულა. როგორც რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარე, ექსპარლამენტარი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ანზორ საკანდელიძე აცხადებს, ვიდრე საქართველოში არ აღდგება სრულფასოვანი მცირე მეწარმეობა, მანამდე მოსახლეობა განწირულია მუდმივი უმუშევრობის, სიღატაკის, შიმშილისა და ფიზიკური გადარჩენის მიზნით სამშობლოდან გადახვეწისათვის!**

— კარგი იქნება, ჩემს ნათქვამს თუ ყურად იღებენ ივანიშვილის ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელები, რადგან 2011 წელთან შედარებით დღეს გაცილებით უარესი ეკონომიკური სიდუხჭირეა და ჰაერში დამშეულთა რევოლუციის სუნი ტრიალებს. რისი იმედი მქონდა და მაქვს დღესაც? უპირველეს ყოვლისა, ჩემი თავმჯდომარეობით 1998 წელს დაარსებული „თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის" (რომლის სამართალმემკვიდრეა „რეფორმატორთა კავშირი") მიერ დამუშავებული ეკონომიკური რეფორმების, რომლებიც 1998-2013 წლებში გამოქვეყნდა ჩვენს 500-ზე მეტ პუბლიკაციაში! 2009 წელს, როცა მიზნობრივად მცირე მეწარმეობისათვის ბიუჯეტში გაითვალისწინეს 21 მილიონი ლარი, მაშინ ნაციონალებს ოფიციალურად შევთავაზეთ მცირე მეწარმეობის საუკეთესო პროგრამაზე გამოეცხადებიათ ტენდერი, რომელსაც აუცილებლად მოვიგებდით, 2-3 წელიწადში ავამოქმედებდით ჩვენს რეფორმებს, ფეხზე დავაყენებდით ქართულ ეკონომიკას. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ნაციონალებმა ტენდერზე უარი თქვეს და მცირე მეწარმეობაზე ბიუჯეტში მიზნობრივად გამოყოფილი ეს 21 მილიონი ლარი დახარჯეს არამიზნობრივად. კიდევ კარგი, ასე რომ მოხდა, რადგან ჩვენი რეფორმების რეალიზებით მათ შეეძლოთ მოეგოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და ამ საქვეყნო უბედურებაში მეც მექნებოდა შეტანილი წვლილი, — უთხრა „ახალ თაობას" საკანდელიძემ.

საკანდელიძეს იმედი ჰქონდა, რომ ახალი ხელისუფლება, რომელმაც პრიორიტეტად მცირე მეწარმეობის განვითარება გამოაცხადა, უპირობოდ შეასრულებდა პირობას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა:

— მთელ საქართველოსთან ერთად გულით გავიხარე, როცა ბატონმა ბიძინამ განცხადება გააკეთა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ. მაშინვე დავიწყეთ „ქართული ოცნების" ოფისის „დაბომბვა" ჩვენი ეკონომიკური რეფორმების პროექტებითა და ბოლო წლებში ჩვენ მიერ დამუშავებული და დაპატენტებული მცირე მეწარმეობის, მეანაბრეთა ზარალის ანაზღაურების, საგადასახადო და სოფლის მეურნეობის უნიკალური პროგრამებით. კიდევ უფრო გავიხარე, როცა ქართული ოცნების წინა საპარლამენტო საარჩევნო პროგრამაში მცირე მეწარმეობა, განათლების, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის დარგების მსგავსად, მთავარ პრიორიტეტებში იყო დასახელებული. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. 2013 წლის ბიუჯეტში განათლება, ჯანდაცვა და სოფლის მეურნეობა დაფინანსდა წინა წლებთან შედარებით უდიდესი გადაჭარბებით, მცირე მეწარმეობის დაფინანსება კი იყო ნული! დიახ, მსოფლიო სტატისტიკით მოსახლეობის 90%-ით დამსაქმებელ მცირე მეწარმეობაზე სახელმწიფო ამბობს უარს და ამის შემდეგ გვიკვირს, უმუშევრობამ რატომ წალეკა მთელი საქართველო. უფრო მეტიც, 2006 წლიდან, როცა მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დანაშაულებრივად შეაჩერა ჩვენი დიდი ძალისხმევით 1999 წელს მიღებული მცირე მეწარმეობის ერთადერთი საკანონმდებლო აქტი და გააუქმა ამ აქტის საფუძველზე დაარსებული „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი", საქართველოში მცირე მეწარმეობა გამოცხადებულია კანონგარეშედ, განულებულია და განადგურებულია. ეს არის ქართველი ხალხის უდიდესი ტრაგედია და სანამ საქართველოში არ აღდგება სრულფასოვანი მცირე მეწარმეობა, მანამდე მოსახლეობა განწირულია მუდმივი უმუშევრობის, სიღატაკის, შიმშილისა და ფიზიკური გადარჩენის მიზნით სამშობლოდან გადახვეწისათვის, — გვითხრა საკანდელიძემ.

საკანდელიძეს იმედი გადაწურული აქვს და ფიქრობს, რომ დღევანდელი ხელისუფლება არც მომავალ, 2014 წელს აპირებს მცირე მეწარმეობის დაფინანსებას, რადგან არც ოფიციალურ წერილებზე იღებენ პასუხებს და მაღალჩინოსანთა მიღების საათებზეც ვერ ხვდებიან.

— ხელისუფლება ჩვენი შეთავაზებების იგნორირებით წყალს აშკარად ნაციონალების წისქვილზე ასხამს. მივმართავთ ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებს: ბატონი ბიძინა ივანიშვილისადმი გაგზავნილ ოფიციალურ წერილებს, რომლებიც გადმომისამართებულია თქვენს სამინისტროებზე, ბიუროკრატიული ვალის მოხდით ნუ აწერთ არაფრისშემძლე და არაფრისმცოდნე თქვენს ხელქვეითებს. თქვენი ხელმძღვანელობით, თქვენი და ჩვენი სპეციალისტები დავსხდეთ ან თქვენს სამინისტროებში, ან პირდაპირ ტელეეთერში და იქ ღიად ვიკამათოთ, თუ რაიმე გაქვთ საკამათო. ქვეყანაში მცირე მეწარმეობა რომ უნდა არსებობდეს, განა ეს საკამათოა? — იკითხა საკანდელიძემ და ის ეკონომიკური ოცნებები გაუმხილა „ახალ თაობას", რომელთა აღსრულებაზე უარს იღებენ.

კერძოდ, საკანდელიძის თქმით, მათ მიერ დაპატენტებული მცირე მეწარმეობისა და მეანაბრეთა ზარალის ანაზღაურების პროგრამები ფაქტიურად წარმოადგენს ერთ მთლიან კომპლექსურ პროგრამას, რის გამოც ერთი პროგრამის დაფინანსებით შესაძლებელია მეორე პროგრამის უფასოდ ამოქმედება. აქედან გამომდინარე, თუ მომავალი წლისთვის მოხერხდება მცირე მეწარმეობის ერთჯერადი დაფინანსება დაახლოებით 20 მილიონი ლარით და გამოცხადდება ტენდერი, მცირე მეწარმეობის განვითარებასთან ერთად შესაძლებელი გახდება საგადასახადო თამასუქების გამოყენებით ბიუჯეტიდან დაფინანსების გარეშე უფასოდ იქნას დაწყებული მეანაბრეთა ზარალის ანაზღაურება. ან პირიქით, სახელმწიფოს მიერ მეანაბრეთა შიდა ვალად აღიარებული 502 მილიონი ლარიდან, თუ მომავალ წელს დაზარალებულ მეანაბრეებს გამოეყოფა 20 მილიონი ლარი, მეანაბრეთა ზარალის ანაზღაურებასთან ერთად უფასოდ დაიწყება მცირე მეწარმეობის აღდგენა-განვითარება. როგორც საკანდელიძე ირწმუნება, მათი პროგრამით გათვალისწინებული საგადასახადო თამასუქებით პირდაპირი საბიუჯეტო ხარჯების გარეშე შესაძლებელია არა მარტო დაზარალებული მეანაბრეების, არამედ სახელმწიფოს მიზეზით ყველა დაზარალებულის ზარალის საკომპენსაციო ანაზღაურება, მათ შორის, დღეს ხელისუფლების თავსატეხად გადაქცეული 20 ათასზე მეტი ქონებისა და ბიზნესების წართმევით დაზარალებულის, რომელთა ზარალმა 7 მილიარდ ლარს მიაღწია.

— ჩვენ მიერ დაპატენტებული, მსოფლიო სტანდარტების ადეკვატური ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის ამოქმედების შემთხვევაში, რომელიც ეფუძნება თავისუფლად მიშვებული ბრუნვის პროცენტული ფიქსირებული გადასახადების შემოღებას, შესაძლებელი გახდება 2012 წელს მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში დაფიქსირებული 72%-იანი ჩრდილოვანი ეკონომიკა 2-3 წელიწადში შევამციროთ 50%-ით, რაც საშუალებას მოგვცემს, ყოველგვარი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე, მხოლოდ ბიზნესის გათეთრების ხარჯზე მშპ გავზარდოთ 100%-ით და ქვეყანამ გააკეთოს გიგანტური ეკონომიკური ნახტომი! ჩვენ მიერ დაპატენტებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებელი მრეწველობის განვითარების პროგრამით, რომელიც ეფუძნება დაზარალებული მეანაბრეების საგადასახადო თამასუქებისა და ახალი საგადასახადო კოდექსის გამოყენებას, გარანტირებული იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებელი საწარმოების რენტაბელური მუშაობა. რენტაბელობის დონე კიდევ უფრო გაიზრდება 6 თვის განმავლობაში სწრაფად რეალიზებადი პროდუქციის დამამზადებელი საწარმოებისთვის, რომლებიც გამოიყენებენ აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის მიერ დამუშავებულ უპროცენტო ემისიურ კრედიტებს. ასეთი საწარმოები იმუშავებენ მართლაც იდეალურ პირობებში, როცა საბრუნავ სახსრებად გამოიყენებენ უპროცენტო ემისიურ კრედიტებს და გადასახადებს (საშემოსავლოს გარდა) კი დაფარავენ საგადასახადო თამასუქებით, — განაცხადა საკანდელიძემ.

# ნოტარიუსს მიენიჭა მედიატორის ფუნქცია

მერი ნამორაძე

დღეიდან მოქალაქეებს სამოქალაქო დავების მოგვარების პროცესს ახალი სანოტარო სერვისი — სანოტარო მედიაცია გაუმარტივებს და გაუიაფებს. საქმე ისაა, რომ პირველი ოქტომბრიდან ნოტარიუსს მიენიჭა მედიატორის ფუნქცია სამემკვიდრეო, საოჯახო, სამეზობლო და სხვა ქონებრივი თუ არაქონებრივი ხასიათის სამოქალაქო დავებზე. როგორც ნოტარიუსთა პალატაში აცხადებენ, მოდავე მხარეებს აღარ მოუწევთ სასამართლოში წასვლა, მივლენ ნებისმიერ მედიატორ ნოტარიუსთან. ნოტარიუსი, როგორც მიუკერძოებელი მრჩეველი, თანაბრად დაიცავს ყველა მხარის ინტერესებს და მაქსიმალურად შეეცდება არა მხოლოდ დავის მოგვარებას, არამედ, მოდავეთა შერიგებასაც.

მედიაციის დროს მაქსიმალურად არის დაცული კონფიდენციალობა — ნოტარიუსს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის მედიაციის განხორციელებისას გახდა ცნობილი. მორიგების დასრულების შემდეგ შედგება სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტი — მორიგების აქტი, რომლითაც განისაზღვრება თითოეული მხარის მოვალეობანი.

სანოტარო მედიაციის უპირატესობა ისიც არის, რომ სასამართლო განიტვირთება სამოქალაქო საქმეების განხილვისგან. შესაბამისად, სანოტარო მედიაცია სამოქალაქო დავის მოგვარების გამარტივებული და იაფი ფორმაა. მედიაციის საფასური განისაზღვრება ნოტარიუსსა და მხარეებს შორის მოლაპარაკების შედეგად.

დღეს ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო დავების დიდი ნაწილის გადაწყვეტა მედიაციის მეშვეობით ხდება. ევროპის ქვეყნებში სამოქალაქო დავების 40-50% მედიაციით წყდება; ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლომდე სამოქალაქო დავების მხოლოდ 5% აღწევს, გერმანიაში — მხოლოდ 10-ს.

მედიაციის პროცესი შესაძლებელია ჩატარდეს როგორც სანოტარო ბიუროში, ასევე, მის გარეთ. სანოტარო მედიაციას სერტიფიცირებული ნოტარიუსები განახორციელებენ. ნოტარიუსებმა შესაბამისი მომზადება საქართველოს ნოტარიუსთა პალატისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ორგანიზებით გაიარეს.

# ვინ მიისაკუთრა რუსთაველზე ფართი?!

გულიკო ბალაძე

„უფლებადამცველთა გაერთიანება" პროკურატურას რუსთაველის №30-ში სამართლიანობის აღდგენას და რამაზ ნიკოლაიშვილით და მინდია გადაევით დაინტერესებას სთხოვს.

— აქ, რუსთაველზე, საქართველოს



მთავარ პოლიტიკურ გამზირზე, ჩვენ ვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას. მოქალაქე მზია კაკაბაძეს წაართვეს ახალდელი „სონის ცენტრის" ფართი, რაც იყო ყოფილი კაფე „რუსთაველის" ფართი. ეს ფართები 2006 წელს ამ ადამიანს იძულებით წაართვეს. ამაში პირდაპირ ჩართული იყო ყოფილი ფინანსური პოლიციის შეფი რამაზ ნიკოლაიშვილი და ეკონომიკის სამინისტრომ გამოიძახეს. ეს ადამიანი მიიყვანეს და ფართები სახელმწიფოზე იძულების წესით აჩუქებინეს ღამის 2 საათზე. 2012 წელს, უკვე ეს ფართები მთლიანად გადავიდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში, მინდია გადაევამ შეიძინა აუქციონზე. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული ფართები მინდია გადაევის ფულით კი არა, რომან ფიფიას სახსრებითაა შეძენილი, — განაცხადა „უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ.

„უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ და „უფლებადამცველთა გაერთიანების" სხვა წარმომადგენლებმა, „სონის ცენტრისა" და „კაფე რუსთაველის" ფართების სახელმწიფოსთვის ჩუქების იძულებასთან და ყოველივეში რამაზ ნიკოლაიშვილის და მინდია გადაევის მონაწილეობასთან დაკავშირებით, აქცია სახელწოდებით „წართმეულია" რუსთაველის პროსპექტ №30-თან გამართავს.

„უფლებადამცველთა გაერთიანება" ხელისუფლებას შეახსენებს, რომ თბილისში, მთავარ პოლიტიკურ გამზირზე, რუსთაველის გამზირ 30-ში, დღესაც არ მომხდარა სამართლიანობის აღდგენა.

„უფლებადამცველთა გაერთიანების" წარმომადგენლები გვარწმუნებენ, რომ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო ნაწილის ყოფილმა უფროსმა (შემდგომში ინფრასტრუქტურის მინისტრი) რამაზ ნიკოლაიშვილმა და ფინანსური პოლიციის გამომძიებლებმა ლერი ბარნაბიშვილმა და გრიგოლ ფერაძემ განახორციელეს ზეწოლა მესაკუთრე მზია კაკაბაძეზე და მას სახელმწიფოსთვის 2006 წლის 23 ნოემბერს ღამის 2 საათზე 871,89 კვ.მ. უძრავი ქონება სანოტარო დამოწმებით აჩუქებინეს.

ყოველივე დასრულდა იმით, რომ ეს ფართი შეიძინა იმდროინდელი ყოფილი შემოსავლების სამსახურის უფროსმა მინდია გადაევამ, რომლის ბიზნესპარტნიორია თბილისის „დანამოს" პრეზიდენტი რომან ფიფია.

ამიტომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სწორედ ფიფიას ფულით იქნა შეძენილი კაკაბაძის და მთლიანად რუსთაველის 30-ში მდებარე შენობა.

— სახელმწიფოსგან ვითხოვთ, მზია კაკაბაძეს დაუბრუნდეს მისი კუთვნილი ფართები. ეს არის საკმაოდ სოლიდური თანხის უძრავი ქონება და სამართლიანობა უნდა აღდგეს, ვინაიდან არ შეიძლება ამდენი ხანი ადამიანი იბრძოდეს თავისი უძრავი ქონების დასაბრუნებლად. რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი აჩუქებს, რეალურად, სახელმწიფოს ამ უძრავ ქონებას. ღამის 2 საათზე გადააფორმებინეს სახელმწიფოზე, ნოტარიული წესით. ვფიქრობ, პროკურატურამ უნდა აღადგინოს დარღვეული სამართლიანობა ამ ადამიანის მიმართ, — აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

„უფლებადამცველთა გაერთიანების" წარმომადგენელი ზურაბ ბელთაძე ამბობს, რომ „უფლებადამცველთა გაერთიანებას" მომართა მოქალაქე მზია კაკაბაძემ. მას წაართვეს ქონება, დარღვეულია მისი უფლებები და მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას.

— მზია კაკაბაძე არის ადამიანი, რომელზეც ნაციონალური მოძრაობის დროს მაღალი თანამდებობის პირების, კერძოდ, რამაზ ნიკოლაიშვილის თაოსნობით განხორციელდა ზეწოლა და, რომელსაც საკუთარი ნებით დაათმობინეს ქალაქ თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე უზარმაზარი ფართი, რომელიც არის ერთ-ერთი უძვირესი საკუთრება და ქონება მოექცა მათ ინტერესთა სფეროში და ეს ქონება ნებაყოფლობით დაათმობინეს. ამ ქონების სახელმწიფოზე გადაფორმება მოხდა ნოტარიუსის მეშვეობით. მზია კაკაბაძე სახელმწიფოსგან სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. სამწუხაროდ, ქალბატონ მზია კაკაბაძეს ძალიან დიდხანს უწევს ცდა. იმედი გვაქვს, ძალიან მალე მოხდება ჩარევა ასეთი უკანონობების აღსაკვეთად. ადამიანებს აშკარად, ძალადობით, უხეში ჩარევით დაათმობინეს საკუთარი ქონება. აქ არ არის ფულად სახსრებზე საუბარი. საუბარია უზარმაზარ ქონებაზე, რომელიც ამ ქალბატონის საკუთრებაა, აღნიშნულ ქონებას ის კანონიერად ფლობდა. პრესკონფერენცია მივუძღვენით ამ თემას, — განაცხადა ზურაბ ბელთაძემ.

— ბატონო ზურაბ, მზია კაკაბაძეს რა უთხრეს, რატომ უნდა დაეთმო აღნიშნული ფართი?

— მოგეხსენებათ, რუსთაველის პროსპექტ №30-ში მდებარე ეს უზარმაზარი ფართი კომერციული თვალსაზრისით ძალიან მიმზიდველი და საინტერესოა. ამიტომაც მოექცა მაშინდელი შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრში. აღნიშნული ფართი დასჭირდათ. ასეთი ფართი ყოველთვის საჭირო და მნიშვნელოვანია. წარმოიდგინეთ, ეს არის ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე უზარმაზარი ოფისი, რომელიც ამ ქალბატონს გაქირავებული ჰქონდა და სოლიდურ თანხას ღებულობდა.

— ეს ფართი კაკაბაძემ შეიძინა?

— დიახ, კაკაბაძე არის კანონიერი მფლობელი. არავითარი პრობლემა ამ ქონებასთან და წილთან დაკავშირებით არ იყო.

„უფლებადამცველთა გაერთიანება" გეგმავს უკანონოდ ქონებაწართმეულებს დაეხმაროს სამართლიანობის აღდგენის პროცესში.

— ჩვენ „უფლებადამცველთა გაერთიანებაში" შევქმენით „უკანონოდ ქონებაწართმეულთა გაერთიანება", სადაც ერთიანდებიან ადამიანები, რომლებსაც უძრავმოძრავი ქონება წაართვეს. ეს პირველი აქციაა „წართმეულიას" ფარგლებში. სირცხვილია, რომ ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ გამზირზე, სადაც უამრავი ტურისტი დადის და ცენტრალური გამზირია, უკანონობა და უსამართლობა სუფევს. არჩევნების შემდეგ სამართლიანობა არ აღდგა. ამის მაგალითი თვალნათლივ ჩანს. თვალნათლივ ჩანდა, მაგალითად, ის ფაქტი, როდესაც ქიბარ ხალვაშს სასამართლოს თვალწინ დაუწვეს საკუთარი ქონება. წარმოიდგინეთ, ადამიანები, რომლებიც მიდიან იმ შენობაში — სასამართლოში, სამართლიანობის ალსადგენად, ხედავენ უსამართლობას — ადამიანს როგორ დაუწვეს თავისი ქონება. საქალაქო სასამართლო იყო უსამართლობის სიმბოლო. დღეს უსამართლობის სიმბოლო რუსთაველზეა, ამ პოლიტიკურ გამზირზე მოქალაქე მზია კაკაბაძეს წაართვეს ამხელა ფართი. რეალურად, ეს მოხდა იძულებით. ამაში მთელი კონგლომერატი იყო ჩართული, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

„უფლებადამცველთა გაერთიანების" წარმომადგენელთა განცხადებით, მინდია გადაევამ დააფუძნა შპს „რუსთაველი ფროფერთი" და მისი სახელით ფართის შეძენამდე 3-4 თვით ადრე, სადაც დირექტორიც ის იყო და 100% დამფუძნებელიც, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, კომპანიის 100% წილი გადაუფორმა ოფშორულ ზონაში, კვიპროსში რეგისტრირებულ შპს „მერრიდოუ დეველოპმენტ ჰოლდინგს".

დღეისათვის მზია კაკაბაძეს ფართების დაბრუნების მოთხოვნით საჩივრები აქვს შეტანილი სასამართლოსა და პროკურატურაში, მაგრამ, ჯერჯერობით, სამართლიანობის აღდგენისკენ რაიმე ხელშესახები ნაბიჯები არ გადადგმულა.

# კონსერვატორია პიანისტთა კონკურსს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში პირველ ოქტომბერს პიანისტთა რიგით მეხუთე საერთაშორისო კონკურსი საზეიმოდ გაიხსნება. კენჭისყრის შემდეგ, შედგება კონკურსის გახსნის საზეიმო ცერემონიალი და გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სოლისტი ალბერტო ნოზე (იტალია), დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე (საქართველო) და თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“.

2, 3 და 4 ოქტომბერს კონკურსის პირველი ტურები შედგება, 5, 6 და 7 ოქტომბერს – კონკურსის მეორე ტურები. 8 ოქტომბერს დაგეგმილია მასტერკლასების ჩატარება კონსერვატორიის მცირე დარბაზში, რომელსაც წარმოადგენენ ალბერტო ნოზე (იტალია), ოქსანა იაბლონსკაია (აშშ), რამზი იასა (ეგვიპტე/საფრანგეთი), ნორმა ფიშერი (დიდი ბრიტანეთი), მარტა სოშინსკა (პოლონეთი/გერმანია) და როლფ დიტერ არენსი (გერმანია).

მესამე ტური ანუ ნახვარფინალები კონსერვატორიაში 9 და 10 ოქტომბერს გაიმართება. 12 ოქტომბერს კვლავ მასტერკლასები იქნება წარმოდგენილი, ამჯერად დაინტერესებულ საზოგადოებას შეხვდება ჩუნგ მო კანგი (სამხრეთ კორეა) და ტერეზ დიუსო (საფრანგეთი).

მეოთხე ტური ანუ ფინალი 12 და 13 ოქტომბერს არის დაგეგმილი. თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით გამართავს კონცერტს კონსერვატორიის დიდ დარბაზში. 14 ოქტომბერს კი კონკურსის საზეიმო დახურვა და ლაურეატთა გალაკონცერტი ჩატარდება.

– ალბერტო ნოზე კონკურსის ჟიურის წევრია და კონკურსის გახსნა ჟიურის წევრის მიერ პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსის ტრადიციაა, – ამბობენ თბილისის კონსერვატორიაში.

პიანისტთა თბილისის V საერთაშორისო კონკურსის მხარდამჭერები არიან თბილისის მერია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, თურქეთის რესპუბლიკების საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობები, საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა დახმარების ფონდი და საფრანგეთის ინსტიტუტი საქართველოში.

პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი გაიმართება საფრანგეთის ქალაქ ნიცაში 12-16 ნოემბერს. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც სრულიად ახალგაზრდა – 6 წლის ასაკიდან, ასევე საშუალო ასაკის პიანისტებს – 28 წლამდე. კონკურსში მონაწილეობისთვის საბუთების მიღების ბოლო ვადა განსაზღვრულია კატეგორიების მიხედვით: კატეგორია ახალგაზრდა ტალანტები და „იანო 4 ხელში – საბუთები მიიღება 5 ოქტომბრამდე. კატეგორია ახალგაზრდა სოლისტები და გრანდ პრიქსი – 23 სექტემბრამდე.

XXIII საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი „ღომა 2013“ იტალიაში 1-11 ნოემბერს გაიმართება შემდეგ კატეგორიებში: სოლისტები – მონაწილეობის მიღება შეუძლია პიანისტს, რომელიც დაბადებულია 1994 წლის შემდეგ; სოლისტები – 1988 წლის შემდეგ; დუეტი ოთხი ხელისთვის – 1979 წლის შემდეგ; დუეტი ორი ფორტეპიანოსათვის – 1979 წლის შემდეგ და სოლისტი „შოპენის პრიზი“ – 1979 წლის შემდეგ. საბუთების მიღება 14 ოქტომბერს დასრულდება.

საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი ჩატარდება 9-16 ნოემბერს ესპანეთის ქალაქ ლას-როსას-დე-მადრიდ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ჰამლეტ გონაშვილის იუბილე რუსთაველის თეატრში იზეიმეს

ეკა ირემაშვილი



ჰამლეტ გონაშვილი

ფონდმა „ქართული გალობა“ ჰამლეტ გონაშვილის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო რუსთაველის თეატრში გამართა. საიუბილეო საღამოს ანზორ ერქომაიშვილი უძღვებოდა. ჰამლეტ გონაშვილის იუბილეზე მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა, მომღერლის ნიჭის თაყვანისმცემლებმა ისაუბრეს და მის განსაკუთრებულობას კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი. ჰამლეტ გონაშვილის საშემსრულებლო და ადამიანურ ღირსებებზე გაამახვილეს ყურადღება ფოლკროლისტმა გია ბაღაშვილმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა. მან მომღერლის ხსოვნას ახალი ლექსი საგანგებოდ მიუძღვნა. ჯანსუღ ღვინჯილიას წერილი რუსთაველის თეატრში შეკრებილ საზოგადოებას მისმა ქალიშვილმა გვანცა ღვინჯილიამ გააცნო. საიუბილეო საღამო, რომელმაც რუსთაველის თეატრში სრული ანშლაგით ჩაიარა, დაასრულა ანსამბლ „რუსთავის“ ძველი და ახალი თაობის მომღერლების ერთობლივმა ნამღერმა და ბავშვთა გაერთიანებული გუნდის მიერ შესრულებულმა „მრავალჟამიერმა“.

რუსთაველის თეატრში შეკრებილ საზოგადოებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში დაცული უნიკალური არქივის ჰამლეტ გონაშვილის ნამღერისა და ინტერვიუების მოსმენის შესაძლებლობაც ჰქონდათ.

ფონდი „ქართული გალობის“ მხარდაჭერითა და დაფინანსებით ჰამლეტ გონაშვილის განახლებული ორი კომპაქტური დისკისგან შემდგარი სიდი ალბომი და მონოგრაფია გამოვიდა, რომლის შეძენის შესაძლებლობაც დამსწრე საზოგადოებას საიუბილეო საღამოზე მისვლისას ჰქონდა. გაყიდული ალბომებიდან შემოსული თანხა მთლიანად მომღერლის ოჯახს გადაეცა.

თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს მწერალთა კავშირის გამოცემლობამ „მერანი“ ჰამლეტ გონაშვილის 85 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი წიგნი-კატალოგი „ჩუმად ჰამლეტ გონაშვილი მღერის“ გამოსცა.

ჰამლეტ გონაშვილი იყო უნიკალური, ფენომენური მოვლენა ქართულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაში. მას უწოდებდნენ „ქართული ჰანგის უფლისწულს“, „ერის ბულბულს“, „საუკუნის მომღერალს“. საიუბილეო წიგნში თავმოყრილია ამონარიდები მგოსნის ხსოვნის წიგნიდან და კოლეგებისა და ახლობლების მოგონებანი გამდიდრებული ფოტო არქივით.

როგორც რუსთაველის თეატრში ითქვა, ფონდი „ქართული გალობა“ წლის ბოლომდე რამდენიმე ღონისძიებას გეგმავს, მათ შორის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის შენობის რემონტს და აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროგრამის დაწყებას, გალობის სასწავლო აუდიო ალბომის გამოცემას, ღვაწლმოსილ ლოტბართა საღამოების გამართვას რეგიონებში, ივეტ გრიმოს საექსპედიციო ჩანაწერების გამოცემას, ფონდის საიტის შექმნას.

ფონდი „ქართული გალობა“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა დააფუძნა, რომელიც წლებია ხელს უწყობს ტრადიციული გალობისა და სიმღერის პოპულარიზაციას. ფონდი „ქართული გალობის“ დაფუძნებისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი 11 ივნისს გაიმართა, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული იყვნენ ქართული ტრადიციული შემოქმედების ყველაზე გამორჩეული ოსტატები. ფონდმა მათ საპატიო ჯილდოები და ფულადი პრემიები გადასცა. ფონდის ერთ-ერთი წარმომადგენლის ანზორ ერქომაიშვილის თქმით, „ქართული გალობა“ ყველა იმ მიმართულებით იმუშავებს, რაც ჭეშმარიტი ქართული კულტურის პოპულარიზაციას მოიცავს.

# ბათუმის კინოფესტივალმა გამარჯვებულები დააჯილდოვა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და სიამაყით ჩადიან დანაშაულს. დაჯგუფების ერთ-ერთ ლიდერი ანვარ კონგო ყვება თავისი სინანულის შესახებ, რომელსაც ის განიცდის ჩადენილი დანაშაულების შემდეგ.

ნომინაციაში საუკეთესო მხატვრული ფილმი გაიმარჯვა ფილმმა „შეავსე სიცარიელე“. რეჟისორმა რამა ბურნშტაინმა მაყურებელს 18 წლის შირას ისტორია მოუთხრო, რომელიც თელავივში, ხასიდურ ოჯახში იზრდება. შირას დის, ესთერის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი გადაწყვეტს, რომ იგი დის ქმარს მიათხოვოს. შირას უჭირს არჩევანის გაკეთება, დაჰყვეს ოჯახის ნებას, თუ თავის წინათგრძნობას მიენდოს.

დოკუმენტური ფილმის საუკეთესო რეჟისურისთვის პრიზი პიტერ ბროსენსა და ჯესიკა ვუდვორთს ერგოთ, ფილმისთვის „მეხუთე სეზონი“. მათმა პირველმა ნამუშევარმა „ხადაკ“ ვენეციის კინოფესტივალზე „მომავლის ლომი“ მიიღო, მათი მეორე ფილმი კი კანის კინოფესტივალის გახსნაზე აჩვენეს.

ნომინაციაში ქალის როლისთვის ირანელმა მაჰტაბ კერამატმა მიიღო ირანულ ფილმში „მეოთხე შვილი“ შესრულებული როლისთვის. კერამატი ფილმში მოგზაური ქალის როლს ასრულებს, რომელმაც მსახიობობაზე უარი თქვა და ფოტოგრაფიითაა დაინტერესებული. იგი სომალისკენ მიემგზავრება.

პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლისთვის სერჟ ავედიკიანს მიენიჭა, რომელიც მისივე ფილმში „ფარაჯანოვი“ რეჟისორ სერგო ფარაჯანოვს ასახიერებს. სერჟ ავედიკიანი სომხეთიდან საფრანგეთში ემიგრაციაში წავიდა. იგი კანის კინოფესტივალის პალმის რტოს მფლობელი გახდა მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის. „ფარაჯანოვი“ მისი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. სერჟ ავედიკიანის მაგივრად პრიზი მისმა თანარეჟისორმა ელენა ფეტისოვამ აიღო. კინოფესტივალის პრიზიორების უმეტესობა ბათუმში არ იმყოფებოდა, ამის მიზეზი კი მათი მოუცლელობაა.

საავტორო კინოს ფესტივალმა წელს გამოავლინა საუკეთესოები და კინომოყვარულებს სხვადასხვა სექციებში წარმოდგენილი ფილმებიც შესთავაზა. ფესტივალის ოფიციალური პარტნიორობა ბათუმის მერიამ ითავა.

არტ-ჰაუზ ფილმების ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი 8 წლის წინ დაარსდა. მისი დამაარსებელი და ორგანიზატორია ბათუმის ხელოვნების სახლი „არგანი“. ეს არის ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც ტარდება სექტემბრის მეორე ნახევარში ბათუმში. ფესტივალის ყურადღების ცენტრშია არტ-ჰაუზ ფილმები. ბათუმის კინოფესტივალის მთავარი სექციებია – საერთაშორისო კონკურსი (მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები), აბრეშუმის გზა, ცნობილი რეჟისორების ნამუშევრების რეტროსპექტივები, ჟიურისთან შეხვედრა. გარდა ფილმების ჩვენებისა, ფესტივალი მოიცავს სემინარებს, მასტერ-კლასებს და ინდუსტრიულ ღონისძიებებს. საკონკურსო ფილმები შეფასა საერთაშორისო ჟიურიმ შემდეგი შემადგენლობით: ალექსანდრე რეხვიაშვილი (საქართველო) ჟიურის თავმჯდომარე, მეჯმეთ ალი არსლან (თურქეთი), დელ პაკი (ირანი), მარგარიტა კასიმოვა (ბელორუსია) და ბაადურ წულაძე (საქართველო).

ბათუმის კინოფესტივალზე საკონკურსო ფილმებთან ერთად მოხდა არასაკონკურსო ფილმების ჩვენებაც. სექციაში შევიდა მრავალი საინტერესო ფილმი, მათ შორის ოსტატთა კოლექცია და მუსიკის სამყარო, რომელშიც წარმოდგენილი იქნა როგორც 2013 წლის, ასევე ათეული წლების წინ გადაღებული ფილმებიც. კინოჩვენებები გაიმართა კინოთეატრ „აპოლოში“, სასტუმრო „რედისონის“ კონფერენს დარბაზში და ბათუმის ბულვარში ღია ცის ქვეშ. კინოფესტივალის ოფიციალური სტუმრების გარდა, ღონისძიებებს ესწრებოდნენ მედია და კინოინდუსტრიის წარმომადგენლები. აკრედიტებულ სტუმრებს შეეძლოთ დასწრებოდნენ ნებისმიერ კინოჩვენებას, მასტერკლასს. კინოფესტივალზე დასწრება ისევ იყო უფასო, თუმცა საჭირო გახდა რეზერვაცია კინოჩვენებების დროს ადგილების ნაკლებობის დისკომფორტის თავიდან ასაცილებლად.

საგანგებო მიმართვა გაგზავნა ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებისთვის ანჟეი ვაიდამ, სადაც დაიგეგმა მისი ფილმის „ვალესა – იმედის ადამიანი“ პრემიერა.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


## განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბანლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწ ვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეულის საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# დინამო პირველობას არ თმობს

დინამო (თბ) – მერანი 4:2

თბილისი. დინამო არენა

0:1 ციკოლია (3), 1:1, 2:1 კვირკველია (20,51), 3:1 ძარია (52), 3:2 შულაია (62), 4:2 ვუო (83)

დინამო: ლორია, ხურცილავა, კვარაცხელია, უსტარიცი, კვირკველია, ხმალაძე, ძარია, გოგა, ელგუჯა გრიგალაშვილი (მერებაშვილი 84), ჩისკო (გლიშიჩი 90), დვალი (ვუო 77)

მერანი: შეროზია, გეგეჭკორი, ფარულავა, ქარქუზაშვილი, მელქაძე, ფონიავა, კუჭუხიძე (შულაია 24), მელიავა, ბაბუნაშვილი (კერძევაძე 56), ციკოლია (ქათამაძე 66), კვანტალიანი

მატჩი მოულოდნელად დაიყო: მე-3 წუთზე გივი კვარაცხელიამ ცუდად მოიგერია ბურთი, რომელიც ბექა ციკოლიას მიუვიდა და მანაც ტექნიკური დარტყმით გიორგი ლორიას შანსი არ დაუტოვა – 0:1. გოლი მართლაც კარგი სანახავი გამოდგა.

მარტვილელები არც შემდეგ გამოიყურებოდნენ ურიგოდ და მწვავე იჩხვლიტებოდნენ. ერთ მომენტში ლატვიელ მსაჯ ცაუნიეს პენალტის დანიშვნაც შეეძლო დინამოელთა კარში, მაგრამ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო.

დინამოელებმა საფრთხე იგრძნეს და გააქტიურდნენ. რამდენი სახიფათო შეტევის შემდეგ კი გოლიც გაიტანეს – ჩისკომ კუთხური ჩააწოდა, ბურთი ყველას ასცდა, დავით კვირკველიას მკერდზე მოხვდა და – 1:1.

ამის შემდეგ „მერანი“ ცოტა ხნით აირია და დორინ გოგას გატანა მართებდა, თუმცა ჯონი შეროზიას ვერ აჯობა. „მერანიც“ დალაგდა და უკვე თავად შეეძლო წინ გასვლა, თუმცა შოთა ბაბუნაშვილს ხელსაყრელი სიტუაციიდან ლორიამ არ გაატანინა.

მატჩის ბედი კი მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყდა, როდესაც „დინამომ“ ერთწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიტანა. კარგი სანახავი გამოდგა კვირკველიას მეორე გოლი – ჩისკომ ეშმაკურად გაათამაშა ჯარიმა, ბურთი დინამოელ მცველს მიუვიდა, რომელმაც ერთი მეურვე ჩამოიშორა და ზუსტად დაარტყა – 2:1.

მალევე, ირაკლი ძარიამ თავად დაიწყო შეტევა და კუთხეში დარტყმით დაასრულა. შეროზიამ კარგი რეაქცია გამოავლინა, მაგრამ ვერ შეიმაგრა ბურთი, რომელმაც ოდნავ გადაკვეთა კარის ხაზი – 3:1.

„მერანი“ მარცხს არ შეეგუა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა. 17 წლის აკაკი შულაია, მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და ტექნიკურად გადაუგდო ბურთი თავზე – 3:2.

„მერანი“ გათანაბრებასაც შეეცადა, მაგრამ კონტრშეტევებზე „დინამო“ უფრო სახიფათოდ გამოიყურებოდა. შეროზიამ ორჯერ კი გადაარჩინა თავისიანები, მაგრამ ბოლოს პატრიკ ვუოს ახლოდან დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა – 4:2.

სიონი – ჩიხურა 2:2

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 ტატანაშვილი (45პ), 1:1 სამხარაძე (50), 2:1 მიკუჩაძე (81), 2:2 ჭელიძე(90)

სიონი: ბათიაშვილი, ტვილდიანი, გოგობერიშვილი, აბრამიძე, ქემოკლიძე, ფოფხაძე, განუგრავა (აფციაური 46), სამხარაძე (თოთაძე 84), იმედაშვილი, კახელიშვილი, ახალაია (მიკუჩაძე 60)

ჩიხურა: თევდორაძე, ლ.ჭელიძე, ჯილაური (ჩიკვაიძე 63), რეხვიაშვილი, გაბედავა, ტატანაშვილი (ნ.კვასხვაძე 69), ლომაშვილი, დათუნაიშვილი (წინამძღვრიშვილი 83), კაშია, ოდიკაძე, დეკანოიძე

მთლიანად მატჩი დაძაბული გამოდგა, განსაკუთრებით ეპილოგი.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ბოლნისელთა კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც გოლად ტატანაშვილმა აქცია. თუმცა, ეს უპირატესობა შესვენების შემდეგ მალევე გაქრა – ირაკლი სამხარაძემ ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

მომენტები მანამდეც და შემდეგაც ორივე გუნდს ჰქონდა, თუმცა ხან შემტევები სცოდავდნენ, ხანაც მეკარეები ყოჩაღობდნენ.

მე-81 წუთზე ბოლნისელებს მოგების შესანიშნავი შანსი მიეცათ – ამჯერად პენალტი საჩხერელთა კარში დაინიშნა და კოკა მიკუჩაძემ ზუსტად დაარტყა – 2:1. მატჩის დასრულებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, თუმცა „სიონმა“ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა და ლაშა ჭელიძემ კუთხურის შემდეგ გამთანაბრებელი გოლი გაიტანა – 2:2.

დილა – სპარტაკი 3:1

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 გორელიშვილი (45), 2:0, 3:0 მოდებაძე (58პ,63), 3:1 ნანუაშვილი (87)

დილა: რევიშვილი, ღონღაძე, კვახაძე, კობახიძე, გ.გურული, დიასამიძე (წიქარიძე 77), აბურჯანია, მაისურაძე, გორელიშვილი, ფილიევი (გაბარაევი 68), მოდებაძე (ქვილითაია 65)

სპარტაკი: ნადირაძე, კ.ხიზანეიშვილი, ფანცხავა (მაქაცარია 68), კილასონია, შონია, ჩაფიძე (თექთურმანიძე 72), თუხარელი, მეტრეველი, კვეკვესკირი, ქურდაძე, ჭაფოძე (ბურძენაძე 66)

პირველ ტაიმში ერთადერთი ბურთი ტაიმის მეორე დამატებულ წუთზე გავიდა, როდესაც ირაკლი მაისურაძის ჩაწოდების შემდეგ, მიხაილ გორელიშვილმა ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა – 1:0.

მეორე ტაიმში თამაში უფრო გაიხსნა და სანახაობრივი გახდა. 58-ე წუთზე ირაკლი მოდებაძემ მოწინააღმდეგის საჯარიმოში კარგად ითამაშა და აიძულა მოწინააღმდეგე თამაშის წესი დაერღვია, რის შემდეგაც მთავარმა არბიტრმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც თავად დაზარალებულმა ზუსტად შეასრულა და სხვაობა ორამდე გაზარდა – 2:0. მოდებაძემ 61-ე წუთზე დუბლის გაფორმებაც შეძლო. გიორგი აბურჯანიას პასის შემდეგ „დილას“ თავდამსხმელი პირისპირ დარჩა ნადირაძესთან, რომელმაც პირველი დარტყმა მოიგერია, თუმცა მეორე მცდელობაზე ბურთი უკვე კარში გავიდა – 3:0.

ამ გოლის შემდეგ სტუმრებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ და ერთ-ერთი მათგანი 85-ე წუთზე გამოიყენეს. ნანუაშვილმა შორეული დარტყმით ლამაზი გოლი გაუტანა რევიშვილს და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 3:1.

ზესტაფონი – გურია 1:0

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

1:0 ქობალია (87)

ზესტაფონი: რ.კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, რენე ფერეირა, გაგოშიძე, აჯურუ, ჭანტურიშვილი, ს.გურული (ენდელაძე 90), სამუშია (კუტალია 63), ს.ლომია (შარიქაძე 63), ქობალია

გურია: ბობღიაშვილი, ჩუენსუ, იობაშვილი, ჩაგელიშვილი, ჯიშკარიანი, ჯოჯუა, გაჩეჩილაძე, შენგელია (კუკულაძე 70), კოშკაძე, შალამბერიძე, ისიანი (ტორონჯაძე 67)

პირველი ტაიმი საკმაოდ უინტერესოდ წარიმართა და, თუ არ ჩავთვლით სტუმართა კართან შექმნილ ორიოდე ეპიზოდს, პირველი 45 წუთის განმავლობაში როინ კვასხვაძესა და მინდია ბობღიაშვილს ბევრი სამუშაო არ ჰქონიათ.

მეორე ტაიმში კი მასპინძლებმა სათამაშო სისწრაფეს მოუმატეს – გურამ სამუშიასა და თორნიკე გრიგალაშვილის ფლანგებიდან განხორციელებული მწვავე რეიდების შემდეგ სტუმართა მეკარე ტაიმის დებიუტშივე შეაწუხეს. ლანჩხუთელებმა მასპინძლებს კობა შალამბერიძის შორიდან გასროლით უპასუხეს. მალევე ანგარიშის გახსნასთან ძალიან ახლოს გურამ სამუშია გახლდათ, თუმცა აშკარა გოლს ლანჩხუთელები მათივე მეკარის სასწაულმა რეაქციამ გადაარჩინათ. გატანის შანსები სანდრო გურულსა და თედორე გრიგალაშვილსაც მიეცათ, თუმცა გოლი არც ამ ეპიზოდებში გავიდა.

ანგარიშის გახსნის შანსი ლანჩხუთელებსაც მიეცათ, თუმცა, მას შემდეგ რაც იმერელთა ბრაზილიელმა მცველმა რენე ფერეირა დოს სანტოსმა საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს შეცდომა დაუშვა და ამ შეცდომის შედეგად როინ კვასხვაძესთან პირისპირ ალექსანდრე კოშკაძე აღმოჩნდა, საკუთარი გუნდის გადარჩენის მისია ისევ ლათინოამერიკელმა ფეხბურთელმა შეასრულა.

მასპინძელთათვის გამარჯვების მომტანი გოლი შეხვედრის 87-ე წუთზე გავიდა – აჯურუ-გურული-კუტალია-ქობალიას მონაწილეობით განხორციელებული უსწრაფესი შეტევა ზუსტი დარტყმით დასრულდა – 1:0.

მეტალურგი – ზუგდიდი 1:0

რუსთავი. ფოლადი

1:0 ფიფია (75)

მეტალურგი: ბედიაშვილი, გეწაძე, მახვილაძე, ქავთარაძე (გურეშიძე 27), კორღალიძე, კირკიტაძე, კაკუბავა (მაისაშვილი 5), ორბელაძე, ბერიაშვილი (ფიფია 46), კაკულია, რაზმაძე

ზუგდიდი: მამალაძე, მირცხულავა, ქვარცხავა, აფქიძე, რიგვავა, აქუბარდია, კანკია, ონიანი, სიხარულია, წურწუმია, ეხვაია (ფარჯიკია 60)

მატჩი რუსთაველთა სრული უპარატესობით წარიმართა. გელა სანაიას შეგირდებმა მთელი შეხვედრა სტუმართა საჯარიმოში გაატრეს და ზუგდიდელებს მოსვენების საშუალება არ მისცეს. სულ ცოტა იღბალი და რუსთაველები გაცილებით უფრო დიდი სხვაობით გაიმარჯვებდნენ.

პირველ ნახევარში „მეტალურგმა“ იძულებითი ცვლილებები განახორციელა რუსთაველთა თავკაცმა ტრავმის გამო ჯერ კაკუბავა შეცვალა, შემდეგ კი მოედნიდან ქავთარაძის გაყვანა მოუწია. მიუხედავად ამისა მასპინძლებმა პირველ 45 წუთში რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, თუმცა გოლის გატანა ვერ მოახერხეს.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ფიფიამ თამაში კიდევ უფრო მეტად გაამწვავა და მეტოქის საჯარიმოში რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შექმნა. რუსთაველთა თავდამსხმელის ერთ-ერთი შეტევა კი გოლით დასრულდა. 75-ე წუთზე ფიფიამ მეტალურგი დააწინაურა და შეხვედრაში ერთადერთი გოლი გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 7 | 5 | 1 | 1 | 15:5 | 16 |
| 2.ჩიხურა | 7 | 4 | 1 | 2 | 15:10 | 13 |
| 3.ტორპედო | 6 | 3 | 3 | 0 | 6:3 | 12 |
| 4.მერანი | 7 | 4 | 0 | 3 | 10:11 | 12 |
| 5.დილა | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| 6.მეტალურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:9 | 11 |
| 7.გურია | 7 | 3 | 0 | 4 | 6:9 | 9 |
| 8.ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 8 |
| 9.სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 8 |
| 10.ზესტაფონი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | 7 |
| 11.ზუგდიდი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:10 | 5 |
| 12.სპარტაკი | 7 | 1 | 0 | 6 | 3:11 | 3 |

# ლელო გალიდერდა

ბათუმი – ლელო 3:28

ბათუმი: სვინტრაძე, გოგიტიძე, აშვეთია, ოქროპირიძე, ბ.ევგენიძე, ოდიშარია (ჩუბინიძე 31), შამული; ხოჭოლავა (აბესლამიძე 51), კელენჯერიძე, მოქია (კაიკაციშვილი 71), თებიძე, ბერიძე, კორტავა, ალიქაძე, მეგრელიძე

1 ჯარიმა: ოდიშარია

ლელო: ყიასაშვილი, ნიჟარაძე, კოპაძე (კორკელია 80), ცერცვაძე (ხეცურიანი 79), გუგავა (ზაალიშვილი 80), მჭედლიშვილი, კაჭარავა; კვერნაძე (სანიკიძე 54), ბელქანია, მელიქიძე (სარჯველაძე 78), ხორბალაძე (რ.კვაჭაძე 51), ქოიავა, სურგულაძე (არველაძე 79), კოლელიშვილი, ჭყოიძე

4 ლელო: გუგავა (2), ნიჟარაძე, კოპაძე

1 გარდასახვა: ყიასაშვილი

2 ჯარიმა: ყიასაშვილი

„ბათუმი“ ერთადერთ გუნდად რჩება, რომელსაც ჯერ ქულა არ მოუპოვებია. „ლელოსთან“ ამის გაკეთება მართლაც რთული იყო – სეზონის სტარტზე წაგებული მატჩის შემდეგ ლელოელებმა ტემპს უმატეს და უკვე ცხრილის სათავეშიც მოექცნენ.

ანგარიში მე-8 წუთზე ლექსო გუგავამ გახსნა, რაზეც მასპინძლებმა მალევე ჯარიმით უპასუხეს, მაგრამ ამის შემდეგ ქულაც ვეღარ აიღეს. გუგავა მეორედაც გაექცა ბათუმელ მცველებს და დუბლი მიითვალა. ერთია, გარდასახვები არაზუსტი იყო და „ლელო“ შესვენებაზე 7-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში, ირაკლი ყიასაშვილმა ორი ჯარიმით უპირატესობა გაზარდა, რასაც სანდრო ნიჟარაძის ლელო მოჰყვა, ხოლო მატჩის მიწურულს დაჩი კოპაძემ სტუმართა მეოთხე ლელოც მიითვალა და „ლელომ“ მოგებასთან ერთად პრემიალური ქულიაც მიითვალა.

ჯიქები – აია 13:15

ჯიქები: შარმაზანაშვილი (კიკნაძე 51), ბიწაძე, ბერძული, კუპრეიშვილი, სვანიძე, გიორგაძე, ნადირაძე (ჭინჭარაული 41); ჯინჭარაძე (ოქრიაშვილი 50), სვანიძე, ხატიაშვილი, გოგოლიძე (ტრაპაიძე 77), მჭედლიშვილი, ტუჩაშვილი, მამრიკიშვილი, შენგელია

1 ლელო: მამრიკიშვილი

1 გარდასახვა: კუპრეიშვილი

2 ჯარიმა: გიორგაძე

აია: ძნელაძე, კიკვიძე (კვერნაძე 58), ფრუიძე, ირემაძე, აბრამიძე, სინაურიძე, თუთბერიძე; რატიაშვილი, მატკავა (ტორაძე 75), ულუმბელაშვილი (ჩხიკვაძე 63), შალამბერიძე, ჩიტეიშვილი (ჯიმშიტაშვილი 71), რევიშვილი, ყურაშვილი, შაშიაშვილი (დანგაძე 50)

2 ლელო: ფრუიძე, აბრამიძე

1 გარდასახვა: სინაურიძე

1 ჯარიმა: სინაურიძე

„ჯიქებმა“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ერთ-ერთ ფავორიტს, რომელმაც ჩემპიონატი მძიმედ დაიწყო და მოგება თითქმის ყოველ მატჩში უჭირს.

ანგარიში ნუგზარ გიორგაძემ ჯარიმით გახსნა, მაგრამ ხუთ წუთში სტუმართა იერიში გიორგი ფრუიძის ლელოთი დაგვირგვინდა. გარდასახვა არაზუსტი იყო და გიორგაძის მორიგი ჯარიმის შემდეგ, ტაიმი „ჯიქებმა“ 6:5 მოიგო.

53-ე წუთზე გაგა სინაურიძემ ჯარიმა გაიტანა და „აიას“ ლიდერობა დაუბრუნა, ხოლო მეორე ნახევრის შუაში გიორგი აბრამიძემ სტუმართა მეორე ლელო გაიტანა და ზუსტი გარდასახვის შემდეგ ანგარიში 15:6 გახდა.

თამაშის „ჯიქებმა“ ლელო გაიტანეს – თავი ბექა მამრიკიშვილმა გამოიჩინა, ხოლო კუპრეიშმა გარდასახა, რამაც „ჯიქებს“ მხოლოდ პრემიალური ქულა მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | 120-57 | 15 |
| 2.არმაზი | 4 | 3 | 0 | 1 | 106-66 | 14 |
| 3.აია | 4 | 3 | 0 | 1 | 62-49 | 14 |
| 4.ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | 68-65 | 12 |
| 5.ყოჩები | 4 | 2 | 1 | 1 | 87-67 | 11 |
| 6.არმია | 3 | 2 | 0 | 1 | 74-47 | 9 |
| 7.ჯიქები | 4 | 1 | 1 | 2 | 77-79 | 8 |
| 8.ხარები | 3 | 0 | 0 | 3 | 39-92 | 1 |
| 9.აკადემია | 3 | 0 | 0 | 3 | 24-79 | 1 |
| 10.ბათუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 29-85 | 0 |

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

სტოკი-ნორვიჩი ............................. 0:1
სანდერლენდი-ლივერპული .......... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 6 | 5 | 0 | 1 | 13:7 | 15 |
| 2.ლივერპული | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| 3.ტოტენჰემი | 6 | 4 | 1 | 1 | 6:2 | 13 |
| 4.ჩელსი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 11 |
| 5.საუთჰემპტონი | 6 | 3 | 2 | 1 | 5:2 | 11 |
| 6.სიტი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:7 | 10 |
| 7.ჰალი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:7 | 10 |
| 8.ევერტონი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| 9.ასტონ ვილა | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| 11.კარდიფი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| 12.მანჩესტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| 13.სუონსი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| 14.ნორვიჩი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| 15.სტოკი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| 16.ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| 17.ვესტ ჰემი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:5 | 5 |
| 18.ფულემი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | 4 |
| 19.კრ.პალასი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:10 | 3 |
| 20.სანდერლენდი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:14 | 1 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-ლევანტე ............................ 0:1
სელტა-ელჩე ..................................... 0:1
ესპანიოლი-ხეტაფე ......................... 0:2
ბეტისი-ვილიარეალი ....................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 7 | 7 | 0 | 0 | 24:5 | 21 |
| 2.ატლეტიკო | 7 | 7 | 0 | 0 | 19:5 | 21 |
| 3.რეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 13:7 | 16 |
| 4.ვილიარეალი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| 5.ბილბაო | 6 | 4 | 0 | 2 | 12:10 | 12 |
| 6.ვალენსია | 7 | 4 | 0 | 3 | 10:10 | 12 |
| 7.ესპანიოლი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 11 |
| 8.ხეტაფე | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 10 |
| 9.ლევანტე | 7 | 2 | 4 | 1 | 6:11 | 10 |
| 10.მალაგა | 7 | 2 | 3 | 2 | 11:6 | 9 |
| 11.ბეტისი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 8 |
| 12.სოსიედადი | 7 | 1 | 4 | 2 | 6:8 | 7 |
| 13.სევილია | 7 | 1 | 3 | 3 | 11:13 | 6 |
| 14.სელტა | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | 6 |
| 15.ვალიადოლიდი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:9 | 6 |
| 16.ელჩე | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| 17.გრანადა | 6 | 1 | 2 | 3 | 3:5 | 5 |
| 18.ალმერია | 7 | 0 | 3 | 4 | 10:17 | 3 |
| 19.ოსასუნა | 7 | 1 | 0 | 6 | 5:13 | 3 |
| 20.რაიო | 7 | 1 | 0 | 6 | 5:21 | 3 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ერკულესი-დეპორტივო ................. 0:2
ბარსელონა ბ-მალიორკა ............... 0:1
კორდობა-ხირონა ........................ 2:0
მირანდესი-პონფერადინა ............. 1:0
ტენერიფე-რეალი ბ ....................... 1:0
სარაგოსა-უელვა .......................... 1:2
მურსია-ნუმანსია ......................... 2:1

### იტალია. სერია ა

ატალანტა-უდინეზე ...................... 2:0
ვერონა-ლივორნო ........................ 2:1
კალიარი-ინტერი .......................... 1:1
კატანია-კიევო ............................. 2:0
სასუოლო-ლაციო ......................... 2:2
რომა-ბოლონია ............................ 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 6 | 6 | 0 | 0 | 17:1 | 18 |
| 2.ნაპოლი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:4 | 16 |
| 3.იუვენტუსი | 6 | 5 | 1 | 0 | 11:4 | 16 |
| 4.ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 16:3 | 14 |
| 5.ფიორენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| 6.ლაციო | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 10 |
| 7.ვერონა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 10 |
| 8.ლივორნო | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| 9.მილანი | 6 | 1 | 2 | 2 | 11:10 | 8 |
| 10.ტორინო | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| 11.უდინეზე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |
| 12.კალიარი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:9 | 7 |
| 13.ატალანტა | 6 | 2 | 0 | 4 | 8:10 | 6 |
| 14.პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |
| 15.ჯენოა | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| 16.კატანია | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |
| 17.კიევო | 6 | 1 | 1 | 4 | 5:12 | 4 |
| 18.ბოლონია | 6 | 0 | 3 | 3 | 7:16 | 3 |
| 19.სამპდორია | 6 | 0 | 2 | 4 | 4:10 | 2 |
| 20.სასუოლო | 6 | 0 | 2 | 4 | 4:18 | 2 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-ნიურნბერგი .................. 3:3
ბრაუნშვაიგი-შტუტგარტი ............ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 7 | 6 | 1 | 0 | 21:5 | 19 |
| 2.ბაიერნი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:2 | 19 |
| 3.ლევერკუზენი | 7 | 6 | 0 | 1 | 17:7 | 18 |
| 4.ჰერტა | 7 | 3 | 2 | 2 | 13:8 | 11 |
| 5.შტუტგარტი | 7 | 3 | 1 | 3 | 15:9 | 10 |
| 6.გლადბახი | 7 | 3 | 1 | 3 | 17:13 | 10 |
| 7.აუგსბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:11 | 10 |
| 8.ვერდერი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:11 | 10 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 7 | 2 | 3 | 2 | 17:17 | 9 |
| 10.ჰანოვერი | 7 | 4 | 0 | 3 | 10:10 | 9 |
| 11.ვოლფსბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 9:9 | 9 |
| 12.მაინცი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:15 | 9 |
| 13.აინტრახტი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | 8 |
| 14.შალკე | 7 | 2 | 2 | 3 | 10:16 | 8 |
| 15.ჰამბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 12:19 | 5 |
| 16.ნიურნბერგი | 7 | 0 | 5 | 2 | 9:12 | 5 |
| 17.ფრაიბურგი | 6 | 0 | 3 | 4 | 8:17 | 3 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 7 | 0 | 1 | 6 | 3:18 | 1 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზანდჰაუზენი-ბოხუმი .................... 1:0
ინგოლშტადი-ზ.პაული ................. 1:2
კაიზერი-მიუნხენ 1860 .................. 3:0

### საფრანგეთი. 1 ლიგა

რენი-ნანტი .................................. 1:3
აიაჩო-მონპელიე .......................... 1:1
რეიმსი-მონაკო ............................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 8 | 5 | 3 | 0 | 14:4 | 18 |
| 2.პსჟ | 8 | 5 | 3 | 0 | 12:4 | 18 |
| 3.მარსელი | 8 | 5 | 2 | 1 | 12:5 | 17 |
| 4.ლილი | 8 | 4 | 2 | 2 | 8:4 | 14 |
| 5.ნიცა | 8 | 4 | 2 | 2 | 11:9 | 14 |
| 6.ნანტი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:8 | 13 |
| 7.სტ.ეტიენი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:9 | 13 |
| 8.რენი | 8 | 3 | 3 | 2 | 8:8 | 12 |
| 9.ლიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:7 | 11 |
| 10.რეიმსი | 8 | 2 | 5 | 1 | 6:5 | 11 |
| 11.მონპელიე | 8 | 1 | 6 | 1 | 9:11 | 9 |
| 12.ბასტია | 8 | 2 | 3 | 3 | 7:10 | 9 |
| 13.ტულუზა | 8 | 2 | 3 | 3 | 6:10 | 9 |
| 14.ევიანი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:14 | 9 |
| 15.გენგამი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:10 | 8 |
| 16.აიაჩო | 8 | 1 | 4 | 3 | 7:9 | 7 |
| 17.ბორდო | 8 | 1 | 4 | 3 | 7:11 | 7 |
| 18.ლორიენი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:11 | 7 |
| 19.სოშო | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | 5 |
| 20.ვალანსიენი | 8 | 1 | 0 | 7 | 4:14 | 3 |

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

ნაიმეგენი-ვიტესი ......................... 2:3
ფეიენოორდი-დენ ჰააგი ................ 4:2
ჰერენვენი-კამბური ....................... 2:1
ტვენტე-გრონინგენი ...................... 5:0

### რუსეთი. პრემიერლიგა

დინამო-კრ.სოვეტოვი ................... 2:0
ვოლგა-ყუბანი .............................. 1:0
ანჟი-ამკარი ................................. 2:2
კრასნოდარი-რუბინი ..................... 1:0

### შვეიცარია. სუპერლიგა

არაუ-ლოზანა ............................... 2:3
ლუცერნი-თუნი ............................. 1:1
იანგ ბოიზი-ციურიხი ..................... 0:1

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ზალცბურგი-ნოიშტადი ................ 8:1

### ბელგია. პროლიგა

ანდერლეხტი-ლიერსი .................. 2:0
სერკლე-სტანდარდი ..................... 0:5

### თურქეთი. სუპერლიგა

ელაზიგი-სივასი ........................... 2:4
ტრაბზონი-ქონია .......................... 2:0
გენჩლერი-ფენერბახჩე ................. 0:1
ქაშიმფაშა-ესკიშეჰირი ................. 0:2

### საბერძნეთი. სუპერლიგა

არისი-პანაითოლიკოსი ................. 0:0
ოფი-პაოკი ................................... 1:1
აპოლონი-ლევადიაკოსი ................ 4:2
იანინა-ქსანთი ............................. 2:1
პანათინაიკოსი-ასტერასი ............. 2:1

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ლიბერეცი-პრჟიბრჟამი ................ 1:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ზაგლებიე-იაგელონია ................... 1:1
ლეხი-ვიძევი ................................ 1:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

ილიჩევეცი-ჰოვერლა .................... 0:1
კარპატი-ტავრია ........................... 2:1
ვოსრსკლა-დინამო ....................... 2:2
მეტალისტი-მეტალურგი(ზ) .......... 3:2

### დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-სონდერიისკე ................ 4:1
ოლბორგი-ორხუსი ........................ 0:0
ოდენსე-მიდტიულანდი ................. 1:1

### შვედეთი. ალსვენსკა

კალმარი-გიოტებორგი .................. 2:1
ჰალმშტადი-დიურგარდენი .......... 1:4
ელფსბორგი-ჰელსინბორგი .......... 1:1

### ნორვეგია. ტიპელიგა

ჰაუგესუნდი-მიოლდე .................. 1:1
ვალერენგა-ოდ გრელანდი ............ 1:2
ულფი-ლილესტრიომი ................... 1:1
ტრომსო-სტარტი .......................... 2:3
სარპსბორგი-რუსენბორგი ............ 1:2

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

მარიეჰამნი-ჰონკა ........................ 3:2
ტპს-მიუპა ................................... 2:1

### აშშ. მლს

პორტლენდი-ლოს ანჯელესი ......... 1:0
დალასი-კოლამბუსი ..................... 2:4
სიეტლი-ნიუ იორკი ..................... 1:1
ჩივასი-სან ხოსე .......................... 0:1

### ბრაზილია. სერია ა

ბაია-ვასკუ .................................... 0:0
პორტუგეზა-კორინთიანსი ............ 4:0
სან პაულუ-გრემიო ...................... 0:1
ფლამენგო-კრისიუმა ................... 4:1
ატლეტიკო(მ)-სანტოსი ................. 4:1
ატლეტიკო(პ)-ვიტორია ............... 3:5
ინტერნასიონალი-კრუზეირო ....... 1:2

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

ოლდ ბოიზი-არხენტინოსი ............ 2:0
ტიგრე-კოლონი ............................ 1:0
ბელგრანო-რასინგი ..................... 3:0
ბოკა-ქილმესი .............................. 2:0
ლანუსი-რივერ პლეიტი ................ 0:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# თბილისობის პროგრამა ცნობილია

ეკა ირემაშვილი

თბილისობა 2013 წელს ოქტომბრის პირველივე კვირას ჩატარდება. 4, 5 და 6 ოქტომბერს თბილისის სხვადასხვა უბნებში სახალხო დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებებია დაგეგმილი, თუმცა მთავარი ეპიცენტრი კვლავაც ძველი თბილისი იქნება.

– თბილისობის დღესასწაული პირველად 1979 წლის 28 ოქტომბერს აღინიშნა და ამ დღიდან მოყოლებული ყოველწლიურ ტრადიციად იქცა. პირველივე ღონისძიებამ განსაზღვრა მისი ხასიათი: ღვინობისთვის უკანასკნელ შაბათ-კვირას დედაქალაქში წარსულისა და აწმყოს შეხვედრა ხდება და ძველი თბილისი ცოცხლდება. ისტორიულ უბნებში კვლავ შეხვდებით ყარაჩოღელებს, კინტოებსა და მეთულუხჩეებს. ახლად დაარსებული თბილისობის აღნიშვნა რესტავრირებულ უბნებში განხორციელდა და კოსტიუმირებული კარნავალის სახე მიიღო: თბილისური სახლების აივნებიდან, როგორ ოდესღაც, ახლაც ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი თავადები და ქართულ კაბებში გამოწყობილი კავებიანი ,,კნეინები" გადმოჰყურებდნენ მტკვარზე მოცურავე ტივებს.

დღესაც, თბილისობის დადგომასთან ერთად ქუჩებში კვლავ ჩნდებიან ფაეტონები, შორიდან ნიავს მოაქვს არღნის სევდიანი ჰანგები და აშუღთა სიმღერები – ქალაქი დროში მოგზაურობას იწყებს, შუა საუკუნეების მკვიდრნი ბრუნდებიან თითქოს. თუმცა თბილისობის აღნიშვნაში არა მარტო ადგილობრივი, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობა მონაწილეობს. სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ადამიანები თავიანთ კუთხის წარმოჩენას ცდილობენ და შემოდგომის უხვი მოსავლის ბაზრობებს მართავენ, ალბათ, ამიტომაც თბილისობას მეორენაირად ,,შემოდგომის დღესასწაულსაც" უწოდებენ. მრავალსაუკუნოვანი ქალაქის დღეობის აღნიშვნა თავისთავად გულისხმობს უძველეს ტრადიციებთან თანაზიარობას. პირველივე თბილისობისას ერთ-ერთ საინტერესო სანახაობას ყეენობის გამოძახილი – აღორძინებული ხალხური თამაშობანი – კოჭაობა, ჯირითი, რიქთაფელა წარმოადგენდა. ძველ თბილისში ჭიდაობის საასპარეზო ალაგად დიდუბე ითვლებოდა და დღესაც აკაკის ბაღი ფალავანთა შეხვედრის ადგილია. უკვე მერამდენე წელია თბილისობის დადგომასთან ერთად იგეგმება უამრავი კულტურული და სპორტული ღონისძიება, რომლებიც სცდებიან საგამოფენო დარბაზებს, სცენებსა თუ სპორტულ მოედნებს და ქუჩებში გადმოინაცვლებენ. დღესასწაული ყოველთვის სანახაობრივად დატვირთული და მრავალფეროვანია. სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებს ენიჭებათ საპატიო მოქალაქის წოდება, რაც არანაკლებ საზეიმო ვითარებაში ხორციელდება. თბილისობა უკვე ურყევ ტრადიციადაა ქცეული. დედაქალაქის მკვიდრთათვის და მისი სტუმრებისთვის თბილისი ორიოდე დღით გარდაიქმნება: კალაში თუ ისანში, მეტეხის ძირში თუ დარეჯანისეული სასახლის აივნების ქვეშ, აზია და ევროპა ერთმანეთს კვლავ ხვდება, როგორც ოდესღაც გვიან შუა საუკუნეებში და თბილისსაც მხოლოდ მისთვის ჩვეული კოლორიტი და ხიბლი უბრუნდება, – ამბობენ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრში.

თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა თბილისობა 2013-ის პროგრამაში მონაწილეობის მსურველ მუსიკალურ ჯგუფებს მოუწოდა დროულად გაეგზავნათ თავიანთი აუდიო ან ვიდეო ჩანაწერები ელექტრონული ფოსტით, თბილისობის დასკვნით გალაკონცერტში მონაწილეობის მისაღებად, რადგან საკონცერტო პროგრამა სწრაფი ტემპით ივსება.

– თბილისობის დღესასწაული შემოდგომის ზეიმთან ასოცირდება. სწორედ ამიტომ, უკვე ტრადიციად იქცა დედაქალაქის შუაგულში რიყეზე გრანდიოზული საწნახელის მოწყობა და ყურძნის დაწურვის სახალხო ცერემონიალი. ქალაქის ცენტრში ,,ამოზრდილი" უზარმაზარი საწნახელი და დაწურვის მხიარულ ფერხულში ჩაბმული მამაკაცების შეძახილები უჩვეულო სანახავია. წელიწადში ერთხელ, ნებისმიერ მსურველს შეუძლია თბილისობაზე თავისი დაწურული ვაზის მადლიანი წვენით დაილოცოს. რიყეზე გამართულ ღონისძიებებს აქ გამართული ფოლკლორული ანსამბლების კონცერტები კიდევ უფრო სანახაობრივს ხდიან. თბილისობა საქართველოს ყველა ტრადიციას თავისთავში იკრებს. ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა გამვლელებს დიდი ხნით ატყვევებს. გარშემო კი მწვადის სურნელი ტრიალებს და მაცდურად ,,ეძახის" გამვლელებს. შემოდგომის ეს ულამაზესი დღესასწაული თბილისის სტუმრებს საშუალება აძლევს არამარტო მასპინძელი ქალაქის, არამედ ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ტრადიციებს გაეცნონ, მონაწილეობა მიიღონ რიყეზე გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში, დააგემოვნონ ქართული სამზარეულოს კერძები და სამახსოვროდ ხელნაკეთი სუვენირები შეიძინონ. ,,თბილისობა 2013-ისთვის" გიგანტური საწნახელის მოსაწყობად თბილისის მერიამ ტენდერი გამოაცხდა. კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების მიხედვით, საწნახელი (ზომებით 12*5*2,8მ) ხის მასალისაგან უნდა აეწყოს, რომელიც იზოლირებული უნდა იყოს ყურძნის წვენის გაჟონვისაგან. საწნახელი გაფორმებული უნდა იყოს ძველი ქართული ტრადიციული ხის წნულებით და თიხის და ხის სხვადასხვა აქსესუარებით. საწნახელს უნდა ჰქონდეს წვენის მინიმუმ 5 გამოსასვლელი და წვენის ყველა გამოსასვლელთან უნდა იდგეს 200 ლიტრიანი მუხის კასრი, სიძველის იერით. შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს 7 ტონა ყურძნის ჩაყრა საწნახელში ეტაპობრივად და სტუმრებისათვის 50 წყვილი სხვადასხვა ზომის რეზინის ჩექმით მომსახურება. გიგანტური საწნახელის მონტაჟი და დემონტაჟი უნდა განხორციელდეს თბილისში. საწნახელი 2013 წლის 4 ოქტომბერს დილით 10 საათზე მზად უნდა იყოს. ყურძნის დაწურვის ცერემონია 5 ოქტომბერს გაიმართება, ხოლო საწნახელის დემონტაჟი 11 ოქტომბრამდე უნდა განხორციელდეს. სატენდერო პირობების მიხედვით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 25.000 ლარს შეადგენს. განცხადებების მიღება 11 სექტემბერს დაიწყო და 16 სექტემბერს დასრულდა, – ამბობენ თბილისის მერიაში.

თბილისობის დღესასწაულს კიდევ უფრო დასამახსოვრებელს ხდის ,,ხილის ფესტივალი". მასში მონაწილეობას იღებენ შარდენისა და ბამბის რიგის მიმდებარე ტერიტორიის რესტორნები და კაფე-ბარები. ღონისძიების მონაწილეები რესტორნებისა და კაფე-ბარების ინტერიერს, ბამბისა და რკინის რიგებს, შარდენისა და სიონის ქუჩებს ხილისგან შექმნილი ულამაზესი კომპოზიციებით აფორმებენ. სპეციალურად ამ დღისთვის, სიონის სკვერის ხეები ვაშლს, ბანანს, მსხალს, მანდარინს, ბროწეულს, ყურძენს ,ისხამენ". გამვლელებს ხილისა და ჩაის მწარმოებელი და იმპორტიორი ფირმები გამვლელებს საკუთარ პროდუქციას წარუდგენენ და ახალ ნაწარმს სთავაზობენ.

თბილისობა წარმოუდგენელია ავტო შოუს გარეშე. ღონისძიებაზე უნიკალური ანტიკვარული და ახალი მოდელის ავტომობილების გამოფენა-გაყიდვა ეწყობა, სადაც წარმოდგენილია მსოფლიოს წამყვანი საავტომობილო ბრენდები ფოლქსვაგენი, მიტსუბიში, მერსედესი, რენაულტი, ოპელი, ნისანი, ტოიოტა. ახალი ავტომობილების გვერდით თავს ამაყად იწონებენ ვეტერანები – ანტიკვარული უცხოური და საბჭოთა მარკის მანქანები. თბილისობაზე გამართული ავტო-შოუ გასული საუკუნის 80-იანი წლების ტრადიციის გამოძახილია. მსგავსი ღონისძიებები დედაქალაქში წელიწადში რამდენიმეჯერაც კი იმართებოდა.

– თბილისობის დღესასწაული ეპიცენტრად, ტრადიციულად, აბანოთუბანი მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ ზეიმი თითქმის მთელს ქალაქს მოიცავს, აქ – ქალაქის უძველესსა და კოლორიტულ უბანში – დღესასწაულს განსაკუთრებული ელფერი დაჰკრავს. თბილისი ყოველთვის მრავალეროვანი ქალაქი იყო, სადაც ერთმანეთის გვერდით განსხვავებული და თვითმყოფადობით გამორჩეული კულტურები თანაარსებობდნენ. დღესაც, ეს ნიშან-თვისება ნათლად აისახება აბანოთუბანში გამართულ საზეიმო ღონისძიებებში. მთელი დღის განმავლობაში აბანოთუბანი მოზეიმეებს ქართულ და ეროვნულ უმცირესობათა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტებზე ეპატიჟება. აქვე პატარა მხატვრები ფერადი ფანქრებით საკუთარი თვალით დანახულ თბილისობას ხატავენ და ღია ცის ქვეშ სახელდახელოდ გამართულ გამოფენას მართავენ. თბილისობა აბანოთუბანში ყოველთვის დაუვიწყარ ემოციებს ჰპირდება თბილისის მკვიდრებსა და დედაქალაქის სტუმრებს, – განმარტავენ თბილისობის ორგანიზატორები.



რაც შეეხება თბილისობა 2013-ის პროგრამას, ის ასე გამოიყურება: 4 ოქტომბერი – ახალბედა მუსიკალური ბენდების კონკურსის „თბილისი ნიუქამერს 2013" დაჯილდოება ჯანსუღ კახიძის სახელობის ბაღში.

5 ოქტომბერი – ღვინის დაწურვა – საწნახელი (მეიდანი, გორგასლის მოედანი), ქორეოგრაფიული ანსამბლის „როკვა", ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლის „ჩოხოსნები" და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლის „შეჯიბრი – პატარა მედოლეების" კონცერტი (მეიდანი, გორგასლის მოედანი), ქართული პოპ მუსიკის კონცერტი (მეიდანი, გორგასლის მოედანი), ჯგუფის „ეგარი" კონცერტი (მეიდანი, გორგასლის მოედანი), ჯგუფის „ბანი" კონცერტი (მეიდანი, გორგასლის მოედანი), ბაზიერების შოუ (ევროპის მოედანი), ქართული საბრძოლო ხელოვნების წარმოდგენა ,,შავფაროსნები" (ევროპის მოედანი), ოთარ რამიშვილის 75 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კონცერტი ,,ოთო ნემსაძე წარმოგიდგენთ ოთარ რამიშვილის დაუვიწყარ მუსიკას) (ევროპის მოედანი), ნარდისა და ჭადრაკის სამოყვარულო ტურნირები (აბანოთუბანი, ჰეიდარ ალიევის სახელობის სკვერი), საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრის წარმოდგენა (რიყის პარკის ამფითეატრი), მეთოჯინე ბახვა წერედიანის თოჯინური წარმოდგენა (რიყის პარკი), ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის ჩასაბერ საკრავთა ანსამბლი ,,ჯორჯიან ბრას"-ის კონცერტი (რიყის პარკის ამფითეატრი), შეხვედრა ახალგაზრდა პოეტებთან (რიყის პარკის ამფითეატრი), კომედი შოუს და კომედი არხის მსახიობები თბილისობისთვის (რიყის პარკის ამფითეატრი), ავტო შოუ (მეტეხის ხიდი), გასეირნება ტივით – მეარღნის, მედუდუკეებისა და ყარაჩოღელების თანხლებით (მსვლელობა მტკვარზე), ბაიდარების მსვლელობა მტკვარზე, თბილისის IV საერთაშორისო სამხატვრო პლენერზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა (ლეღვთახევი), ხილის ფესტივალი (ბამბის რიგი, სიონის სკვერი, შარდენის ქუჩა, რკინის რიკი), სპორტული აკრობატიკა, მხატვრული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომა, მხიარული სტარტები, სთრითბოლი, ქართული ჭიდაობა, ხრიდოლი, კლდეზე ცოცვა (რიყის პარკი), თეატრალიზებული მუსიკალური წარმოდგენა ,,ფიროსმანი" ბავშვებისათვის ბასტი-ბუბუსთან ერთად (აბანოთუბანი), სხვადასხვა ეროვნების ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, ხალხური რეწვის ნიმუშებისა და ხელნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა (აბანოთუბანი), სამეცნიერო პიკნიკი (გორგასლის ხეივანი), სადღესასწაულო მსვლელობა ბოტანიკურის ქუჩაზე, გამოფენა – ქეთი მატაბელის თბილისი მეიდანზე (გალერეა ,,გვირაბი"), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემოქმედების წარდგენა (სამღებროს ქუჩა), თბილისის მუნიციპალური სახლ-მუზეუმების თემატური ექსპოზიციები (სამღებროს ქუჩა), ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციის გამოფენა (სამღებროს ქუჩა).

6 ოქტომბერი – ავტოშოუ (მეტეხის ხიდი), გასეირნება ტივით – მეარღნის, მედუდუკეებისა და ყარაჩოღელების თანხლებით (მსვლელობა მტკვარზე), თეატრალიზებული მუსიკალური წარმოდგენა ,,ფიროსმანი" ბავშვებისათვის ბასტი-ბუბუსთან ერთად (აბანოთუბანი), სხვადასხვა ეროვნების ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, ხალხური რეწვის ნიმუშებისა და ხელნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა (აბანოთუბანი), თბილისის IV საერთაშორისო სამხატვრო პლენერზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა (ლეღვთახევი), მეთოჯინე ბახვა წერედიანის თოჯინური წარმოდგენა (რიყის პარკი), სპორტული აკრობატიკა, მხატვრული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომა, მხიარული სტარტები, სთრითბოლი, ქართული ჭიდაობა, ხრიდოლი, კლდეზე ცოცვა (რიყის პარკი), პარა მშვილდოსნობა (მუშთაიდის ბაღი), ჩაის ფესტივალი (სიონის სკვერი), ,,რეტრო ბენდის" კონცერტი (გორგასლის მოედანი), კამერული ორკესტრის კონცერტი – დირიჟორი ავთო მამაცაშვილი (გორგასლის მოედანი), ,,თბილისის ბიგ ბენდის" კონცერტი (გორგასლის მოედანი), ჯაზბენდ „5ტეტ"-ის კონცერტი (გორგასლის მოედანი), ჯგუფი ,,სანდას" კონცერტი (გორგასლის მოედანი), ღვინის ფესტივალი (გორგასლის მოედანი), „მარნეულის მწნილის ფესტივალი" (გორგასლის ხეივანი), ქართული ლუდის ფესტივალი (მთაწმინდის პარკი), ქართული ჯგუფების კონცერტი (რიყის პარკის ამფითეატრი), კომედი შოუს და კომედი არხის მსახიობები თბილისობისთვის (რიყის პარკის ამფითეატრი), ექსპოზიცია „XIX საუკუნის მრავალეთნიკური თბილისი" თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონიალი თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), კვინტეტედ „ზი ქვინთესენციას ფაივ"-ის კონცერტი თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), ბაზიერების შოუ (ევროპის მოედანი), ქართული საბრძოლო ხელოვნების წარმოდგენა „შავფაროსნები" (ევროპის მოედანი), მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები" (ევროპის მოედანი), მოძრაობის თეატრის საჰაერო შოუ მშვიდობის ხიდზე (მშვიდობის ხიდი).


ჩვენს საყვარელ
ლალი დავითურს
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ სიხარულს,
სიყვარულს, დიდ გამარჯვებას
ცხოვრების ფართო გზაზე!
სიყვარულით „ახალი თაობა"

ჩვენს საყვარელ
ინგა ღვალიშვილს
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სანუკვარი ოცნების სწრაფად ასრულებას; იხაროს და იბედნიეროს მრავალჟამიერ!
სიყვარულით „ახალი თაობა"

ამა წლის 3 ოქტომბერს, 14:00 საათზე შედგება აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი

2012 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების განხილვა

მის: ქ.ზუგდიდი აკ.წერეთლის ჩიხი 3, სს ,,კოლხა-98"-ის ადმინისტრაციული შენობა.

სს „კოლხა-98" -ის ადმინისტრაცია


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად; 2. ფილიპინების ყველაზე დიდი კუნძული; 3. ყაზახური როკ-ჯგუფის „ა სტუდიოს" ქართველი სოლისტი ქალი; 4. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. მსჯელობის საგანი; 6. თოვლის ფანტელი; 7. ერთ-ერთი პირველი ქართული როკ-ჯგუფი; 9. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 13. სანოტო ნიშანი ბგერის ნახევარტონით ასამაღლებლად; 17. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება; 18. ბუნებრივი წყალსაცავი.

**თარაზულად:** 1. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 3. ქართული სუფრის ხელმძღვანელი; 8. საქარგავი ფერადი ძაფი; 10. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 11. კლოუნის ნომერი, გამოსვლა ცირკში; 12. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 14. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 15. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 16. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 19. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 20. მხარე გერმანიაში; 21. სია, რაიმეს მიღება-გაცემის შესახებ.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ბრაზილია; 6. ტრომბონი; 8. კილიმანჯარო; 10. ფრეგატი; 11. საია; 12. ლიმონი; 14. მარსი; 17. მარკა; 19. ხმალი; 20. პოლონეზი; 21. არკა; 22. ბირდაბირი; 23. მარკეტი.

**შვეულად:** 1. არტისტი; 2. მოკასინი; 3. ანაკლია; 5. იომენები; 7. კამელია; 9. პასაკალია; 13. ტამტამი; 15. ალმასი; 16. კანონი; 18. არისა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. რანიკუ; 2. ირინოლა; 3. რახი; 4. ბრინჯი; 5. ლოო; 6. რისკი; 7. ბლიცი; 8. რესურსი; 9. სიბილა; 10. ნიბლია; 11. მირკანი; 12. ადელაიდა; 13. „ასია"; 14. ბალასტი; 15. სერ; 16. იოკოჰამა; 17. მატიე; 18. ლაბილური; 19. ნამყო; 20. მანავი; 21. პან; 22. ალამი; 23. დეპო; 24. კოალა; 25. რალი; 26. სინეკურა; 27. კალნაბი; 28. ურა; 29. ანა; 30. სერალი; 31. ნილს.

**სურათებზე:** ჯეიდა დიუვენჯი; ვიქტორ ვალდესი.

# ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეელ ჟურნალისტებს „ულმობელი სასჯელით“ ემუქრება

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება მეზობელ სამხრეთ კორეას კვლავ დაემუქრა. ისინი დასჯით დაემუქრნენ „ყველას, ვინც ქვეყნის ხელისუფლებასა და სო-



ციალურ სისტემას შეურაცხყოფს“.

ჩრდილოეთ კორეა მეზობელი ქვეყნის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულმა ინფორმაციამ გააღიზიანა, სადაც ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის „არასტაბილურობაზე და შესაძლო რღვევაზეა“ საუბარი.

ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო სააგენტომ გავრცელებულ ინფორმაციას „აბსურდული“ უწოდა. ჩრდილოეთ კორეის მშვიდობიანი გაერთიანების კომიტეტის განცხადებით, ამ ინფორმაციის გავრელების მიზანს ქვეყნის პრესტიჟის შელახვა წარმოადგენს, მაშინ როდესაც კიმ ჩენ ინის მმართველობის დროს ქვეყანა მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს.

ასეთ წარმატებებს შორის, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვება არის დასახელებული.

განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ სამხრეთ კორეელ ჟურნალისტებს, წამყვანებს და პოლიტოლოგებს ასეთი ინფორმაციების გავრცელებისთვის, „მაღალი საფასურის“ გადახდა მოუწევთ.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ურთიერთობები კვლავ დაძაბულია, ქვეყნები ფორმალურად ომის მდგომარეობაში იმყოფებიან. 21 სექტემბერს, ჩრდილოეთ კორეამ გაყოფილი ოჯახების შეხვედრა გადადო და სამხრეთ კორეა კონფრონტაციისკენ მისწრაფებაში დაადანაშაულა.

აგვისტოში, სამხრეთ კორეაში, ჩრდილოეთში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიებაზე, გაეროს კომისიის მოსმენები დაიწყო. სხდომაზე მოუსმინეს ე.წ. გაქცეულების ჩვენებებს, რომლებიც სამშობლოში გადატანილ საშინელებებზე ყვებოდნენ: კონცლაგერებში ცხოვრების არაადამიანურ პირობებზე, წამებასა და სიკვდილით დასჯის ფაქტებზე.

# ნიგერიაში 50-მდე სტუდენტი მოკლეს



ნიგერიის ჩრდილოაღმოსავლეთში, კოლეჯის საერთო საცხოვრებელზე თავდასხმას 50-მდე სტუდენტი ემსხვერპლა. უცხოური მედიის ინფორმაციით, თავდასხმაში ისლამისტური მოძრაობა „ბოკო ჰარამის“ წევრები არიან ეჭვმიტანილები.

თავდასხმა შტატ იობე დამატურუს რაიონ გუჯბაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო კოლეჯზე გვიან ღამით მოხდა, როდესაც სტუდენტებს ეძინათ.

რაც შეეხება „ბოკო ჰარამს“, აღნიშნული მოძრაობის მიზანია ჩრდილოეთ ნიგერიაში სახალიფოს შექმნა, რომელიც შარიათის კანონზე იქნება დაფუძნებული.

აღსანიშნავია, რომ ნიგერიის პრეზიდენტმა გუდლაკ ჯონათანმა ჯერ კიდევ მაისში გასცა ბრძანება მოძრაობა „ბოკო ჰარამის“ წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყებისა. 14 მაისს კი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში საგანებო მდგომარეობა გამოცხადდა. ისლამისტები ამის გამო გაქტიურდნენ.

ივნისში მათ ამ რაიონში მდებარე სკოლებზე მიიტანეს იერიში. ერთ თავდასხმას 9 მოსწავლე და მასწავლებელი, მხოლო მეორეს 13 ადამიანი ემსხვერპლა.

ივლისში კი მათ სოფელ მამუდოს სკოლაზე მიიტანეს იერიში და 42 მოსწავლე მოკლეს.

სახელწოდება „ბოკო ჰარამი“ ითარგმნება როგორც „დასავლური განათლება აკრძალულია“ და ის სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებს დასავლური კულტურის სიმბოლოდ განიხილავს.

# მეცნიერებმა მამაკაცის ტვინისთვის მწვანე ჩაის სარგებლობა დაადასტურეს



წვანე ჩაი მამაკაცებში გონებრივ მუშაობას ააქტიურებს, წერს პორტალი მგ7.რუ. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ნიდერლანდელი მეცნიერები. ამასთან, მათივე მონაცემებით, სტიმულატორს გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს. ჰოლანდიელი მეცნიერების ექსპერიმენტში 44 მოხალისე მონაწილეობდა.

ექსპერიმენტის მსვლელობისას, მონაწილეების ნახევარს ჭიქა მწვანე ჩაი დაალევინეს. შემდეგ მამაკაცებს სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტას თხოვდნენ. მუშაობის პროცესში თავის ტვინის აქტივობას, სპეციალური მოწყობილობის საშუალებით ზომავდნენ. მწვანეჩაიდალეულები ინფორმაციას უკეთესად აღიქვამდნენ და იმახსოვრებდნენ.

მსგავსი ექსპერიმენტი ევროპაში ერთი წლის წინ ჩაატარეს. 12 მოხალისე ორ ჯგუფად დაყვეს, რომლის ერთა ნაწილმა ამოცანების გადაწყვეტამდე მწვანე ჩაის ესტრაქტი მიიღო. შედეგად, ასევე გაკეთდა დასკვნა, რომ მწვანე ჩაის მამაკაცებში მეხსიერებისა და აღქმის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეუძლია.

# ყაზახეთში საბაჟო კავშირიდან გასვლის კამპანია დაიწყო



ყაზახეთს საბაჟო კავშირის არსზე თვალები აეხილა და კავშირიდან გასვლის კამპანია დაიწყო. ყახაზეთში ერთიანი ეკონომიკური სივრციდან ქვეყნის გამოსვლის კამპანია დაიწყო. კამპანიის ძირითად მიზეზად „კრემლის იმპერიული მიზნები“ სახელდება.

„როსბალტის“ ინფორმაციით, ალმა-ატაში ყაზახეთის საბაჟო კავშირიდან გამოსვლისა და ევრაზიულ კავშირში არშესვლის წინააღმდეგ მიმართული აქცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულმა 500 დელეგატმა მიიღო. აქციის ორგანიზატორების საინიციატივო ჯგუფს, ახლა 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება მოუწევს იმისათვის, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა მათი მოთხოვნა – რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, განიხილოს.

გარდა ამისა, რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეებმა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა გაავრცელეს ხელისუფლებისადმი მიმართვა, რომელშიც მოუწოდებენ უარი თქვან ევრაზიულ კავშირში შესვლაზე. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ახალგაზრდები, კერძოდ, მოძრაობა „რუხ პენ ტილ“ ( სულიერება და ენა ), რომელსაც ჟანბოლატ მამაევი ხელმძღვანელობს. როგორც მან გამოცემა „მატრიცა კზ-ს“ განუცხადა, ყაზახეთში უკვე სახელისუფლებო ექსპერტებსაც „აეხილათ თვალები“ საბაჟო კავშრის არსზე და იმაზე, თუ როგორ იქცევა „კორუმპირებული რუსეთი უკრაინის საბჟო კავშირში შესაყვანად“.

მამაევის აზრით, ევრაზიულ კავშირში ყაზახეთის შესვლა „საფრთხეს უქმნის ყაზახეთის სახელმწიფოებრიობას“ და რესპუბლიკას არც პოლიტიკურ და არც ეკონომიკურ სარგებელს არ მისცემს.

„ჩვენ ყოველთვის ღიად და გაბედულად გამოვალთ ამგვარი კავშირების წინააღმდეგ, რადგანაც ეკონომიკური ინტეგრაციის ნიღბის უკან კრემლის იმპერიული ამბიციები იმალება“, – აცხადებს მოძრაობა „რუხ პენ ტილის“ ლიდერი ჟანბოლატ მამაევი.

როგორც გერმანულ გამოცემა „დოიჩე ველეს“ ყაზახმა პოლიტოლოგმა, რისკების შეფასების ჯგუფის დირექტორმა, დოსიმ სატპაევმა განუცხადა, ინტეგრაციულ პროცესებს თავისი პლუსები აქვს, მაგრამ საბაჟო კავშირის შემთხვევაში, რეალობა ისეთია, რომ ყველა ეს პლუსები მინუსებად იქცევა. კერძოდ, არ გამართლდა ასტანის იმედები იმასთან დაკავშირებით, საბაჟო კავშირი ყაზახურ საწარმოებს 153 მილიონიან ბაზარს გაუხსნიდა.

ყაზახეთის ეკონომიკისა და საბიუჯეტო დაგეგმარების მინისტრის მოადგილის თემურ ჟაკსილიკოვის განმარტებით, ინტეგრაციული პროცესებისაგან ყაზახეთი თავის ნაწარმის გაყიდვის ზრდას ელოდებოდა, მაგრამ „სასწაულ“ ზრდასა და წარმოებების დატვირთვას ადგილი არ აქონია. ფინანსთა მინისტრმა ბოლატ ჟამიშევმა კი განაცხადა, რომ რესპუბლიკის საბაჟო კავშირში შესვლის შემდეგ რუსეთსა და ბელორუსში ყაზახური ექსპორტი მნიშვნელოვნად და შესაბამისად სავაჭრო სალდო შემცირდა.

ის, რომ საბაჟო კავშირისა და ევრაზიული კავშირის იდეის ავტორის– ნურსულთან ნაზარბაევის ქვეყანაში, ყაზახეთის საბაჟო კავშირიდან გამოსვლისა და ევრაზიულ კავშირში რესპუბლიკის შესვლის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო, მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი მოვლენაა, – წერს „ინტერპრესნიუსი“.

ევრაზიის საბაჟო კავშირში რუსეთი, ყაზახეთი და ბელორუსია გაწევრიანებული. კავშირი 2010 წლიდან ფუნქციონირებს. საბაჟო კავშირის მიზანია, მოკავშირე ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობები გამარტივდეს და საბაჟო განაკვეთებისაგან გათავისუფლდეს. 2012 წლის 1 იანვრიდან ევრაზიის საბაჟო კავშირის ეგიდით ამოქმედდა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, რომელიც კავშირის წევრ ქვეყნებზე ვრცელდება.

ევრაზიის საბაჟო კავშირი არის რუსეთის პრეზიდენტის მთავარი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს 2015 წლის დასაწყისში ევრაზიის საბაჟო კავშირის გარდაქმნას ევრაზიის ეკონომიკურ კავშირად.

# ბაშარ ასადი – „შტორმის დროს გემს არ ტოვებენ“



სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი აცხადებს, რომ მისთვის პრეზიდენტის პოსტის დატოვება არ არის პრობლემა, თუ ეს ვითარებას გააუმჯობესებს, მაგრამ მიაჩნია, რომ ქვეყანაში დღეს არსებული ვითარება არ აძლევს მას ამის საშუალებას.

„შტორმის დროს გემს არ ტოვებენ. ჩემი მისიაა – მშვიდობიანად მივიყვანო ეს გემი პორტში და არა მისი მიტოვება“, – აცხადებს ასადი. სირიის ორეზიდენტი აცხადებს, რომ ის მზადაა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაელაპარაკოს ოპოზიციას, თუ ისინი იარაღს დაყრიან.

„თუ ისინი შეიარაღებული არიან, ეს უკვე ოპოზიცია კი არა – ტერორისტული დაჯგუფებაა. ჩვენ არ შეგვიძლია ვესაუბრით ტერორისტებს, ვესაუბროთ „ალ ქაიდას“, მათ მხარდაჭერებს და მათ, ვინც მსოფლიოს მოუწოდებს სირიაში ინტერვენციის განხორციელებისაკენ.

დაყარონ იარაღი და ჩვენ დაველაპარაკებით მათ საერთაშორისო კონფერენცია „ჟენევა-2-ის“ ფარგლებში“, – აცხადებს ასადი იტალიურ „რაინიუს24-თან“ ინტერვიუში. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, ამერიკას სირიასთან არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით „გადათამაშება“ და გაეროს წესდების მე-7 მუხლის დაბრუნება სურს, რაც ძალის გამოყენებას გულისხმობს. ამით ახსნა ლავროვმა გაეროს უშიშროების საბჭოში სირიის შესახებ რეზოლუციის მიღების გაჭიანურება.

„კომერსანტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, ლავროვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ პარასკევს სირიის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია ძალის გამოყენებას არ გულისხმობს. მინისტმა ისიც აღნიშნა, რომ მოსკოვი მზადაა სირიის ქიმიური იარაღის განადგურება დააფინანსოს.

27 სექტემბერს გაეროს უშიშრობის საბჭომ სირიის ქიმიური იარაღის შესახებ რეზოლუცია მიიღო. აღნიშნული ქვეყნის ქიმიური იარაღის სრულად განადგურებას ითვალისწინებს. დოკუმენტში სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება დაგმობილია, თუმცა აღნიშნულში დადანაშაულებული არც სირიის ოპოზიციაა, არც მთავრობა. კვირას სირიის პრეზიდნეტმა ბაშარ ალასადმა განაცხადა, რომ მზადაა დაემორჩილოს მიღებულ რეზოლუციას. ამ ფონზე, სირიაში გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა ლაკდარ ბრაჰიმმა განაცხადა, რომ ჟენევაში სირიის შესახებ კონფერენციის გამართვა საბოლოოდ გადაწყვეტილი კვლავ არ არის. აღნიშნულის შესახებ დიპლომატმა „ალ-არაბიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

„მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის ჩატარების შესაძლო თარიღად ნოემბრის შუა პერიოდი დასახელდა, ზუსტი თარიღი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული“,-განაცხადა ბრაჰიმმა.

მისი თქმით, შესაძლო შეხვედრაზე იმ შეთანხმებების შესრულებაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, რომლებზეც 2012 წლის 30 ივნისს კონფერენციაზე შეთანხმდნენ.

გამორიცხული არ არის, რომ „ჟენევა 2-ს“ კონფერენციის ირანის წარმომადგენლებიც დაესწრონ, თუმცა ამას სირიის ოპოზიცია კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ბრაჰიმის თქმით, კონფერენციაზე ირანის დასწრება „ძალიან მნიშვნელოვანია“.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# კონსერვატორია პიანისტთა კონკურსს უმასპინძლებს

ში. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია 36 წლამდე ასაკის პიანისტს. საბუთების მიღება 3 ოქტომბრამდეა.

ახალგაზრდა მუსიკოსთა II საერთაშორისო კონკურსი გაიმართება ლიტვის ქალაქ კაუნასში 5-8 ნოემბერს შემდეგ ნომინაციებში: ფორტეპიანო, სიმებიანი ინსტრუმენტები, ჩასაბერი ინსტრუმენტები, აკორდეონი, ვოკალი. საბუთები მიიღება 1 ოქტომბრამდე.

12-17 ნოემბერს კიევში გაიმართება პირველი საერთაშორისო კონკურსი-ფესტივალი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და ჟიურის საპატიო წევრია რუსეთის სახალხო არტისტი დენის მაცუევი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია 14 წლამდე ასაკის ახალგაზრდა პიანისტს. საბუთების მიღება 6 ოქტომბრამდეა შესაძლებელი.

პროკოფიევის სახელობის VI საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი კი რუსეთის ქალაქ პეტერბურგში 10-16 ნოემბერსაა დაგეგმილი, მასში მონაწილეობის მიღება 30 წლამდე ასაკის პიანისტს შეუძლია.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მომავალი წლის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსების განრიგსაც ასაჯაროებს. 2014 წლის 22 მარტიდან 3 აპრილამდე ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ჩატარდება მარია კენელსის სახელობის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი და მასში მონაწილეობა შეუძლია 18-დან 30 წლამდე ასაკის პიანისტს. საბუთების მიღება 31 დეკემბერს მთავრდება.

2014 წლის 22 აპრილიდან 7 მაისამდე უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიმართება

ჰოროვიცის სახელობის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საშუალო ჯგუფის პიანისტს, რომელიც დაბადებულია 1995 წლის 22 აპრილსა და 2000 წლის 22 აპრილს შორის; უფროსი ჯგუფის პიანისტს, რომელიც დაბადებულია 1981 წლის 22 აპრილსა და 1998 წლის 22 აპრილს შორის. საბუთების მიღება 20 დეკემბრამდეა შესაძლებელი. ედვარდ გრიგის სახელობის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი 2014 წლის 11-18 ოქტომბერს ნორვეგიის ქალაქ ბერგენში შედგება. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია პიანისტს, რომელიც დაბადებულია 1981-1997 წლებს შორის. საბუთების მიღება 2014 წლის 1 მაისამდე წარმოებს.

2014 წლის 26 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე უტრეხტში (ნიდერლანდები) გაიმართება ფერენც ლისტის სახელობის მე-10 საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია 17-დან 29 წლამდე ასაკის პიანისტს. წინასესარჩევი ტურები გაიმართება 2014 წლის მარტში ნიუ-იორკში, უტრეხტში, მოსკოვსა და პეკინში. საბუთების მიღება 2014 წლის 10 იანვარს შეწყდება.

# TV პროგრამა

## სამშაბათი 1 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 09.10 საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" 10.15 მხ/ფ **"სურვილების ქვა"** 12.40 მხ/ფ **"უკანასკნელი საზღვარი"** 14.30 ტ.სერ. **"ჭორიკანა"** 17.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" 17.55 ტ.სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.00 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. (პ/რ) შესვენებისას: "მოამბე" ღამის გამოშვება 00.40 ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ **"გველები თვითმფრინავში"** ( ელ ჯექსონი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "ეპიცენტრი" (ორშ. გ/ჩვ) 14.00" 16.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 30 გადაცემა (პ/ე)

07.30 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა 08.05" 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) 10.05 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 11.25" 12.05 სერ. **"ცივი გული"** 12.30,13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40, 15.05 კონცერტი: "თამარ გვერდწითელი — ვარსკვლავის გახსნა" მე—2 ნაწილი (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 12 სერ. 21.50 ახალი ქართული ხმა 00.00, 01.10 მხ/ფ **"მანკიერი ვნება"** (ტ. როტი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ.**"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ.**"ცრემლების გვირგვინი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 17.00 სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 23.00 გააცინე და მოიგე 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.10 ნიამორი 06.25 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.50 სპექტაკლი - **"შავი ზღვის პირას რაღაც ჩვენთვის უცნობი ქვეყანა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. II 11.00 დოკ/ფ "კადრს მიღმა" 11.15 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"ბატონი ავანტურისტები"** 13.30 ქართული მულტფილმი 13.45 დოკ/ფ "გელინო" II ნაწ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05, 00.30 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.00 კონცერტი - ანს."რუსთავი" 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 მოკლემეტრაჟიანი ფილმი **"შნო"** 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი -ოთარ ჭილაძე I ნაწ. (მანანა კვაჭანტირაძე) 23.50 ფოტოგალერეა 01.00 მხ/ფ **"ბაში-აჩუკი"**

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 7.40 მულტფილმი 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 10.15, 16.00 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) 17.45, 21.30, 0.30, 4.45 "ყოველდღიური ამბები" (გამ.) 18.05, 1.30, 5.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) 19.00 **სერიალი "ასი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 6.45 ფარული კამერა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6644 |
| ევრო | 2,2474 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6774 |
| 100 რუსული რუბლი | 5,1458 |

## ამინდის პროგნოზი 1 ოქტომბრისთვის




# თურქმენეთის პრეზიდენტმა „ჯანმრთელობის ბილიკზე“ გაისეირნა

თურქმენეთის პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუხამედოვმა რეკონსტრუირებულ „ჯანმრთელობის ბილიკზე“ ლაშქრობა მოაწყო. ქვეყნის ლიდერს თან ახლდნენ მეჯლისის(პარლამენტის) თავმჯდომარე, პრემიერის მოადგილეები, სამხედრო და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები.

„ჯანმრთელობის ბილიკი“, – რვაკილომეტრიანი რკინაბეტონის კიბეა, რომელიც კოპეტდაღის ერთ-ერთ სიმაღლეზეა აშენე-



ბული. მასზე ასვლით „ჯანმრთელობის და ბედნიერების კვირეული“ სრულდება, რომლის გამართვაც ქვეყანაში პრეზიდენტის ინიციატივით, 2012 წელს გადაწყვიტეს.

„ჯანსაღი ცხოვრების წესის ერთგული თუქმენეთის პრეზიდენტი, უამრავი საქმის მიუხედავად, ფიზკულტურისა და სპორტისთვის დროს პოულობს, ამით თანამემამულეებს, პირველ რიგში ახალგაზრდებს პირად მაგალითს აძლევს“, – აღნიშნავს ჩინური სააგენტო „სინჰუა“ და ამატებს, რომ მისი ინიციატივით, სპორტისა და მასობრივი ფიზკულტურის განვითარება თურქმენეთში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა.

შეგახსენებთ, რომ გაზაფხულზე, გურბანგული ბერდიმუხამედოვი პირადი მაგალითით უკვე უწევდა პროპაგანდას სპორტის ერთ-ერთ სახეობას – ჯირითს. ის შეჯიბრებაზე მხედრის სახით წარდგა და გაიმარჯვა. მართალია, ფინიშზე პრეზიდენტი ცხენიდან ჩამოვარდა და რამდენიმე წუთით გონება დაკარგა. დაცვამ ყველას დაცემის ვიდეოჩანაწერის წაშლა მოსთხოვა, ადამიანებს კარგა ხანს სტადიონიდან გარეთ არ უშვებდნენ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# ასტროპროგნოზი 1 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით იხიბლებით. **კურო** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **ტყუპები** – ყველა საქმე გამოგივათ, რასაც კი ხელს მოჰკიდებთ. **კირჩხიბი** – გადაიხალისეთ გარდერობი, დღეს ფორმაში უნდა იყოთ. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **ქალწული** – კითხვა გაწუხებთ, მაგრამ იცოდეთ, პასუხს თქვენით მიაგნებთ. **სასწორი** – ვერ შეთანხმდით, პარტნიორი გაბრაზებულია. **მორიელი** – ფული გაქვთ, პრობლემას მალე მოუგრეხთ კისერს. **მშვილდოსანი** – არ დაივიწყოთ წარსული, იფიქრეთ ფასეულობაზე. **თხის რქა** – თქვენი საქმე წინ მიდის. **მერწყული** – ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურდათ. **თევზები** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგივათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. მოდგმა, შთამომავლობა; 2. ხვეწნა, მუდარა; 3. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 4. ხორბლის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 5. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 8. სუფთა, მაღალხარისხოვანი ღვინო; 9. შთაგონებით გამოწვეული ძილთან მიახლოებული მდგომარეობა; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 12. შტატი აშშ-ში; 13. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 15. იაპონური მსუბუქი ავტომობილი.

**თარაზულად:** 1. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. მგალობელი ჩიტი; 10. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 11. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 14. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 16. მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი; 17. ადამიანის დასნებოვნება ცხოველური პარაზიტებით; 18. სახელმწიფო ჰიმალაებში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები



მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა



20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები



24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები



27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


# საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პასუხი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს



**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დირექტორმა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ურთიერთობის საკითხებში პერე მიროს საქართველოში წერილი გამოგზავნა, რომელიც სოკ-ის პრეზიდენტის სახელზეა.**

**ბატონო პრეზიდენტო,**

ეს წერილი განმარტავს „აფხაზეთსა“ და „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით წამოჭრილ ბოლოდროინდელ საკითხს.

წინამდებარე დოკუმენტის საშუალებით გვსურს განვმარტოთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პოზიცია, რაც ითვალისწინებს:

დღეისათვის სოკ-ი აღიარებს 204 ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომელთაგან ერთ-ერთს შეუჩერდა აღიარება და ოლიმპიური ქარტიის თანახმად „ოლიმპიურ კომიტეტებს ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნიათ წარმოადგინონ თავიანთი შესაბამისი ქვეყნები ოლიმპიურ თამაშებსა თუ რეგიონალურ, კონტინენტალურ ან მსოფლიო შეჯიბრებებზე სოკ-ის ეგიდით ორგანიზებულ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში“.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად სოკ-ის ქარტიის თანახმად სპორტსმენი წარდგენილი უნდა იყოს მისი შესაბამისი ეოკ-ის მიერ.

ოლიმპიური ქარტიის მიხედვით, სოკ-ი არ აღიარებს არც „აფხაზეთს“ და არც „სამხრეთ ოსეთს“.

სოკ-ი აღიარებს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომლის იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, როგორც ეს აღიარებულია გაეროსა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ.

სოკ-ის პროტოკოლი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ტერიტორიების შემადგენლობა სოკ-ის აღიარების მიხედვით მკაცრად უნდა იყოს დაცული ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტების მიერ ყველა მათ მიერ განხორციელებულ თამაშებთან დაკავშირებულ ოპერაციებში მათ შორის და არა მარტო საакრედიტაციო სისტემის გათვალისწინებით.

ვიმედოვნებთ ზემოაღნიშნული განმარტავს სოკ-ის პოზიციას და თქვენი ეოკ-ის ხედვას ამ საკითხთან დაკავშირებით.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ბათუმის კინოფესტივალმა გამარჯვებულები დააჯილდოვა



ეკა ირემაშვილი

ბათუმის მერვე საერთაშორისო კინოფესტივალმა გამარჯვებულები დააჯილდოვა. საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულები გახდნენ ნორვეგიულ-ერაყული ფილმი „თოვლის მოსვლამდე“, ბრიტანული ფილმი „მკვლელობის აქტი“ და პოლონური ფილმი „მირუნა“. ბათუმის ფესტივალი წელს გია დანელიას ფილმით „ქინ ძა ძა“ გაიხსნა და ჯუზეპე ტორნატორეს ფილმით „საუკეთესო შეთავაზება“ დაიხურა.

წელს ფესტივალში 30-მდე ქვეყანა მონაწილეობდა. კინომოყვარულებმა და ჟიურიმ 8 დღის განმავლობაში 80-მდე ფილმი ნახეს. ფესტივალის გრან პრი მხატვრულმა ფილმმა „თოვლის მოსვლამდე“ აიღო. ფილმი ერაყელი რეჟისორის ჰიშამ ზამანის მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმია, რომელიც 2013 წელს ნორვეგიის, ერაყისა და გერმანიის კოპროდუქციით გადაიღეს. ქურთისტანში დაბადებულმა რეჟისორმა უმაღლესი განათლება ნორვეგიის კინოსკოლაში მიიღო. „თოვლის მოსვლამდე“ მისი პირველი ნამუშევარი არ არის, მან ასევე გადაიღო ფილმები „მამა“, „ზამთრის ქვეყანა“, „სხვები“. ერაყელი რეჟისორის ინტერესს ევროპაში მცხოვრები ქურთების ისტორიები იწვევს. მისი ფილმის სინოფსისის ასეთია: წლევანდელი ფესტივალის ფავორიტი ფილმი ქურთ ბიჭზეა, რომელიც ევროპაში გაქცეული დის მოსაკლავად სტამბოლში მიემგზავრება, რომ ოჯახი სირცხვილისგან იხსნას. 16 წლის სიარის დამ ალას ცოლობას თავის შეყვარებულთან ერთად გაპარვა არჩია. სიარს მამა მოუკვდა და ოჯახის უფროსობა იტვირთა, ამიტომაც თავს ვალდებულად თვლის, რომ დის მოკვლით ოჯახის სირცხვილი გამოისყიდოს. სიარი არალეგალურად კვეთს საზღვარს და სტამბოლში ჩადის, რაშიც მას თურქეთში მცხოვრები ქურთები ეხმარებიან. იქ მას სიყვარული ეწვევა, რაც მის ცხოვრებას რადიკალურად ცვლის.

ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო ბრიტანელმა რეჟისორმა ჯონი ბერინგტონმა. მან განათლება გლაზგოს ხელოვნების სკოლასა და გოტებორგის ფოტოგრაფიის სკოლაში მიიღო. ის ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე მოკლემეტრაჟიანი ფილმით „აურზაური“ იყო წარდგენილი. ფილმის სინოფსისში წერია: ნორვეგიული ტომის მეომრები ბრძოლის შემდეგ უნაყოფო მიწაზე დახეტიალობენ. ჯარის მეთაურს, რომელიც სასიკვდილოდ არის დაჭრილი, სურს, რომ თავის შვილს გადაულოცოს ხელმძღვანელობა. ამ დროს მათ სხვა ტომის მეომრები თავს დაესხმიან. თავად რეჟისორი ჯონი ბერინგტონი ბათუმში არ ჩასულა, ამიტომ მისი სახელით პრიზი ბრიტანეთის საბჭოს დირექტორმა საქართველოში ზაზა ფურცელაძემ აიღო.

წელს ფესტივალზე საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმად ჟიურიმ პოლონელი რეჟისორის პიოტრ სულკოვსკის ფილმი „მირუნა“ დაასახელა. ფილმი ახალგაზრდა ქალზეა, რომელსაც კონფლიქტი აქვს თავის საყვარელთან. კონფლიქტის შემდეგ იგი დაუფიქრებლად ჯდება უცნობი მამაკაცის მანქანაში, მათი უცაბედი შეხვედრა კი ფატალურად სრულდება. როგორც დოკუმენტური ფილმების სექციის ჟიურის წევრმა თინათინ გურჩიანმა განაცხადა, დოკუმენტური ფილმის სექციაში ჟიურიმ ორი ფილმი გამოარჩია, ამათგან ერთს „ჟიურის პრიზი“ გადაეცა, მეორეს კი – ფესტივალის პრიზი. „ჟიურის პრიზი“ ებრაულ-პალესტინურ-ფრანგულმა ფილმმა „5 გატეხილი კამერა“ მიიღო. ფილმი სანდენსის კინოფესტივალზე შარშან საუკეთესო დოკუმენტურ ფილმად აღიარეს. სურათი ებრაელი გი დავიდის და პალესტინელი ემად ბურნათის ნამუშევარია. მასში მოთხრობილია პალესტინის სოფელ ბილინში ისრაელის არმიის იერიში და პალესტინელების მშვიდობიანი წინააღმდეგობა.

– „5 გატეხილი კამერა“ არის მნიშვნელოვანი ფილმი და ჟიურის არ სურდა, რომ ფილმი ყურადღების მიღმა დარჩენილიყო, ამიტომაც მან ჟიურის პრიზი დაიმსახურა, – განაცხადა თინათინ გურჩიანმა.

საუკეთესო დოკუმენტურ ფილმად წელს „მკვლელობის აქტი“ დასახელდა. მისი რეჟისორები ჯოშუა ოფენმაიერი და კრისტინ სინი არიან. ოპენმაიერმა ათ წელიწადზე მეტი იმუშავა პოლიციასთან, სიკვდილის ბრიგადებთან და მათ მსხვერპლებთან. ფილმის თანარეჟისორი კრისტინ სინი 14 წელი მუშაობდა დოკუმენტურ და ექსპერიმენტულ ფილმებზე. ბერლინის 2013 წლის კინოფესტივალის მაყურებლის პრიზის მფლობელი ფილმი ინდონეზიის ერთ-ერთი რთულ პერიოდს ეხება. ქილერები კომუნისტების, ეთნიკური ჩინელებისა და ინტელექტუალებისგან შემდგარი კრიმინალური დაჯგუფების წევრები ხდებიან


გაგრძელება მე-8 გვერდზე